

652
1996

ISSN 0134 3459

1.5
საქართველოს
ბიბლიოთეკა

ქართული



პოეზია

გაგიჟება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დათხრა თუ მზეს ქებით ველარ დახვდები
ლექსო, გულიდან ზორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები,
არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებათ,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.
დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი, ტვინი ვერანი.
რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა;
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.
შემომანათებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად,
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.
რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი,
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

ქროსი

659
1996
ნოემბერი
გამომცემი

№ 6

45

გამოცემის 38-ე წელი 6 ნომერი - დეკემბერი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა
რა მოგავალი, კვირფასი გადით...
ქალაქი-ჩვენი ქვეყნის უანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბატური

საქართველოს მფრალთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია
მასტანბ ახმუდინი
ზურაბ გორბილაკი
მამია ვარშანიკი
(პასუხისმგებელი მდივანი)
შოთა ზოიკი
დავით თედორაკი
ალექსანდრე სამსონია
რამაზ სურგანიკი
გურამ ფანჯიკიკი
ამირან საბაზი
ფრიდონ ხალვაში
ჯემალ ჯაყელი

პროზა, პოეზია

ნოდარ კიკნაძე

ბანძი და ანდერძი

(ნაწევრი რომანიდან „კოდის შეილება“)

...დავბადებულვარ 1860 წლის 20 ივლისს მარტვილთან ახლოს, სოფელ ლებაჩეში ჩემს დაბადებას თოფის სროლით შეხვედრია და დიდი ღვინოვანი გადაუხდით. პაპაჩენს შეძლებულ აზნაურს, მთელი სოფელი მოუწვევია და რაც ჰქონია, ყველაფერი უშურველად გამოუტანია სუფრაზე. ნაწვეულებს პირველი გაყიანობა დიდი ყანწებით დაულოცავთ და კაი სამ დღესაც უქეიფიან.

ლალი, დაუზრუნველი ბავშვობა აბაზის პირას გაატარე. სოფლის ბავშვებთან ერთად, დიდიდან სადამომდე, მის გრილ ჩქერებში ვბანაობდი. ჩვენს სიბარულოს საზღვარი არ ჰქონდა, სხმარტალა თევზებს რიყზე რომ ამოყრიდით. ასე მეგონა, ასეთი ბედნიერება უსასრულოდ გაგრძელდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ბავშვობა მეტად ხანმოკლეა და დიდვად დრო, როდესაც იგი ჩემთვისაც დასრულდა.

მამაჩემი, არგალი ხარსია, მეფის არმიის ოფიცერი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, წელიწადში ორ-სამჯერ მაინც ახერხებდა ჩამოსვლას და ჩვენს მონათულებას. ჩამოდიოდა დედაჩემისა და ჩემი უფროსი დების თანხლებით. მათი გამოჩენა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. რაღას არ მჩუქნიდნენ: — საუკეთესო მუდისაგან შეკერილ ტანსაცმელს, ვერცხლის ქამარ-ხანჯალს, ნაირ-ნაირ სათამაშო დამბაჩებს. ტკბილეული და ათასგვარი სასუსნავი ხომ ერთხანს გამოუღწევლად მქონდა.

რვა წლია რომ შეგსრულდი, მამამ გიმნაზიაში მიმბარა. პირველი ნახვითანავე მომიწონა გუთნისი. მუდრო, სოფლური იდილიის შემდეგ ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში ზღვია გრუხუნა ტალღასავით შემოიჭრა დიდი, ხმაურიანი ქალაქი და იგი ასეთად დარჩა ჩემთვის ბოლომდე.

კარგად ვსწავლობდი და ყველას გამორჩეულად ვუყვარდი. დატუქსა რა იყო, არ ვიცოდი. გვითხრობდი გამართულად და გწერდი გამოჩენული, ღამაში კალიგრაფიით. ყველაფერი რომ ხედმიწევნით კარგად შევითვისე, რაღაც უცმარისობის გრძნობა გამჩინდა. პირველ ხანებში ვერ მივხვდი, რა და რისგან იყო ეს გამოწვეული, მაგრამ შემდ-



ეგ თანდათან ვიპოვე საკუთარი თავი, რამაც დიდი და განსაკუთრებული სიხარული განმაცდევინა.

ბინალ მამაჩემის მეგობართან, გადამდგარ პოლკოვნიკთან ვიდექი. ორსართულიანი ქვეთიკირის სახლი რიონს გადაჰყურებდა. სწორედ ამ სახლის ძეგორე სართულზე მეყავი ერთი პატარა, კოხტა ოთახი, რომელშიც ერთი საწოლის, ერთი მაგიდის, ორი სკამისა და წიგნის კარადის მეტი არაფერი იდგა. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა პოლკოვნიკს. ოქროსვარსკიანი წიგნებით გაჭედული თაროები თვალს იტაცებდა. მე მხოლოდ ერთხელ მქონდა ბედნიერება მათი დათვალიერებისა. იქ წარამარა შესვლის უფლება არავის ჰქონდა და მე რა გამორჩეული წითელი კოჭი ვიყავი, რომ ამ უფლებით მესარგებლა.

ჩემი დროებითი მეურვე წესრიგის მოყვარული კაცი იყო და სხვებისაგანაც ამას მოითხოვდა. არ უყვარდა ზედმეტი პრანჭიანობა და ქედმაღლობა. სტუმართმოყვარე იყო, მაგრამ სძულდა გადაჭარბებული ღრეობა და თავშექცევა. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივე გათხოვილი. ერთი თელავში ცხოვრობდა, მეორე — თბილისში. პოლკოვნიკი ზშირალ სტუმრობდა მათთან და ერთი-ორჯერ მეც წამიყვანა. დღემდე ვერ გამიგია, მე ვიყავი ასეთი, თუ მამაჩემის ხატრით მცემდა პატივს. თანატოლივით მექცეოდა. და რადგან ჩემს მიმართ ასეთი თავაზიანი იყო, მეც, ჩემის მხრივ, ვცდილობდი სათუგო რამ არ ჩამედინა.

ერთხელ, მამაჩემის მორიგი სტუმრობის დროს, გავბედე და ვთხოვე, მისი ბიბლიოთეკით მესარგებლა. ნება დამრთო და ჩემს სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა... პირველი წიგნი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, ლევ ტოლსტოის „ბავშვობა, ყრბობა და ჭბუკობა“ იყო. ვარესამყაროს შეცნობამ ფრთები შემისხა. გატაცებით ვკითხულობდი პუშკინს, ლერმონტოვს... ქართველი და საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოებებს და ვგრძნობდი, რომ სადღაც ზურგსუკან დარჩა ბავშვობა და ამიერიდან დიდი და ჯერ კიდევ სრულიად გაუთვითცნობიერებელი გზით უნდა მევლო.

მამამ მალე პეტერბურგში წამიყვანა და კადეტთა კორპუსში მიმბარა. მეფის არმიის ოფიცრობა ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ რა მექნა, მამაჩემის სურვილს წინ ვერ აღვუდექი. მშველელი კი არსად ჩანდა.

ერთდევროვანი, ყაზარბული ცნოვრება სულს მიხუთავდა. იმ უცხო გარემოში ისეთი ნაცნობებიც არავინ მყავდა, ჩემს გასაჭირს რომ გულთან ახლოს მიიტანდა და დახმარების ხელს გამომიწვდიდა.

ერთხანს გაპარვაც კი დავაპირე, მაგრამ სად წავსულიყავი უფულოდ, ეულად, უმეგობროდ? ეს უზარმაზარი, თვალგაუწვდენი ქვეყანა დღინაცვლად მექცა. არ მიმიღო, ვერ გამათბო, ვერ მომგვარა შვება და ნეტარება. უფროსობას ყველაფერში გემორჩილებოდი, მაგრამ ეს მა-

ინც არ ნიშნავდა საბოლოო მორჩილებას. ვატყობდი, ისინიც ხვდებოდნენ, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ამ მკერდექვეშ, როგორ მონურად ვიხრდი ქედს მათ წინაშე, მაგრამ ერთხელაც არ უცდიათ რითიმე დამხმარებოდნენ. ისინი მამაჩემის სურვილს უფრო უწყვედნენ ანგარიშს, ვიდრე ჩემსას.

ერთი წელი ასე ვიჯახირე და ვიწვალე...ო, როგორ მენატრებოდა ჩემი საქართველო, ჩემი ლებაჩე, აბაშის ცეცხლი, ანკარა ჩქერები, ატენილი ჭალები და თვალსაწიერამდე გაშლილი, ზურმუხტისფერად აღღდანებული ველ-მინდვრები, მაგრამ ამ ჩემს სურვილს ჩრდილოეთის მეაცრი სუნ-თქვა კლავდა.

შემოდგომის ერთ დღეს მამამ მომაციტხა და თავისთან წამიყვანა. შინაურების ხილვამ ყველაფერი დამავიწყა. ერთბაშად მოვარდნილმა სიხარულის ტალღამ ყოველგვარი უსიამოვნება გადაწყარა გულიდან.

ბედნიერების მისაღწევად, თუნდაც იგი წამიერი იყოს, თურმე რა ცოტა რამ ჰყოფნის ადამიანს!

მეზგეოდა და მეფერებოდა დედა, მეზგეოდნენ და მკოცნიდნენ დები. მამა ღიმილით უცქეროდა ამ სცენას და ჩვენს ოჯახურ იდილიაში არ ერეოდა. ალბათ მამაცხური თავმოყვარეობის გამო იქცეოდა ასე.

იმ ღამეს არა და, მეორე დღეს ყველაფერი დალაგებით და დაწვრილებით მოგუყვები დედს. ყურადღებით მისმენდა, შოგადაშოგ ოხრავდა კიდეც, მომეჩვენა თუ მართლა იყო, თვალის გუგუეებში ცრემლიც კი შევნიშნე.

როცა თხრობა დავამთავრე, ერთხანს გარინდული იჯდა და დიდ-რონი, ჭკვიანი თვალებით მიყურებდა.

ახლა რას აპირებო, — მკითხა ბოლოს.

მომეცი ფული და საქართველოში წავალ-მეთქი, — ვუბასუბე.

ეტყობა ჩემმა გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო. თქმით მაშინვე არაფერი უთქვამს, ალბათ მამაჩემის მოსვლას დაელოდა.

მამა სალამოს მოვიდა. თან ერთი დარბაისელი, ასაკოვანი, სისიამოვნო გარეგნობის კაცი მოჰყვა. ყველას სათითაოდ მოგვესალმა და თევდორე ლეონოვად ვავცაცნო თავი. მე ის პირველი ნახვისთანავე მომეწონა და მის მიმართ რაღაცნაირი სითბოც კი ვიგრძენი.

დედამ მეორე ოთახში უხბო მამას. რაზე ისაუბრეს, არ ვიცი. კარგა ხნის შემდეგ მამა მარტო შემოვიდა. დედა სამზარეულოში დარჩა და გასწმის თაღარიგს შეუდგა.

- კარგი ბიჭი გყოლია — მოწონებით შენიშნა თევდორემ.
- ჰო, არა უშავს — უბასუბა მამამ და გამომცდელად შემომხედდა.
- სახესა და თვალებზე ეტყობ, მაგისაგან ოფიცერი არ დადგება, სხვა გზა მოუწინა!

— თუ დამენმარები, კარგს იზამ.
თევდორე ჩაფიქრდა. კარგახანს ხმა არ ამოუღია. გუნებაში თუ სწო-
ბილა სათქმელს.

— ჩემთან რომ წავიყვანო?

— იქ რა უნდა აკეთოს? — გაოცდა მამა.

— ცხოვრებას ვასწავლი, საკუთარ სახსარსაც გაიჩენს და ტვირთად
აღარ დაგაწევბა. აქ ნამყოფი კაცი საქართველოში ადგილს ვეღარ იპოვ-
ის.

— ცდები, იურიევიჩი, საქართველო მავის ღვიძლი სამშობლოა. მის
გარეშე ეგ ვერ გაძლებს, ნოსტალგია მოუღებს ბოლოს.

— მე ზომ არ ვაძებ, სამუდამოდ აქ დარჩეს-მეთქი. როცა უნდა
წავა, როცა მოესურვება — მოვა, მისი ნება არ არი?

მასე შეიძლება.

— შევთანხმდით?

— შევთანხმდით!

ასე, ზელოს ერთი დაკვრით გადაწყვიტეს ჩემი ბედი მამამ და თევდ-
ორემ. ჩემთვის არც ამჯერად უკითხავს ვინმეს, ვიყავი თუ არა მათი
გადაწყვეტილების თანახმა. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობია და,
ხასიათოვნებიც კი დავრჩი, რადგან ჩემს სამშობლოსთან გაცილებით
ახლოს ვიყავი და თავისუფალ მოქალაქეს სადაც მომესურვებოდა, იქ
შემეძლო წასვლა.

მამამ მეორე დღესვე გამოითხოვა ჩემი საბუთები პეტერბურგიდან
და ჩემთვის სრულიად უცხო კაცს, მემამულე თევდორე ლეონოვს,
„ცხოვრების შესასწავლად“ გამეყოლა.

მოსკოვიდან იასნოგორსკამდე და იასნოგორსკიდან ზახარინომდე
მშვიდობიანად ვიმგზავრეთ. ვზაში უფრო ახლოს გაგვცანი ჩემი
კეთილისმყოფელის ხასიათს, ჩავწვდი მის ადამიანურ ბუნებას და
კმაყოფილი დავრჩი.

ტიპიური რუსული სოფელია ზახარინო. დაგვილ-დაკრიალებული
ქუჩების ორივე მხარეს ერთსართულიანი ძეღური სახლებია
ჩაირიებული. სახლებს უკან საგულდაგულოდ მოვლილ-დამუშავებული
ბაღია-ბოსტნები და მიწის ნაკვეთებია. თვალის ერთი მოვლებით მივხვდი,
რომ აქ გამრჩე, მეურნე ხალხი ცხოვრობდა.

ყველა მოწიწებით გვესალმებოდა. ზოგიერთები ხმადაბლა
საუბრობდნენ. ყური მოვკარი, როგორ უთხრა ერთმა მეორეს: ალბათ
ეს ჩვენი ახალი მოურავიო.

თევდორეს სოფლის შუაგულში ლამაზი, მეზონინიანი სახლი ედგა.
იმ არემარეზე მხოლოდ ის ერთი იყო ქვეთვითი ნაშენი. შიგნით შე-
სული მაშინვე მივხვდი, რომ აქ წესრიგის მოყვარული კულტურული

ხალხი ცხოვრობდა. ყველაფერს: — აფეჭს, ლოგინს, ოთახებს — კრიალობდა. მისაღებში შეგვედით. ჩემი მცირე ბარგი კუთხეში დავდე და უხერხულად გავჩერდი. ნებაართვის გარეშე დაჯდომა უზრდელობად მივიჩნიე. ჯერ კიდევ არ ვიყავი გათვითცნობიერებული იქაურ წესჩვეულებებში და ყოველთვის გფრთხილობდი.

მისაღებში მოსამსახურეს უხმო.

წითური, სუსტი, გაფშვილთმებიანი ბიჭი მორიდებით შემოვიდა. იურივიჩმა ჩემს ბარგზე მიუთითა და მოკლედ მოკრა:

— მეზონინში აიტანე!

მოსამსახურემ მყისვე შეასრულა დავალება.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ოთახში მაღალი, სანდომიანი სახის ხან-შიშესული ქალი შემოვიდა.

— გაიცანი, ჩემი მეუღლეა, ოღლა ბორისოვნა. — მითხრა ჩემმა პატრონმა.

დიასახლისმა თეთრი, ფაფუკი ხელი გამომიწოდა. მე მოწიწებით ვემთხვიე, რითაც მისი კეთილი გამოხედვა დავიმსახურე. გავიდა ცოტა ხანი და ოჯახის ერთი წევრი კვლავ შემოგვემატა. ეს იყო თვალისმომჭრელი სილამაზის ქალი. ოცდახუთი წლისა იქნებოდა. რძისფერი სახე, თაფლისფერი თვალები და რკალივით მოშვილდული წარბები ჰქონდა. მის დანახვაზე ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა. თავზე დავეკარგე. მან მაშინვე შენიშნა ჩემში მომხდარი ცვლილება. მომხიბლავად გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და ჩემს გვერდით სავარძელზე მოიკალათა. ასე გავიცანი ნატალია ლეონოვა. ქმარი კინკლაობის ნიადაგზე დუღელში მოეკლათ. შვილი არ დარჩენოდა და ახალგაზრდა ქვრივი მშობლიურ სახლს დაბრუნებოდა. უფროსი და მოსკოვში ცხოვრობდა. ოფიცრის ცოლი იყო. ქმა არ ჰყავდათ. პატარა ოჯახი მყუდროდ შეჩინოდა ტულის გუბერნიის ამ განიბირა მხარეს.

მეორე დღეს თვედორე იურივიჩმა თავისი სამფლობელო შემომატარა. ნეფედოვო, ივანკოვო, კრასინო მისი საბატონო იყო. სოფლები სიმდიდრით არ ბრწყინავდა, მაგრამ არც სიღარიბეში ღაფავდა სულს. ხალხი მშვიდად და ნორმალურად ხოვრობდა. ჰქონდათ სახლ-კარი, სამყოფად ჰყავდათ პირუტყვი და ფრინველი, მათ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე თესავდნენ შვრიას, ხორბალს, კარტოფილს, მოჰყავდათ ბოსტნეული და მეტი არც უნდოდათ. თავიანთთვისაც მუშაობდნენ და ბატონისთვისაც. თვითონაც ჰამდნენ და სხვასაც არჩენდნენ. ყოფილ მოურაგს ხანდაზმულობის გამო მიეტოვებინა სამსახური და მისი ადგილი მე დავიკავე. ამ საქმეში გამოუტდეელი ვიყავი და პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა. ადვილი არ იყო უცხო გარემოზე შეჩვევა, მაგრამ მერე და მერე თანდათან გავიწაფე, რითაც მადლობა

დავიმსახურე.

ხშირად ჩავდიოდი ჩემიანებთან სერბუხოვში. მშობლებს ახარებდათ ჩემი წარმატება. მარიგებდნენ, რომ ჭკვიანად ვყოფილიყავი და სხვათა ფეხის ხმას არ ავყოლოდი. ზოგჯერ ფულსაც მთავაზობდნენ, მაგრამ მე იგი არ მჭირდებოდა და არც ვართმევდი.

ნატალია პირველი დღიდანვე შემეჩვია და სადაც არ უნდა წავსულიყავი, მუდამ გვერდით მახლდა. მშობლები არ უკრძალავდნენ ჩემთან ყოფნას. პირიქით, ჩვენს დაახლოებასაც კი უწყობდნენ ხელს. ღირსეულ სასიძოდ მთვლიდნენ და ამას არც მალავდნენ. პირველ ხანებში მისგან თავს შორს ვიჭერდი, გავფრბოდი კიდეც, მაგრამ ახალგაზრდულმა გატაცებამ თავისი გაიტანა და მოხდა ის, რისიც მეშინოდა...

ერთ საღამოს ივანკოვოდან დავბრუნდი. დაგწევი თუ არა, დაღლილს მაშინვე ჩამეძინა. კარის ჭრიალზე გამეღვიძა. მთვარიით განათებულ ოთახში ნახევრად შიშველი ნატალია დავლანდე. არ გავნძრეულვარ. მაინტერესებდა რას იზამდა. ერთხანს ასე იდგა, მერე ნარნარად წამოვიდა, საბნის კიდე ასწია და ლოგინში შემომიწვა. ქალის მხურვალე სხეულმა გამთანგა, წონასწორობიდან გამომიყვანა, ხელები მოვხვიე და ერთ არსებად ვიქცეით.

იმ დამის შემდეგ ვიგრძენი, რომ უამისობა აღარ შემეძლო და მშობლებს გავუმხილე, რომ მე მის შერთვას ვაპირებდი. ჩემს გადაწყვეტილებას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრიან, დამტუქსეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მე მაინც ჩემი გავიტანე.

კარგად მახსოვს, შემოდგომის ერთ ნათელ, მზიან დღეს ვიქორწინეთ. ჯვარი სოფლის მღვდელმა, მამა ზაქარიამ, დაგვეწერა... მცირე სანადიმო სუფრა გვქონდა. ბევრი ხალხის მოწვევა და აურზაურის ატეხვა არ მინდოდა და ძალაუფლებურად ყველამ მხარი დამიჭირა. თავლობის თვე პეტერბურგში გავატარეთ. მოვინახულე ჩემი ძველი ნაცნობები, საღამოობით ნევის ხალხმრავალ პროსპექტზე ვსეირნობდით, ვესწრებოდით ბალებსა და თეატრალურ წარმოდგენებს და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავით. მალე დამთავრდა ჩვენი ოდისეა და უნდა ითქვას, მეტად კმაყოფილები დავბრუნდით უკან. ჩვენს აქ არყოფნაში თითქმის არაფერი შეცვლილიყო. ყველაფერი თავის წესსა და რიგზე დაგვგვდა. სიღედრ-სიმამრმა ჩვენი დაბრუნება მზიარული წვეულებით აღნიშნეს.

მე გაგიჟებით მიყვარდა ჩემი ნატო, როგორც მას მოფერებით ვეძახდი. მინდოდა სულ მის გვერდით ვყოფილიყავი და იმ უუუუნა თვალებისთვის მეცქირა. ისიც, თავის მხრივ, ასეთივე გრძნობით მზასუხობდა და მეც მეტი არაფერი მინდოდა.

ღრო კი მიდიოდა. შემოდგომა ზამთარმა შეცვალა, ზამთარი —

გაზაფხულმა. ისევ ახასხასდნენ მწვანედ უკიდვგანო მინდორ-ველები, ისევ მოფერიდნენ შოშები და თეთრი გელები. აყვავდა შოთხვი და ცირცელი. ნაირ ფერებად მოიქარგა მთელი მიდამო. სმენას ატკობდა შაშვების სტვენა, მერცხლების ფლურტული, ქედნების ღულღუნი, ჭაჭაშების ჭახჭახი, ჭყების მხიარული კრიახი.

მაღე დაღდა მკათათვე. პურის უხვი მოსავლით აივსო ბედლები. ეზოებში გაჩნდა თივის პირველი ზვინები. წითელ-ყვითლად გადაწათდა ქლიავის ბაღები. გაიადლა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. გაჭირვებულმა გლეხკაცმა ხელი მოითბო, სული მოიბრუნა.

მე დილიდან საღამომდე სოფლებში დავდიოდი. მეურნეობას კეთილსინდისიერად ვუძღვებოდი. დიდ დავთარში ყურადღებით შემქონდა შემოსავალ-გასავალი. ვეზიდებოდი საბატონო ბეგარას და ბედით კმაყოფილი ვიყავი.

მიყვარდა გლეხებთან საუბარი. მსიამოვნებდა ღარიბულ სუფრასთან მიწვევა. სტეულს მითენთავდა მკავე კიტრი და რუსული არაყი.

ისევ დაღდა შემოდგომა. კარს მოგვადგა მეორე ზამთარი. სოფლებში ჩაკვდა სიცოცხლე. ირგვლივ აუტანელმა მდუმარებამ დაისადგურა. ბურუსიანი ციდან ჩამოფრინდა პირველი ფანტელები. ერთმანეთს გადაება კაეშნიანი, ყვავების ჩხავილით შეზავებული დღეები.

უსაშვეგლოდ გრძელ ღამეებში ჩემს ნატოსთან განცხრომით ვნებივრობდი და დარდი არაფრისა მქონდა. ხანდახან თუ გამახსენდებოდა ჩემი ლებაჩე, ჩემი ღუდუნა აბაშა, ჩემი ბაბუა და ბებია, ჩემი ძველი ბუდე, ჩემი ეზო და წყალ-ჭაღა. მაშინ უსაზღვრო სევდა დამრევდა ხოლმე ხელს და აღთქმას ვდებდი, რომ უახლოეს ხანში უსათუოდ მოვიწახლუდებდი მათ, მაგრამ დღემგზავლიე კაცივით მემართებოდა — ჩემს აღთქმას მაღე ვივიწყებდი.

ბოლო დროს ზშირად ავადმყოფობდა თევდორე. არც ოღლა იყო უკეთეს დღეში. სახლიდან იშვიათად გამოდიოდნენ. მთელი დღეები სულ ერთთავად ღუმელთან ისხდნენ და ბიბლიის კითხვაში გაჰყავდათ დრო, ან გარდასული დღეების გახსენებით ირთობდნენ თავს. მე და ნატალია მზრუნველობას არ ვაკლებდით მოხუცებს. რა და რითაც შეგვეძლო ვართობდით კიდევ. როცა ვახშმად დავსხდებოდით და სუფრაზე კამკამა სითხით საგსე ლიტრიანს შემოვდგამდით, თევდორეს თვალები გაუნათდებოდა. ისევ ჭაბუკური გზნება უბრუნდებოდა და წამით ივიწყებდა თავის სიძაბუნეს. უყვარდა ჩემი ენაწყლიანობა, გაბმული ქართული საღლეგრძელოების მოსმენა. ჩვენებური სიმღერის გავონებას ხომ არაფერი ერჩია. ზშირად მოატანიებდა გიტარას და მთხოვდა, მემღერა რამე. მოძალეტულ ნოსტალგიას ნაწილობრივ ამით ვიქარავდი, ნაღველს დროებით თავიდან ვიშორებდი.



მოახლოვდა გაზაფხული. ხეებზე დაიბერა კვირტები. გაჩნდა ბირვ-
ლი ლილოჭრილოები. თეთრი არტახებით შეკრულ პატარა მდინარეზე
ჭახანით გასკდა ყინული. გათბა ჰაერი, მზიარული ხმებით აიგსო სოფე-
ლი, და შარავნებზე მომრავლდა მღვრიე წყლით სავსე ვუბეები. საქა-
რთველოში ჩემი ჩამოსვლა განუსაზღვრელი დროით რომ გადაიდო,
მაშინვე მივხვდი, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღას ვუშველიდი. აქეთ
ავადმყოფი სიღელერ-სიმაძრი მყავდა მისახედი, იქეთ კიდევ მეურნეობას
უნდოდა გაძლოლა და თავგზადაკარგულს, რა მეღონა აღარ ვიცოდი.

მაისის ერთ დღილს, მოხუცმა თავი შეუძლოდ იგრძნო და მაშინვე
თავისთან დამიბარა.

რომ შევედი, იწვა და მოღლილი თვალებით ჭერს შესცქეროდა.
თითქოს ჩემი შესვლა ვერც კი გაიგო. არც შემოუხედავს, არც
მოჰმალმებია მისთვის ჩვეული თბილი ღიმილით. იწვა და ჩემთვის
გამოუცნობ ფიქრებში იყო ჩაძირული. მივედი და სასთუმალთან მიდგ-
მულ სავარძელში დავჯექი. როგორც იქნა, მოიღო მოწყალება და მილ-
ეული ხმით მითხრა:

— ახლა აქ მე და შენ მარტო ვართ, არავინ გვისმენს. ვიცი, დიდი
დღე არ მიწერია და რასაც გეტყვი, კარგად დაიმხსოვრე. ცხოვრებაში
ვისაც მთელი გულით მივეხმე, მხოლოდ შენა ხარ. უცხო ტომის შვილს
თუ ასე შევეთვისებოდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ვერც კი
ვიფიქრებდი, ასეთი ერთგული და უღალატო თუ იქნებოდი. აღამაინი,
შვილო, ბუნებით ბოროტი და გაუტანელია. არ არსებობს ქვეყნად კაცი,
დიდების მანიით რომ არ იყოს შეპყრობილი. თავისთავად ეს გენი ჩემშიც
არის და ცხადია, ეს სენი შენშიც იქნება, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნე-
ლოა, რომ არ ღირს ყურადღების გამახვილებლად. მოდი, მე და შენ
ერთად მივაფუროთხოთ ეშმაკს და თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ დედამ-
იწის ზურგზე უცოდველი კრავი საერთოდ არ არსებობს. შენ ბევრჯერ
დაინტერესდი ჩემი წარსულით. მეც, ჩემის მხრივ, რაღაც-რაღაცეები
ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვიამბე და ასე თუ ისე დავაკმაყოფილე შენი
ცნობისმოყვარეობა. მთლად გულახდილი რომ არ ვიყავი, თავადაც
ხვდებოდი, მაგრამ არ იმჩნევდი. ალბათ ფიქრობდი, რომ ოდესმე ყველ-
აფერს დაწვრილებით მოგიყვებოდი. და აი, ეს დღევ მოვიდა. მე შენს
მეტს ვერაფერს ვერ გაგუმხელ იმ საიდუმლოს, რომელმაც ნაადრევად
მომტყნა და გამაჭალარავა...

აღრე ჩვენ ტულაში გცხოვრობდით. მამულები იასნაია პოლიანას
მეზობლად გეკონდა. მამჩემი საშუალო შეძლების მემამულედ
ითვლებოდა. ბევრი არაფერი გვებადა, მაგრამ არც მთლად
წყალწაღებულები ვიყავით. სწვებივით წლიდან წლიმდე ჩვენც გაგვქონდა
თავი. ჩვენი ოჯახი დიდი არ იყო — სულ ხუთ სულს ითვლიდა. მყავდა

ერთი ძმა და ერთი ც და. მშობლები მაინცადამაინც არ გვანებიერებდნენ და პატარაობიდანვე ხელმოშვირნე ცხოვრებას გვაჩვენდნენ. ჩვენც რა ძალა ვქონდა, ჩვენდაუნებურად მათ ნება-სურვილს ვემორჩილებოდით.

მოხდა ისე, რომ მოუსავლიანი წლები დადგა და ჩვენი მცირე მამულებიდან შემოსავლამაც საგრძნობლად იკლო. სრული გაკოტრება-გალატაკებისავე რომ თავი დაგვეღწია, მამამ ქონების ნაწილი და მიწების ნახევარი გაყიდა და მოსკოვს გადაებარდით. იქ ნაცნობ-მეგობრების დახმარებით სამსახური იშოვა და რადგან დიდები ვიყავით, არც ჩვენ მიგვიშვა ჩვენს ნებაზე; — მე და ჩემი ძმა სამხედრო სასწავლებელში მიგვაბარა. დაც მალე გათხოვდა და საკუთარი კერა გაიჩინა.

სამხედრო საქმე თავიდანვე არ მიზიდავდა და სასწავლებელში გატარებული თვეები ნამდვილ წამებად მექცა. ოცნებად მქონდა, მეშოვა ბევრი ფული და ჩემი ცხოვრების დღენი ფუფუნებასა და განცხრომაში გამეტარებინა.

თურმე ოცნებასაც სცოდნია ზოგჯერ ფრთების შესხმა. ღმერთი ზოგს დაამდაბლებს, ზოგსაც აამაღლებს. და მეც, დამდაბლებულსა და დამცირებულს, უცნაური ხედრი მარგუნა.

ზაფხულში არდადეგების მაგვარი მცირეხნიანი შვებულება მოგვცეს. ჩვენც ამ შესვენებით ვისარგებლეთ და ტულაში, ჩვენს მამულში ჩავედით. გაპარტახებული დაგვხვდა იქაურობა. ჩვენს ლოთ მოურავს ერთიანად გაეფლანგა ისედაც მცირე შემოსავალი და იმის შიშით, მართლმსაჯულება არ მაპატიებსო, ვოლოგდის გუბერნიაში გადახვეწილიყო. სულ ჩვენი უხეირო მამის ბრალი იყო ყველაფერი. უყურადღებობა გამოიჩინა და შედეგმაც არ დააყოვნა. ჩემი ძმა მაშინვე უკან გავაბრუნე, მე კი აღგიღზე დავრჩი აწეწილი საქმეების მისახედად, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავაკეთე. სადაც არ უნდა მივსულიყავი, გლეხები ავად მიბღვერდნენ, არც ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვას თავილობდნენ. რას არ შეგებრდი, საიდან არ მოგუარე, მაგრამ არაფერი გამივიდა. მოურავის მოძებნასა და სამართალში მიცემას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საბატონოს გადახდაზე უარს ამბობდნენ.

ერთ დღეს ტულაში მამაჩემის ძველ მეგობარს, კირილე ტოლსტოის შევხვდი. ერთმანეთი მივიკითხ-მოვიკითხეთ და ბოლოს ჩემს გასაჭირზეც გადავუკარი ორიოდუე სიტყვა. უურადღებით მომისმინა და დახმარებაც აღმითქვა. დაგთქვით, რომ ერთი კვირის შემდეგ შევხვდებოდით ერთმანეთს.

დიდი გაქნილი ვიღაცა იყო. ლევ ნიკოლოზის ძეს რაღაც ნათესავ-დაც მოხვდებოდა და ამით თავი მოჰქონდა. ბანქო უყვარდა და მუდამ



სათამაშო სახლებთან ტრიალებდა. ადგილობრივი მემამულეები ფული ჩეჩქივით ჰქონდა და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. ურიგო პიროვნება არ იყო. რასაც დაგპირდებოდა, უთუოდ შეგისრულებდა. ალკოჰოლი და ქალები მისი ყველაზე სუსტი მხარე იყო და ამას არც მალავდა. ხიფათებისა და თავგადასავლების მაძიებელს, ცხადია, მტერიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ისეთი ბედისა იყო, ყველა ხვანჯარს ადვილად აღწევდა თავს.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ შეგხვდით ერთმანეთს. ზედმეტად მხიარული მეჩენა. ჭროლა თვალები ეშმაკურად უცინოდა. რკინიგზის ვაგზლის ბუფეტში მიმბატოყა და გვარიანად გამომასპინძლდა. იქვე გადაწყვიტა ჩემი ბედიც. ერთი ბოთლი არაყი რომ გამოგვცალეთ, მკითხა, სისწავლებელში დაბრუნებას თუ აპირებო. უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, მაშინვე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მე შენთვის ერთი კარგი სამსახური ვიშოვე, — დაიწყო მკირვლი დაფიქრების შემდეგ. — იასნოგორსკიდან ორმოცი ვერსის დაშორებით, ზახარინოში, ნაცნობი მემამულე, პორფირე მარკოვი, ცხოვრობს. უშვილობიო მოხუცია. დიდი წუწუშრაქი ვინმეა და სანათესაოსთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს. ისეთ კაცს ეძებს, რომელიც მისი მეურნეობის გამგებლად გამოადგება და სიბერის წლებს უზრუნველად გაატარებინებს. ერთი სიტყვით, შვილობილს ეძებს. შენ ზედგამოჭრილი ხარ მისთვის. მე შენს შესახებ ვესაუბრე და თანახმაა შეგვხედეს. რას და როგორ მოილაპარაკებო, ეს უკვე თქვენი საქმეა. თავს თუ მოაწონებ, უთუოდ აგიყვანს, თუ არა და, ნახვამდის უზრუნველო ცხოვრებაც! ახლა რაცა ხარ, იმად დარჩები. რაც არ უნდა გკითხოს, დაფიქრდი და ისე უბასუხე. ნუ აჩქარდები. მოხუცს დინჯი და ენამოკლე ხალხი უყვარს. მე შენში ყველა ამ თვისებას ვხედავ და იმედი მაქვს, ყველაფერ ამას ადვილად გაართმევ თავს. შეგიძლია შენი ბედი დამოუკიდებლად გადაწყვიტო?

— რა თქმა უნდა, ბავშვი ხომ აღარა ვარ. — მივუღე მაშინვე — ისე, მშობლებმა რომ იცოდნენ, ურიგო არ იქნებოდა.

აი, ხომ ხედავ, მაინც ვერ ფლობ საკუთარ თავს. მათ რომ დავიშალონ, მაშინვე ზურგს შეაქცევ კარზე მომდგარ ბედნიერებას. მერედა, რას მოიძიე ამით? მუდმივ წვალუბასა და გაჭირვებას. ლატაკი და ჯიბეგაფხეკილი ახლა ბევრი დადის რუსეთში და შენც იმ დიდი საზოგადოების ერთი გამორჩეული წევრი იქნები. ახლავე უნდა მიიხრა; პო, თუ არა. ხვალ უკვე დაგვიანებული იქნება. პორფირე ამ საღამოს თავისთან გველოდება. ასე შეგთანხმდით. თუ გადაწყვიტე, ნულარ გაყოვნებო, არადა, ღმერთმა ვზა მშვიდობისა მოგცეს.

ცდუნება დიდი იყო და მაშინვე დავთანხმდი. ზახარინოში გვიან

ლამით ჩავედით. პორფილე გველოდა. როგორც კი ჭიშკარს მივაღებეთ, მსახურმა მაშინვე გაგვიღო და ეზოში შეგვიიღვა. ბატონის სახლამდ მიგვაცილა და ცხენების მისახედად გაბრუნდა. მეორე მსახურმა კი სახლის მეორე სართულზე აგვიყვანა და ჩვენი თავი მასპინძელს ჩააბარა. დიფანჩულწარბებიანი, დაბლგვრილი მოხუცი ერთხანს დაკვირვებით მათვალაუბრებდა და მერე კირილეს ჰკითხა:

— ეს არის შენი ნაქები ყმაწვილი?

— დიახ, ეს გაზღავთ პორფილე სერგვევის! რა, ცუდია?

— მე არ მითქვამს, ცუდია-მეთქი — პორფილემ მოკლედ შეკრეცილ,

ჟალარა წვერზე ხელი ჩამოისვა და კუშტი თვალებით ერთხელ კიდევ შემთვალაუბრა. — მარტო შეხედულება რისი მაქნისია, თუ ბუნებით მახინჯია.

— გამოდის, რომ ჩემს კანდიდატურას უარყოფ!

— ენახოთ, გამოცდი. ივარგებს — მაღლობს გეტყვი, თუ არა და — თავის თავს დააბრალოს. რა გვეჩქარება, მოვიცადოთ ერთხანს რას იზამ, მოიცდი? — ახლა მე მომიბრუნდა და ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა.

— მე და კირილე ამ საკითხზე უკვე შევეთანხმდით. წასვლა რომ მდომებოდა, აქ არც მოვიდოდი! — მოკლედ გუბასუხე და მაშინვე მიგზავდი, რომ ნათქვამი კარგად გამომივიდა. კირილემ მოწონების ნიშნად თვალი ჩამიგრა.

— ლუკურ შენ, რა ენამოსწრებული ჩიტი ყოფილა. — ერთბაშად გამხიარულდა პორფილე. — შე კი ვიფიქრე, მუნჯია-მეთქი.

— ხანდახან ეგვც საჭიროა. ზედმეტი სიტყვა საქმეს წაახდენს! — ახლა უკვე თამამად მივუგე და საბოლოოდ მოვიგე მოხუცის გული.

— სწორი ხარ, არ გელაგები, — მითხრა მან, — ენაქარტალა ხალხი არ მიყვარს. აკეთე ბევრი და ილაბარავე ცოტა. სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მოკლედ მოსჭრი. ახლა გადით, თავი წესრიგში მოიყვანეთ და დანარჩენზე სუფრასთან მოვისაუბროთ.

— როგორი მოხუცია, მოგეწონა? — მკითხა კირილემ, როცა ოთახიდან გამოვედით.

— რა ვიცი, წინასწარ რა გითხრა; ამომავალ მზეს დილით შეეტყობა. ისე, დიდი უკმეხი ვინმე ჩანს. პირველი ნახვითანვე არ მომეწონა, მაგრამ არაფერია, გავუძლებ. ენახოთ, ჩვენს შორის რომელი უფრო კერგეტი კაცალი იქნება.

— ფრთხილად იყავი. შენ რომი გგონია, არც ისეთია. მაგან ბევრი მოინელა და თუ დასჭირდა, არც შენ დაგზოვავს.

ჩვენი იმდამინდელი საუბარი ამით დამთავრდა. კირილე მეორე დღესვე გაემგზავრა. წასვლის წინ დამპირდა, რომ ჩემს ამბავს



დაწვრილებით შეატყობინებდა მამაჩემს და საქმესთან დაკავშირებულ ყოველგვარ უსიამოვნებას თავიდან ამაცილებდა.

ერთხანს წყნარად და უშფოთველად ვცხოვრობდით. ჩემს მოვლეობას შეადგენდა მოსამსახურეებზე თვალყურის დევნება, მოტანილი ჭირნახულის აღრიცხვა-დაბინავება და ფინანსების კონტროლი. ერთი სიტყვით პორფილეს მეურნეობის რევიზორი ვიყავი. პირველ ხანებში ისე გამიჭირდა, თავბედი ვიწყევლე, მაგრამ შემდეგ ყველაფერს ავუღე ალლო. მასხოვდა კირილეს შეგონება და ფრთხილად ვიყავი. ყველას ეჭვის თვალით ვუყურებდი და ახლოს არავის ვიკარებდი. ერთადერთი ადამიანი, ვინც ყველაზე მეტად დამიხსლოვდა, მოუთრავი იყო. საღამოობით, მოცალეობის ჟამს, ან მე მეწვეოდა, ან მე თვითონ გადავიდოდი მასთან და სახელდახელო პურმარილს შეგვიქცევოდა.

ჩვენი დაახლოება რატომღაც არ ეკაშნიკა მოხუცს და ამის გამო შენიშნავს კი მომცამე არც ვაციე, არც ვაცხელე და ამის შესახებ ანტონს, ასე ერქვა მოუთრავს ყველაფერი ვუამბე.

— ახირებული ტიპია. ყურადღებას ნუ მიაქცევ — მითხრა ანტონმა.

მაგრამ მეორე გაფრთხილება უკვე მეტისმეტი იყო და ანტონს ცოტა უნებლად ვუთხარი: ბოლოსდაბოლოს, გამაგებინე, რას გემართლება-მეთქი.

— ზღდება, რომ მისი ბინძური წარსული ვიცი და ეშინია, არავის გაგუმზილო — როგორც იქნა, გახსნა კარტი ანტონმა.

— რაა ასეთი, არ შეიძლება მეც ვიცოდე?

— არაა საჭირო. შარიანს საქმეა. ზომ გაგიგონია; ორმა იცის, ღორმაც იცისო.

— რა, არ მენდობი? — ვიწყინე მე.

— ნდობა ერთია, გამართლება — მეორე. საკუთარ ენას მტრად ვერ მოვიკიდებ.

აღარ ჩავეძიე. ვიფიქრე, გავა ღრო და ყველაფერს თვითონ მეტყვის-მეთქი.

ასეც მოხდა.

ერთხელ, როცა მეზობელი სოფლიდან გბრუნდებოდით, ანტონმა მითხრა, რომ კლადიმირში ახირებდა მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას. ჩემები იქ არიან და უფრო თავისუფლად ვიქნებო, დასძინა ბოლოს.

— აქ რა, საბატუმოში ხარ? — გამეცინა მე.

— რაც არ უნდა იყოს, პროვინციაა. გარდა ამისა, ვერ ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი.

მე გაგვაცვიფდი. მივხვდი, საიდუმლოსთან ახლოს ვიყავი.

— მაინც რა ვერ იპოვე? — ისევ ჩავეძიე. ვგრძნობდი, რაღაც მნიშვნელოვანს გავიგებდი და არ მინდოდა, შემთხვევა ხელიდან გამეშვა.

არყით გახალისებულმა ანტონმა როგორც იქნა, მოხსნა გუდას თავი

და რაც შიგ ეწყო, ყველაფერი მზის გულზე ამოაღა.

— ჩვენი მოხუცი დიდი ცოდვილი ვინმეა. — დაიწყო ანტონმა ყოველგვარი შესავლის გარეშე. — ახალგაზრდობაში თურმე გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა და ყელამდე ვალებში ჩაეფლო. მამამისმა ფულის მიცემაზე უარი უთხრა და სახლიდან გააძევა. დიდხანს დაეხეტებოდა უმიზნოდ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში. ცდილობდა სამუშაო ეშოვა და თავი ერჩინა. ბოლოს აქ მოსულა და ამ მამულების ადრინდელ პატრონს მევინიბედ დადგომა. იმდენს ცდილა, რომ მსახურთუფროსად დაწინაურებულა. თაღლითსა და გაიმგერას საიდანაც გაუგია, რომ მის პატრონს დიდი ვანძი ჰქონია და მისი ხელში ჩაგდება გადაუწყვეტია. საიდან არ მოუტარა თურმე, რამდენს არ ეცადა, მაგრამ ვანძის საიდუმლო ვერა და ვერ გაიგო. ბოლოს, ზაფხულის ერთ დღიას, როცა ყველა სამუშაოზე გაიკრიფა, ტახტზე წამოწოლილ პატრონს, დამბაით ხელში, თავზე დაადგა და გადამაღული ვანძი მოსთხოვა. რა ვანძი, რის ვანძი, შენ ჭკუაზე აფრაცად ხომ არა ხარო, უყვირია მოხუცს მოძალადესათვის, მაგრამ ჩანძის შემართული დამბაჩის დანახვზე ფარხმალი მალე დაუყრია, წინ გასძღოლია და სამალავი უჩვენებია. იქ, სხვა სიმდიდრესთან ერთად, ერთი აღმასის თვლებით მოოჭვილი ოქროს თასიც ყოფილა...

უკან რომ გამობრუნებულან, ამ ჩვენს სერგეევჩის თავისი მფარველისათვის საწამლაიანი ჭიქა მიუწოდებია, მასაც გამოურთმევია და სანამ დაღევდა, ასე დამოძვრა თურმე: — იმ თასმა ბევრს მოუტანა უბედურება და არც შენ იქნები გამონაკლისი, ოდესმე ჩემი ცოდვაც მოგეწყვია... პორფილემ განსვენებული დიდი პატივით დაკრძალა და რადგან აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო, ეს მამულები მალე ხელში ჩაიგდო. შეერთო ცოლი, შეეძინათ შვილები და დარდი არაფრისა ჰქონდა. რასაც მოისურვებდა, ყველაფერს იოლად ისრულებდა... გამოსდა ხანი და მართლა უწია ცოდვამ; — უფროსი ვაჟი ცხენიდან გადმოვარდა და თავგაჩეხილი იპოვეს მინდორში. მეორე ვაჟი მდინარეში დაიხრჩო. ქალიშვილი ორმა მოქიშპემ ერთმანეთში ვერ გაიყო და გაწეც-გამოწეცაში შემოაკვდათ. ცოლი შვილების დარდმა მოინელა. ეგ ერთილა დარჩა და იმ ვანძის საიდუმლოს ალბათ საფლავში ჩაიტანს.

ანტონმა თხოობა დაასრულა. ერთხანს უბრადა მივაჭვნებლით ცხენებს მტვრიან შარავზაზე. ბოლოს გელარ მოვითმინე და გკითხე:

— შენ თვითონ რატომ არ მიბაძე პორფილეს მაგალითს?

გაკვირვებული თვალებით შემომხედა. ალბათ არ ელოდა ასეთ კითხვას.

— მე არა ვარ მაგის კაცი. ადამიანის სისხლში ხელის გასვრას არა ვარ მიჩვეული. სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ავაგებ.



— მიბასუნა და თითქოს თავისი ნათქვამისა შერცხვავო, თავმდაბრუნდა.

— მე რატომ მიაბზე ევ ყველაფერი?

— კარგი ბიჭი ხარ და იმიტომ. თუ ოდესმე ის სიმდიდრე ხელში მოივლე, არ დამივიწყო.

— განა შენ კი არ ცდილობარ?

— როგორ არა. ვერაფერს გაგზდი. სახლის არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დამრჩენია მოუხსრეკავი, მაგრამ ვერ მივაგენი. თხუთმეტი გრძელი წელიწადი შეგწირე მის ძებნას და მაინც ვერაფერს გაგზდი. იქნებ, შენ გაგიღიმოს ბედმა.

— ღმერთმა გისძინოს! თუ ამ წყალობას ველირსე, პატივისცემას პატროსანი კაცობით გადაგხდი.

— მე მჯერა შენი! თუნდაც ამ დაპირებისთვის წინასწარ გიხდი მაღლობას.

ამასობაში ჩვენს სამყოფელს მივადექით და ერთმანეთს დაგმორდით.

ერთი კვირის შემდეგ ანტონი გამოგვეთხოვა და ვლადიმირში წავიდა.

პორფილე, რაკი მესაიდუმლე თავიდან მოიშორა, გახალისდა. მეზობელი მეპატონეების მიწვევასაც სიამოვნებით თანხმდებოდა. პირველ ხანებში რაღაცას თითქოს ეჭვობდა და გვერდიდან არ მიცილებდა. სადაც წავიდოდა, თან მიახლებდა ხოლმე, მაგრამ ბოლოს, რაკი ჩემს „უეცობაში“ დარწმუნდა, ჩემს ნებაზე მიმიშვა. მეც სწორედ ეს მინდოდა და დაუყოვნებლივ შევეუდექი მოქმედებას. ვეძებდი და რომ ვერ ვპოულობდი, სიგიჟედ მევიდოდი. ბოლოს არაქათი გამომელია და ძალადობა განვიძირახე. სამწუხაროდ ვერ შევძელი. ვერ მოვახერხე სხვისი სიცოცხლის ხელყოფა. ავანტიურისტი უნდა იყო კაცი, რომ ეს შეძლო. ჩემში კი ეს გენი არ არსებობდა.


მიიწურა ხუთი წელი. მე კვლავ ერთგულად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ბატონი პორფილე კმაყოფილი მყავდა და მეც მეტი არაფერი მინდოდა. სხვა ხელობასთან ერთად ვისწავლე პირფერობა, ეშმაკობა, ტყუილი, მლიქვნელობა, სხვათა თვალში ნაცრის შეყრა და რაც მთავარია, ყველას ნდობის მოპოვება. თავისუფლად შემიძლო, სადაც მომესურვებოდა, იქ შევსულიყავი, დამეხარჯა იმდენი, რამდენიც მინდოდა. სადავემიშვებელი ცხენივით დაგვირითობდი აქეთ-იქით. პორფილე გვარიანად მოტყდა და ჩემს მოქმედებას ეგრერივად ვეღარ აკონტროლებდა.

ერთ დღეს იასნოგორსკში გაემგზავრა და დამიბარა, რომ ორ დღეში დაბრუნდებოდა. სიხარულით ცას ვეწვიე. ერთხელ კიდევ მეძლეოდა საშუალება, ეს წყეული სახლი თავდაყირა დამეყენებინა.

მოსამსახურეები ცოტა გვეყავდა და ისინიც მალე მოვიშორე თავ-

2010

იდან. პირველად მოხუცის საწოლ ოთახში შევედი. ვიხ მოსთვლის
რამდენჯერ გამოდილვარ იქ, მაგრამ ყოველთვის ხელცარიელი წავსულე.
არ. ახლაც თანხმდევრობით ჩამოვხსენი კედლებიდან მიმი, ძვირფასი
ხალიჩები. საგულდაგულოდ დავათვალიერე ყოველი ნაბზარი, ყოველი
საქეო აღგილი. ბოლოს, იმედგაცრუებული შუა ოთახში გავჩერდი.
ოთახი საკმაოდ დიდი იყო და ზამთრობით ორი ღუმელით თბებოდა.
რატომღაც ჩემი ყურადღება მარჯვენა კუთხის ღუმელმა მიიბყრო. იგი
მოცულობით პირველისაგან ბევრად განსხვავდებოდა და ფორმაც
თავისებური ჰქონდა. პირველი მთლიანად აფურისა იყო, ამას კი სახურავი
ლითონისა ჰქონდა. გამოწეულ კედლებში ხელი ჩავავლე და მთელი ძალით
აეწეე. აღვილად დამემორჩილა. ფსკერიც ლითონისა იყო — თავსა და
ბოლოში პატარა სახელურებიანი, სახურავი იატაკზე გადმოვართიე და
ახლა იმ სახელურებს შევები. არ დამნებდა. ცოტა შევისვენე. ღვარად
ჩამოდენილი ოთხი მოვიწმინდე და მეორედ მოვსინჯე. არც ამჯერად
გამიმართლა. რაში იყო საქმე ვერ ვხვდებოდი. შევეშვი. ყოველი კუთხე
გულდასმით დავათვალიერე. ერთგან ლითონისვე პატარა კაუჭი შევნი-
შნე. მოვქაჩე. მაშინვე გამოძვრა, ფსკერიც ამოიწია და ხმაურით
ამოიკეცა. შევნითა მხრიდან ისეთი ძალით მოასკდა კედელს, კინაღამ
ხელი მომამტვრია... ქვეშ, სიღრმეში ჩამავალი კიბის საფეხურები დაე-
ლანდე და მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს მივაგენი იმას, რასაც აძე-
ენი ხანია ვეძებდი. ჭრაქი ავანთე და ნახევარსარდაფში ფრთხილად
ჩავედი. ეს იყო პატარა სათავსო, რომელშიც თავი კუდს ვერ მოიქნე-
ვდა. კუთხეში რკინით შეჭედილი სკივრი იდგა, რომელიც ვიება
ბოქლომით იყო დაკეტილი. ახლა გასაღები იყო მოსაძებნი. აქეთ ვეცი,
იქით ვეცი მაგრამ ვერადფერი ვერ ვიპოვე. გაწბილებული გამოვბრუნდი
უკან. ზევით რომ ამოვიდი, ღუმელის ქვეშ პაწია ნიში შევნიშნე.
ორი თითი ძლივს შევაპარე შიგ და მაშინვე ლითონის ნაცნობი სიცივე
ვიგრძენი... ვაშა, გასაღებიც ნაპოვნია! და იმ წუთას თავი ათას ერთი
ღამის გმირად წარმოვიდგინე. ბოქლომი გავხსენი და სკივრს თავი ავხადე.
ღმერთო ჩემო! რაღა არ იყო შიგ; — ნაირ-ნაირი ბეჭდები, საყურებები,
სამაჯურები, ძეწკვები, გულქანდები — სულ ბაჯაღლო ოქროსი. გიშრის
მძივები, მარგალიტის ყელსაბამები და თასი... აღმასისთვლებიანი თასი,
რომელსაც ალბათ ზღაპრული ფასი ედო. ავიღე და ხელში შევატრ-
ილე. ხელოვნების უნიკალური ნიმუში იყო. მსგავს რამეს ალბათ სი-
ზმრადიც ვერ ვიხილავდი. ფსკერზე, გარეთა მხრიდან, წარწერა ჰქონდა.
მე მისი წაკითხვა არ შემეძლო. ოთახში დავბრუნდი, კარადის უკრიდან
საწერკალამი და მელანი ამოვიღე და უცნობი სიტყვები ზუსტად გადმო-
იწერე. შემდეგ ყველაფერი, როგორც იყო, ისეთ წესრიგში მოვიყვანე,
ჩემი იქ ყოფნის ყოველგვარი კვალი წაგშალე და გულდაშვიდებით



გამოვიზურე მოზტუცის საძინებელი ოთახის კარი.

პორფილე სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. გამუდმებული არყის სმისაგან ხმა ჩახლენოდა. ყრულ და გაბნით აბგელებდა. ეტლიდან გადმოვიდა თუ არა, მაშინვე მოსვენება იწება. საღამოს სიცხე მისცა. შინამოსამსახურე ლუსია შუბლზე დადებულ ცივ საფენებს ხშირ-ხშირად უცვლიდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს შველოდა. მაშინვე ექიმის მოსაყვანად ვაფრინე ბიჭები. მე აქ ვიყავი საჭირო და ადგილზე დავრჩი. ერთი საათის შემდეგ პორფილემ თავისთან მიხმო. საამქვეყნო პირი რომ იღარ ჰქონდა, მაშინვე მიგხვდით. მე, ჩადენილი ბოროტების გამო, არ შემცოდებია იგი. ვუყურებდი და გვრძნობდი, რომ მისი წასვლით არცერთი აქ მყოფთაგანი არაფერს კარგავდა. პირიქით, ბევრი შევებასაც იგრძნობდა. მისი თხოვნით ლუსიამ დაგეტოვა და ხელით მანიშნა, ახლოს მიგსულიყავი. მივედი და სასთუმალთან დავიჩოქე.

— ადექი, სკამზე დაჯექი! — მიღუღლი ხმით მიბრძანა.

დავემორჩილე. რაც მითხრა, მაშინვე შევესრულე.

ერთხანს თვალდახუჭული იწვა. მძიმედ სუნთქავდა. სიფითრემორეულ სახეზე ცხადად აჩნდა ტანჯვის კვალი. როგორც იქნა, თავს მოვირია. ქუთუთოები მძიმედ ასწია და ნახევრად აგონიაში წასულმა თითქმის ჩურჩულით ამოთქვა:

— მე ექიმი ველარაფერს მიშველის. მიქელგაბრიელი უკვე თავზე მადვას. ჩემი ქურთუკის ჯიბიდან გასაღები ამოიღე, არ დაიკარგოს. სეიფის გასაღებია... იქ ანდერძი დევს... მე არავინ არა მყავს, ყველაფერი შენ დაგიტოვე... მოუარე და იცხოვრე! წყალი დამალევიან...

მაგიდიდან წყლიანი ჭიქა ავიღე და პირთან მივუტანე. ორიოდვე ყლუბი მოსვა და ბალიშებს მიესვენა.

— იმ ანდერძით განძიც მე მეკუთვნის? — ვკითხე მომაკვდავს.

პორფილეს სახე მოუფერიადა. სიცოცხლემ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა. თვალები სწრაფად გაახილა და გაოცებით მომაშტერდა.

— არავითარი განძი არ არსებობს...

— არსებობს! — ჯიუტად დავუდღასტურე მის ნათქვამს.

— ანტონის ზღაპრისა გჯერა?

— მეგრა!

— თუ გჯერა, ეძიე და იპოვე... და რომც იპოვო, ხელი არ ახლო... ცოდვის განძია ის... ცოდვის... ცოდვის... მეც იმის ცოდვამ მიწია...

პორფილემ თვალები დახუჭა და გათავდა.

მისი გარდაცვალების შემდეგ მოსვენება დავკარგე. სიზმრად თუ ცხადად სულ იმის შიშში ვიყავი, რომ ყაჩაღები და ქურდები არ დამსხმოდნენ თავს და განძი არ გაეტაცნათ. ამ შიშს ისიც აძლიერებდა, რომ დასაფლავებაზე ანტონიც გამოჩნდა, რომელმაც მკითხა, ხომ არ



გიბოგნიასო. არა-მეტქი, ვიცოდე. ჩემი ნათქვამი რომ არ დაიჯერა, თვალეზში შევატყვე. ახლა ცალკე იმისიც მეშინოდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ვიღაცა გამუდმებით მითვალთვალებდა. ორ წყალშუა ვიყავი მოქცეული და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს გადავწყვიტე, განძი სხვაგან დამემალა. ყველაზე მეტად თასის დარღი მქონდა. ყველაფერი წაეღოთ, ოღონდ ის გადაარჩინილიყო.

ეზოში ერთი მიგდებული ფიცრული ფარდული იდგა. შიგ ათასგვარი ხარახურა ეყარა. მეც ავიღე, მის ერთ კუთხეში პატარა ორმო ამოეთხარე და თასი იქ დავმარხე. მასთან ერთად დავმარხე განძის გარკვეული ნაწილიც. ახლა უკვე გული საგულეს მქონდა. ჩემზე მდიდარი და ბედნიერი კაცი მეორე აღარ მეგულებოდა ქვეყანაზე.

თურმე როგორ ვცდებოდი.

ერთხელ, ჩემი შინ არყოფნის დროს, რაღაც მიზეზით სახლს ცეცხლი გასჩენოდა და ყველაფერი პირწმინდიდ გაენადგურებინა. ნახანძრალზე შავად გამურული საკვამურები დამხვდა მხოლოდ. ვიცოდი, სამალავამდე ცეცხლი ვერ ჩააღწევდა, მაგრამ დღისით, მზისით იქ ჩასვლა არ გინდოდა? ათასი თვალი მდარაჯობდა და ამის გაკეთება ჩემის მხრით, დიდი უფნურობა იქნებოდა. ბოლოს, შევარჩიე ხელსაყრელი დრო და სარდაფში ჩავდი. სკივრი ცარიელი დამხვდა... ლუსიას ბიჭზე მივიტანე ეჭვი. იმ ხანძრის შემდეგ იგი თვალით აღარ მინახავს. მანამდე სულ აქ ტრიალებდა. ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან ჯერ უსასკო იყო და აბა, რა ჭკუა მოეკითხებოდა.

ერთ საღამოს, როცა ლუსია საქმეს მორჩა და წასასვლელად ემზადებოდა, გულთხარი დარჩი, საქმე მაქვს — მეტქი. იგი გაფითრდა, თვალი მომარიდა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მღრღნელ ჭიასავით გულში ჩაბუდებული ეჭვი.

— ვასია სად არის? — გვითხე ოთახში შემოსვლისთანავე.

— ბებიამისთან წავიდა. — მიბასუხა ჩამქრალი ხმით.

— როსტომში?

— ჰო!

— ვინ გაყვა?

— ბახომის ბიჭი ვანია. სხვათა შორის, ბებიამისიც იქ ცხოვრობს.

— მე რატომ არაფერი მკითხეთ?

— რა ვიცი. მითხრეს, მალე დავბრუნდებითო და საჭიროდ აღარ ჩავთვალე თქვენი შეწუხება და ნებართვის გამოთხოვნა.

— ცუდად მოქცეულხარ, ლუსია, ძალიან ცუდად!

— რა იყო, ბატონო, დააშავა რამე?

— ბავშვია ჯერ. შეეჩვევა ზევით-ქვევით წანწალს და დღეს თუ არა,

ხვალ რაღაცას დააწაფებს. ყურადღება უნდა მიიქციო.



— ამ ერთხელ მაპატიეთ, ბატონო. როგორც კი დასაწყისი დაიწყო, აუცილებლად მივიღებ საჭირო ზომებს.

— კარგი, წადი!

მოჭამაგირე შეავდა ერთი. ზედმიწევნით ერთგული იყო. რაც არ უნდა დაგვევალებინა, თავს მოიკლავდა და შესარულვებდა. საიდუმლოს შენახვაც იცოდა. მის ასეთ თვისებას დიდად ვაფასებდი და გასამრჯელოსაც, სხვების უჩუზრად, მეტს ვაძლევდი. თუ მიშველიდა, მხოლოდ ის მიშველიდა ახლა. ჩემთან დავიბარე, მაშინვე მებახლა.

— როსტომში ყოფილხარ? — როგორც კი შემოვიდა, მაშინვე გკითხე.

— როგორ არა, ჩემი დედუღეთია ბატონო. დონზე ვარ გაზრდილი.

— რომ გაგაგ ზავნო, წახვალ?

— როდის მიბრძანებთ?

— თუნდაც ამ საღამოსვე.

— რა არის ასეთი საჩქარო, ჩემო ბატონო?

— უნდა მოძებნო ლუსიას ბიჭი ვასილი და პახომის ვანია. გაიგო, რას აკეთებენ. ისეთი რაღაცა მოიგონე, რომ მათი ნდობა მოიპოვო.

— როდის დავბრუნდე?

— როდესაც ყველაფერს დაწვრილებით გაიკებ.

— შემიძლია წავიდე?

— წადი, მაგრამ ისე, რომ არავინ განახოს! არც შენთანებთან თქვა რამე.

ორი დღის შემდეგ მეც მოსკოვს გავემგზავრე. ბირადი საქმეები რომ მოვავგარე, ჩემებს ვეწვიე. მამა აღრე ჩემზე განაწყენებული იყო, მაგრამ მერე შემირიგდა და ახლაც, ჩემი გამოჩენით გაიხარა. დედა ზომ გვერდიდან აღარ შშორდებოდა. იმ დროისთვის მძის ცოლი შერთული ჰყავდა და ცალკე ცხოვრობდა, და კი სამარაში გათხოვდა და იშვიათად ჩამოდიოდა. მარტოობის სევდით დაღარდიანებული მოხუცები უფრო მოტეხილი მეჩვენა. მე მათ ჩემთან გადმოსვლა შევთავაზე. უარი არ უთქვამთ და მაშინვე დაიჭირეს გამგზავრების თადარიგი. სანამ უკან გამოვბრუნდებოდი, მანამდე უნივერსიტეტში შევიარე. იქ ერთი ნაცნობი პროფესორი მყავდა. უცხო ენების შეუდარებელი მცოდნე, რომელიც საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა საზოგადოებაში. მე მის თასის წარწერა გაჩვენე და ვთხოვე, ეთარგმნა.

დახედა თუ არა, ფეხზე წამოიჭრა. მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა. ხელები უცნაურად უცახცახებდა.

— სად ნახე ეს? — მკითხა და სათვალეების მინებიდან მოჭუტული თვალებით გამომხედა.

— პორფილეს სახლში — მივუგე რაც შეიძლებოდა მშვიდად, რადგან მისი ასეთი უცნაური საქციელი ვერაფრით ამეხსნა.



— ვინ არის პოზფილუ?

გუთხარი ვინც იყო. ისიც დავუმატე, რახანია გარდაიცვალა — მეტქმისი მომეცა.

— როდის იპოვე?

— აღარ მახსოვს. მას შემდეგ დიდი ხანია გასული.

— იცი, რისი წარწერაა ეს?

— წარმოდგენა არა მაქვს. რომ მცოდნოდა, შენთან ზომ აღარ მოგ-
იღოდი.

პროფესორმა შეძინული კარადის კარი გამოადო, ქაღალდებში
დიდხანს რაღაცა ეძებდა, ბოლოს, როგორც იქნა მიაგნო და მაგიდაზე
სწორედ ის იქროს თასი დამიდო. ოღონდ ეს იყო უზადო ხელოვნებით
შესრულებული ნახატი.

— გინახავს? — მკითხა გამომცდელად.

— პირველად ვხედავ — ვუბასუნე საკმაოდ ცივი ტონით და იქვე
დავუმატე: — განა, წარწერა ამ ნახატს ეკუთვნის?

— ნახატს კი არა, ზღაპრულ ნივთს, რომელიც ინდოეთშია
დამზადებული და საუკუნეზე მეტია, ეძებენ

— მოიპარეს?

— კო, გაიტაცეს — მძაყვევლებმა იგი თავდაპირველად ინდოინეთში
გაყიდეს, იქიდან ალჟირში მოხვდა, ალჟირიდან ევროპაში გადაინაც-
ლა და ბოლოს კვალი ჩვენთან დაიკარგა. ასი წლის მანძილზე თითქმის
ნახევარი მსოფლიო შემოიარა.

— საინტერესოა წარწერა რას გვაუწყებს?

პროფესორმა ფურცელი აიღო და სიტყვასიტყვით შემდეგი მითა-
რგმნა: „რიშანდრა ჩანდის საკუთრება ვარ!“

ვინც ჩემს გატაცებას შეეცდებოდა, უბედურებას ვერ აიცილებს თავ-
იდან!”

მე გამეცინა.

— რა არის აქ სასაცილო? — იწყინა პროფესორმა.

— წარწერაში არაფერი, მაგრამ ვისაც უბედურება შეემთხვევა, ყველა
მაგ ნივთის მფლობელია?

— ყველა არა, მაგრამ ვიღაცა ზომ არის?

— და თქვენ გჯერათ ასეთი ნაგებობებისა?

— მჯერა — დაიქნია თავი პროფესორმა — ბედისწერა საშინელი რამ
არის.

— წარწერასთან ბედისწერა რა შუაშია?

— იმ შუაშია ჩემო კარგო, რომ თვითონ ეს ნივთია ბედისწერა.

— თქვენ რომ გქონდეთ, რას იზამდით?

— იმწამსვე დავუბრუნებდი პატრონს

— რისი გულისთვის?

- უზარმაზარი თანხის საზღაურად.
- ეი, მაგრამ ვინ იხდის ბატონო პროფესორო მაგ თანხას?
- ჩანდის შთამომავალი.
- მეუღლეს რა გარანტია აქვს, რომ გადაუხდის?
- არსებობს სპეციალურად დამოწმებული საგარანტიო საბუთი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს.
- დიდი მადლობა ბატონო პროფესორო — წამოვდექი და გამომშვიდობების ნიშნად ხელი გავუწოდე — ბოდიში შეწუხებისათვის.
- საბუთს არ წაიღებ?
- რა საბუთს? — გავიოცე მე.
- საგარანტიო საბუთს. ვინიცობას, ის ნივთი რომ ხელში ჩაიგდო, დაგჭირდება.
- ეეჰ, თქვენც ერთი, მოუცლიათ. — ჩავიქნე ხელი და ჩემი ხელნაწერი ჯიბეში ჩავიდე. არ მინდოდა, მათთვის რაიმე სამხილი დაბეჭდვებინა და სწორადაც მოვიქეცი.
- ისე, ყოველი შემთხვევისათვის მაინც გირჩევ საბუთის წაღებას. ამით ხომ არაფერს კარგავ. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს იგი.
- ვინ მომცემს?
- მე!
- თქვენ საიდან?
- შარშან ჩანდის წარმომადგენელი იყო აქ. რამდენიმე ცალი დამიტოვა — პროფესორმა სეიფიდან უცხოგერბიანი პრიალა ფურცელი გამოიღო და მომაწოდა — შეინახე. იქნებ ოდესმე რაღაცაში გამოგადგეს.
- მე მაგისი ბედი ვინ მომცა — განგებ მოვისაწყვლე თავი — იგი იმათ უფრო სწყალობს, ვინც დიდების კვარცხლბეკზეა ასული და მღაბიოს ზევიდან დასცქერის მედიდურად, დამცინავად.... ნახვამდის პროფესორო!
- მოწოდებული ფურცელი ჩემს ხელნაწერთან შევინახე და მაშინვე დავტოვე პროფესორის კაბინეტი.
- ...თვედორემ გამშრალი ტუჩები მოილოკა. მე წყალი მივაწოდე. გატყობდი, სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა და მორიდებით ვთხოვე, რომ მცირე ხნით დაესვენა, მაგრამ არ ქნა. სახვალიოდ გადადებული საწმე არ ვარგავ, მიპასუხა და განაგრძო:
- მოსკოვში აღარ დავკონებულვართ. კვირის თავზე უკვე ზანზარინოში ვიყავით. ჩემს მოხუცებს მოეწონათ მყუდრო კუთხე. ყველაფერი სატულდაგულოდ დაათვალიერეს და მეტად კმაყოფილი დარჩნენ. მეც მიხაროდა, რომ მარტოდ აღარ ვიყავი და ხმის გამცემი მკავდა. მხოლოდ იმას ვწუხდი, რომ მოჯამაგირე იგვიანებდა და როსტოვიდან

ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა.

მეჩვიდმეტე დღეს დაბრუნდა ჩემი მსტოვარი.

იმავე საღამოს მეახლა და რაც ნახა, ყველაფერი დაწვრილებით

მიამბო.

... როსტოვში როგორც კი ჩავედი, — დაიწყო თხრობა, მაშინვე მათ
ტეხნას შევუღმექი. ადვილად მივაგენი. ღონის სანაპიროზე რესტორან-
ში ჩეიფობდნენ. შორიდან დიდხანს გუთვალთვალე და როგორც კი იქ-
იდან გამოვიდნენ, უკან ავედევნე. დიდხანს იარეს და ბოლოს ქალაქის
განაპირა სახლში შევიდნენ. ძელური, ერთსართულიანი სახლი იყო.
გარშემო მაღალი მესერი ერტყა. ეზოში ქლიავისა და ვაშლის ხეები
იდგა. ფრთხილად დავხვერე იქაურობა და მესერზე გადავძვერი. ჩემდა
საბედნიეროდ პატრონს ძალი არ ჰყავდა, ღამეც ხელს მიწყობდა და
ერთადერთ განათებულ ფანჯარას მივუახლოვდი. ერთგან ფარდა
გახეული იყო და ყველაფერს კარგად ვხედავდი. ვასიამ ჯიბიდან ფულის
დასტები ამოიღო და მაგიდაზე დაუარა.

— ვანია, ნახე რა მდიდრები ვართ — მოაღწია ჩემამდე დახშულმა
ხმამ.

— ყოჩაღი ხარ. რაც შენ გააკეთე, მე მაგას ვერ მოვიფიქრებდი.

— ყოჩაღი მე კი არა, ანტონია. მან დამაყენა სწორ კვალზე. შენ რომ
არ დამხმარებოდი, მარტოდ მაინც ვერაფერს გავხდებოდი... სახლიც
ისე ოსტატურად დავწვით, ჩვენზე ეჭვი არავის აუღია.

— არ მოვიქექით სწორად. სახლი არ უნდა დაგვეწვა. სამალავი ხომ
ვიცოდით, წაგიღებდით რაც გვინდოდა და მორჩა.

— არა ხარ მართალი. რაიმე კვალს მაინც დაგტოვებდით და მაშინვე
დაგვიჭერდნენ.

— ანტონმა რომ რაღაც თასი ახსენა და ვერ ვიპოვეთ? — შეახსენა
ვანამ.

— იმასაც ვიპოვეთ. სადმე იქვე იქნება ჩამარხული. ჩვენ მის გარეშეც
იოლას გავალთ. იმდენი განძის მფლობელი ვართ, ას ჩვენი თანას ეყოფა.
ისე, რა დოყლაპია ყოფილა ჩვენი ბატონი, არა? — გულთანად გაიცინა
ვასილმა.

— აბა, კაცო. დღისით-მზისით ჩაძვრა ღუმელში. აზრზეც არ იყო,
სამალავიდან რომ გუთვალთვალეზდით.

— უკან რომ გამობრუნდა, რამე ხომ არ ამოუტანია?

— არა მგონია. მაშინვე მოვშორდი საფარს.

— ანტონს რამდენი მივცეთ? — ჰკითხა ვასიამ.

— მესამედი ეკუთვნის, მაგრამ იმაზე ნაკლებსაც დასჯერდება. ხომ
არ იცის, რამდენი რა იყო სკივრში?

— ბებიაშენსაც ხომ უნდა?



— ორი კაცი რა სათვალავში ჩასაგდებია. ბოლოს დაბეჭდეს ჩემი წილიდან მივცე.

— რამე ხომ არ წამოგცდენია მასთან განძის თაობაზე?

— გაგუდი? — თვალები დაუბრიალა ვანიამ — ეგ ისეთი დაუნდობელი დედაბერია, მაშინვე პოლიციას დაგვაყენებს თავზე. ბებიაშენთან მისვლა ჯობდა და არ დამიჯერე.

— არა, აქ უკეთესია; თავშესაფარიცაა და გასაქცევი გზაც აქვეა. შუაგული ქალაქიდან თავის დაღწევა ძნელია.

ვანია წამოდგა. განჯინიდან პური, ყველი, ძეხვი, ბადიით კიტრის მუყავე, ერთი ბოთლი არაყი გამოალავა და მაგიდაზე დააწყო.

ვასილი წამოდგა და ვანიას რაღაცა უთხრა. იმანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მივხვდი, რომ გარემოს დასაზვერად მოდიოდა და სწრაფად მოეშორდი ფანჯარას. უკანვე გადავძვერი ღობეზე და მოგქუსლე.

ასეთი კატათავგობანას თამაში რამდენიმე დღეს გაგრძელდა. არა და არ გამოაჩინეს განძი. ვერ აგზადე თარდა საიდუმლოს. მე ისევ ფარულად ვმოქმედებდი. ჩემი გამოჩენა მათში ეჭვს გამოიწვევდა და შორიდან ვუთვალთვალებდი. ერთი კვირის შემდეგ მათთან ერთად ანტონიც დავინახე. გამეხარდა, რომ წრე შეიკრა და ამდენ დევნას ბოლო მოეღებოდა.

სადამოს სამივე ჩემთვის ნაცნობ სახლში შეიკრიბა. საკვირველია, რომ ვანიას ბებიასათვის არცერთხელ არ მოძიკრავს თვალი არც ამჯერად ჩახდა. როგორც კი შიგნით შევიდნენ, ფანჯარასთან ჩემი ადგილი დავიკავე და სძენად ვიქეცი. ვანიამ სუფურის გაშლა დააპირა, მაგრამ ანტონმა არ დაახეხა. ჯერ გავსწორდეთ და ქეიფი მერე იყოსო. ვასია მეორე ოთახში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ თავმოკრული პატარა ტომარა შემოიტანა. გახსნა და რაც შიგ იყო, ყველაუფრო მაგიდაზე წამოჰყარა.

— სულ ეს არის? — იკითხა ანტონმა.

— თუ არ ჩავივლით ორ სამაჯურსა და რამდენიმე ბეჭედს, რომლებიც სახარჯოდ გავყიდეთ, ყველაფერი აქაა — უპასუხა ვანიამ.

— თასი მართლა არ იყო, თუ მე მატყუებთ?

— არა, იგი ჩვენ თვალითაც არ გვინახავს — ისეთი დარწმუნების კილოთი უთხრა ვასიამ, რომ ანტონმა დაიჯერა.

ვანძი სამ თანაბარ ნაწილად გაყვეს. ყველამ მიიღო თავთავისი წილი.

— ახლა შეგვიძლია, ვიქეიფოთ. მოიტა, სასუსნავი! — უთხრა ანტონმა ვანიას და ნებივრად გადაწვა სავარძელში.

საჭმელ-სასმელი ბლომად ჰქონდათ. ვხედავდი, როგორ აძალებდა სასმელს ანტონი ბეჭებს, თვითონ კი რაღაცას იმიზეზებდა და ჭიქას სანახევროდ ატოვებდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და მოსამარდავად გარეთ გამოვიდა. მაშინვე მოცხარის ბუჩქებისამოგვეთარე და გავეტრუნე.



ანტონმა მიდამო დაკვირვებით მოათვალიერა, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, შეამოწმა და ისევ უკანვე ჩააბრუნა.

— ესეც ასე — ჩაილაპარაკა ხმადაბლა — ორთავეს დედას გიტყვებ, ცინგლიანებო. თქვენი მოსატყუებელი კბილი რახანია მოვიცვალე.

გაცალე, სანამ სახლში შევიდოდა და ღობეზე გადაეხტი. მიხვედრით კი მიგზგდი, რომ საქმეს ცუდი სუნი უდიოდა, მაგრამ უცხო გარემოში ვიყავი და რა მეღონა, აღარ ვიცოდი. გადავწყვიტე უახლოეს სახლამდე მივსულიყავი და შეველა მეთხოვა. მაშინვე გავვარდი. გზაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ სადღაც შორს ყეფდნენ ძაღლები და ხმაურობდა ქალაქი. ნახევარ ვერსზე მეტი გავიარე და სახლების წყებაც გამოჩნდა.

ის იყო პირველივე ჭიშკარზე დაბრახუნებას ვაპირებდი, რომ ჩემდი ბედად მეზობელი ეზოდან ვიღაცა გამოვიდა. მალე მეორეც გამოჩნდა. გული მომეცა. მაშინვე მათკენ გავეშურე. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. ჩემზე ცოტათი უფროსები. როგორც კი დამინახეს, ნაბიჯი შეანელეს და დამელოდნენ.

— ბიჭებო, აქ ცხოვრობთ? — შორიდანვე ვკითხე.

— კი. აქაურები გართ — თითქმის ერთდროულად მიპასუხეს — რა გაგჭირვებია?

— აქედან ნახევარ ვერსზე, გზის პირას რომ სახლია, იცით?

— მარცხენა მხარეს? როგორ არ ვიცით. იქ ნინა ივანოვნა ცხოვრობს.

— ახლა, ამ წუთას, იმ სახლში მკვლელობა მზადდება და როგორმე ხელი უნდა შეეშალოთ.

— იარაღი აქვთ?

— ერთს რომ ნაღდად აქვს, ვიცი. დანარჩენ ორისას ვერაფერს მოგახსენებთ.

— ხომ ვერ გვეტყვი ვინ არიან?

— ერთი ნინას შვილიშვილია, ვანია. სხვებს არ ვიცნობ.

ერთმა, რომელიც უფროსი ჩანდა, ამხანაგს დავალება მისცა:

— გავარდი, იგორსა და ბორისა დაუძახე! იგორმა იარაღი წამოიღოს! ჩვენ გაგიჟცევით. დაგვეწვიეთ!

ის იყო სახლს მივატანეთ, რაღაც ასიოდე მეტრიდა თუ გვექნებოდა დარჩენილი, რომ ზედიზედ ორი გასროლის ხმა გაისმა.

დავაგვიანეთ.

სიმწრისაგან ტუჩზე ვიკბინე. პირში მღაშე სითხე ჩამელვარა.

ხშირიბინდი იყო, მაგრამ მაინც დავინახე, როგორ გამოსხლტა ჭიშკრიდან ლანდი და როგორც კი თვალი მოგვეკრა, მაშინვე საწინააღმდეგო მიმართულებით გაიქცა.

გავეკიდეთ.

რომ იგრძნო, მეწვეიანო. მოტრიალდა და გვესროლა.

ბეწვზე გადავრჩით.
გავფრთხილდით და ახლა უკვე ზოგზავისებურად მივდივართ
იქით უკვე სახლები იყო. სროლის ხმა გავგონათ და ახლა იქიდანაც
გამორბოდნენ.

ლტოლვილი ალყაში ექცეოდა.

იარაღს აღარ ხმარობდა. ტყვიებს თუ იზოგავდა.

გამწარებულმა გვიგანა და ბოსტნებისავე გაუტია.

დავინახე, როგორ გადაუჭრა იგორმა გზა.

ორივემ ერთდროულად გაისროლა. მიწაზეც ორივე ერთდროულად
დაღვარდა.

ყვირილი და ყაყანი ერთმანეთში აირია.

იგორი მაშინვე ფეხზე წამოიჭრა. ანტონი როგორც იწვა, ისე და-
რჩა.

ჩემი იქ ყოფნა უკვე აღარ შეიძლებოდა. სიბნელით ვისარგებლე, ვილა-
ცის გამონგრეულ ლობეში გავძვერი და თავს ვუშველე.

...აი, ასე დამთავრდა ეს ისტორია — მითხრა თევდორემ და დაღლ-
ილი თვალები მილულა.

— დაისვენეთ, იურევიჩ. მე ექიმის მოსაყვანად წავალ.

— არა! დარჩი! არ მჭირდება ექიმი. ჩემი თავის მკურნალი მე თე-
თონვე ვარ. ნუ შიშობ, ერთხანს კიდევ ვიცოცხლებ. ოღლას ღალატრი,
ერის ღალატია. ვაითუ, ჩემს შემდეგ გაუჭირდეს.

— აბა, რას ამბობთ, იურევიჩ. — შეგწუხდი მე. — განა ჩვენი იმედი
არა გაქვთ?

— რომ არ მქონდა, იმ საიდუმლოს პორფილესავით საფლავში ჩაგი-
ტანდი. მე მარტო იმას ვწუხვარ, შენ და ნატალიას შვილი რომ არა
გყავთ. გვარის გამგრძელებელი აუცილებელია;

— ჯერ ახალგაზრდები ვართ, ღმერთი არ გავგწირავს.

— ღმერთი... ღმერთი! — მწარედ გაცინა თევდორეს — მე მუდამ
მასზე ვლოცულობდი, მაგრამ რა გამოვიდა? სამი შვილი მყავდა, ორი
ვაჟი და ერთი ქალი. ბიჭები ათ-ათი წლისანი გამომაცალა ხელიდან,
სიძე დუელში მომიკლა. რას ვაქნევ ამდენ სიმდიდრეს, თუ ჩემს შემდეგ
პატრონი არ ეყოლა? მე უკვე შევადგინე ანდერძი. იგი ნოტარიუსის
ნიერ დამოწმებულია. მთელი ქონება თქვენია. ჩემს შემდეგ შეგეძლება
თავი აქაურობის ბატონ—ბატონად ჩათვალო, მაგრამ გეკითხები; შენს
შემდეგ რაღა იქნება? ვინ მოვა აქ, ვინ იცხოვრებს ამ სახლში?

— მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ წინ, იურევიჩ. ჯერ ხომ ურემი
არ გადაბრუნებულა.

— ბევრიც აღარ უკლია. ის შენი დაფეხვილი ურემი მალე გაფრინდება
ხრამში.

გახუმრება ვცადე:

— იურივი, იმ ანდერძით განძიც მე მცკუთვნის?

თევდორეს გაეცინა.

— განძი არ არსებობს!

— არსებობს!

— შენ რა, ჩემი ზღაპრებისა გჯერა?

— მჯერა!

— ის განძი ანტონმა წაიღო.

— მას თასი არ წაუღია.

— სწორი ხარ! იგი მიწის საკუთრება გახლავს.

— ჯანდაბას, იყო, თანახმა ვარ, მაგრამ ერთზელ მაინც შემახედა, რას წარმოადგენს.

— ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. ოცდაცამეტი ალმასის თვლითაა შემკული. სინათლე რომ მოხედება, მზესავით ელვარებს. სუფთა ოქროს გირგანქას იწოხის.

— რატომ პატრონს არ დაუბრუნე?

— პატრონი მოკვდა.

— როგორ, შენ მას იცნობდი?

— პროფესორი, რომელმაც თასის წარწერა მითარგმნა, ჩანდის შვილიშვილი იყო. გვარის უკანასკნელი მოპოვანი.

— იცოდი, ამ გვარს რომ ატარებდა?

— არა, არ ვიცოდი. იგი ჩვენთან რუსული გვარით ცხოვრობდა. როცა გარდაიცვალა, მერე გავიგე.

— ანტონიც მოკვდა?

— არა, გადაარჩა, მაგრამ გაგიჟდა. დადის ახლა და ყველას იმ თასის ამბავს უყვება. თასისა, რომლის ზღაპარი არავის სჯერა.

— ბიჭები?

— ორივეს შუბლი ტყვიით ჰქონდა გახერეტილი. ანტონს რა სასჯელიც ეკუთვნოდა, თავად მიხედები, მაგრამ სამწუხაროდ გიჟებს არ სჯიან.

— ესე იგი, ცოცხალი მოწმეები აღარ არსებობენ.

— მე და შენს გარდა, არავინ!

— გმადლობთ, იურევიჩ, სასიამოვნო საუბრისათვის. წავედი ახლა მე. თქვენ მოისვენეთ. თუ რამეში დაგჭირდეთ, შორს არ ვიქნები.

იმ ღამეს ველარ მოვისვენე. ძილში სულ ის მოეღვაწე თასი მესიზმრებოდა. თითქოს ვიღაც იტაცებდა და მოსაკლავად მივლევდი. ვიბრუნებდი უკან და ისევ მართმევდნენ...

გამომეღვიძა. მთლად ოფლში ვიყავი გაწურული. ნატალია

შეშინებული თვალებით მიყურებდა.

— რა იყო ნატო? — ვუთხარი და ნაზად მოვეფერე. — რა მოგივიდა?

— მე არაფერი. შენ რა მოგივიდა, ის მითხარი. ბორცავდი, ყვიროდი, ტიროდი, გიყვივით იცინოდი. რამდენიც არ განჯდრიე, შენს გაღვიძებას არ დაადგა საშველი. საინტერესოა, რა გითხრა ისეთი მოხუცმა? რით გადაგვრია?

— კეთილი კაცია იურიევიჩი. სულს იქეთ რაც გააჩნია, ჩვენ გვიანდერძა.

— ეგ ახალი არ არის, ძველია.

— შენ იცოდი?

— რა თქმა უნდა, დედამ მითხრა.

— ნატო, — შევეცვალე საუბრის თემა, — შენ თუ გახსოვს, თქვენს ეზოში რა ადგილას იდგა ფიცრული ფარდული?

— ნახსოვს!

— ზუსტად თუ მიახლოებით?

— ზუსტად. არცერთ სანტიმეტრში არ შევცდები. რატომ მკითხე?

— მერე, სხვა დროს გეტყვი. ისე, ამის შესახებ ჭერჯერობით არავის არაფერი უთხრა.

— ერთი უბრალო ხუხულა იყო. ჩვენი მოსამსახურეები შიგ სამუშაო იარაღებს ინახავდნენ. ახალი სახლი რომ ავაგეთ, სხვებთან ერთად მაშინ ისიც დააშლევინა, მე კი ყვავილნარი გავაშენე. სათამაშო მაგიდა, თავისი ძელსკამებით, ზუსტად ფარდულის შუაგულში დგას.

ესეც ასე. ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც ვიცოდი, თუ სად ინახებოდა ოქროს თასი განძეულით და ესეც საკმარისი იყო ჩემთვის.

— იქ რომ ვარდები გავაშენოთ, უკეთესი არ იქნება? — ვკითხე ნატალიას.

— რა თქმა უნდა, მაგრამ კარგი ჭიშები ვერ ვიშოვე და თავი შეგ-
იკავე.

— წელს დაგვიანებულია, გაისად მე ვიშოვი და მოვიტან.

— ძალიან კარგს იზამ. — გაუხარდა ნატალიას.

იმ დღიდან თვეზე მეტი გავიდა. თევდორე ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. გაძუდებით ავადმყოფობდა. ვახდა, გაყვითლდა, თვალები ჩაუცივებდა. მკურნალობას არ ვაკლებდით, მაგრამ არაფერი შეეყოლა. ექიმი ბირველ ხანებში არაფერს მიმხელდა, მაგრამ ბოლოს გაშენდა და მითხრა, რომ შენს ბატონს ისეთი სენი სჭირს, არ გადაჩრებაო. არც თევდორეს შეძურე ოღლა იყო უკეთეს დღეში. საყვარელი მეუღლის ტანჯვას ვუღლით განიცდიდა და თვითონაც არანაყოლებად იტანჯებოდა. კარგი ადამიანები იყვნენ და ძალიან მეცოდებოდა ერთიცა და მეორეც. სულ იმის ცდაში ვიყავი, რითიმე შესიამოვნებინა. ყოველთვის მათ გვერ-

დით ვტრიალებდი. ყველა სურვილს მაშინვე ვუსრულებდი. დაპკრა ჟამმა და თევდორეს აღსასრული დადგა. სიკვდილის წინ მიმიხმო და უკან-ასკნელად გამენდო:

- ფარდული, ეზოში რომ სათამაშო მაგიდაა, იმ ადგილას იდგა.
- ვიცი, იურევიჩ — დაუფარავად ვუთხარი.
- საიდან იცი?
- ნატალიამ მითხრა.
- მაშინ განძის ადგილსამყოფელიც გეცოდინება.
- არა. ნამდვილად არა.
- თასი მაგიდის უკანა მარჯვენა ფეხის ქვეშაა ჩამარხული. თუ ძალ-იან არ გაგიჭირდა, ჩემი თხოვნაა, ხელს ნუ ახლებ. მას სიკეთე არავისთვის არ მოუტანია და არც შენ მოგიტანს ბედნიერებას.
- მე მეჯავრება ხარბი აღამიანები.
- ვიცი, და სწორედ მაგიტომ გეუბნები. იცოდნე და უბატრონე! თევდორე შუალამისას გარდაიცვალა. ძილში ისე გაიპარა, ვერც კი გავიგეთ.

შემოდგომაზე ოლღაც ქმრის კვალს გაჰყვა.

დავრჩით მარტო მე და ნატო.

უკვე დამოუკიდებელი მემამულე ვიყავი და შემეძლო ყოველგვარი საწადელისთვის იოლად მიმეღწია. მაგრამ სიმაღლისაკენ სწრაფვა არ იყო ჩემი მოწოდება და იმად დავრჩი, რაც აღრე ვიყავი. ყველა კმაყოფილი მყავდა; გლეხიც, მოჯამაგირიც, შინამოსამსახურეც, ერიც და ბერიც. რაც მქონდა, ყველას თანაბრად ვუნაწილებდი და ჩემს სიკეთეს ისინიც სიკეთითვე პასუხობდნენ.

დადგა ზამთარი. იმ წელს უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა. ქათქათა საბურველში გაახვია თვალუწვდენი ტრამალები; ამოაფსო ღრმა ღარტაფები, დაუბერა ციგმა ქარაშოტმა, ჩამოდგა თეთრი მღუმარება და ჩვეულებრივად გატკბა ბუხარი. რუსულმა ზამთარმა ისევ შეგვრეკა სახლებში.

დრო რომ მოგვეკლა, მე და ნატალია ბევრს გმოგზაურობდით. ხან პეტერბურგში ვიყავი, ხან ივანოვოში, ერთხელ ვოლოგდაშიც ჩავიდით. თევდორეს ბევრი ნაცნობობა ჰყავდა და ახლა სულზე მისწრებასავით გამოგვადგა. არადა, რა გვეშველებოდა; რა გაათენებდა სადღაც მიყრუებული პროვინციის უსამშველოდ გრძელ ღამეებს. სწორედ ვოლოგდაში ყოფნისას გავიცანი ერთი უმუშევარი თავადიშვილი სლაგა ივანოვი. მომეწონა და ჩემთან სამსახური შევთავაზე. თუ გადავწყვიტე, აპრილის ბოლოს ჩამოვალა, მითხრა. მე ხელს მძღუევდა ასეთი პირობა, რადგან გაზაფხულამდე დამხმარე არ მჭირდებოდა.

და აი, აპრილის ერთ მზიან დღეს სლაგა თავისი ბარგიბარხანით



კარზე მომადგა.

საქმე უყვარდა. ყველაფერს ადვილად უღებდა ალღოს, მაგრამ ერთი გამოუსწორებელი ნაკლი ჰქონდა; ზედმეტად თავდაჯერებული და თავისედი იყო. არც გოგობთან ღლაბუცს ერიდებოდა, რისთვისაც რამდენჯერმე მიბეგვეს კიდევ. ერთი-ორჯერ დაეიბარე და ამისათვის მკაცრად დაგტუქა. დამპირდა, აღარ ვიზამო, მაგრამ პირობას მალე იფიწყებდა. თავი რომ მომბებზრა, სამუშაოდან დათხოვნით დავემუქრე. ამ ხერხმა გაჭრა და კალაშოტში ჩადგა.

ზაფხულის ერთ საღამოს კრასინოდან ვბრუნდებოდი. ცხენი თავის ნებაზე მყავდა მიწვებული. დაისის შუქ-ჩრდილებში გახვეული მინდვრები მღუმარებას მოეცვა. პატარა ხევში მოღუდუნე ნაკადულთან წვეის-ენე. ჩანოვზტი და ცხენი საბალახოდ გავავდე. აქედან სახლამდე ორასი-ოდე ნაბიჯი იყო დაახინილი, მაგრამ იმდენად მიმზიდველი მგზვნა იქსურობა, რომ ცდუნებას ვერ ვძლიე და აბრეშუმივით რბილ ბალახზე ნებივრად წამოვეუწეკი. დაბინდებამდე თვალის მოტყუებაც მოვასწარი.

გრილმა სიომ დაჰქროლა და საიდანაც ადამიანთა ხმები მოიტახა. გავფაციცდი, სმენად ვიქცეი. ირგვლივ არავინ ჩანდა და სწორი ორი-ენტორი ვერ ავიდე. ზეობიდან ფრთხილად ამოვედი. ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ ორნი იდგნენ. ხმებიც სწორედ იქიდან მოდიოდა. ერთი ნაღდად სლავა იყო, მაგრამ მეორე? მოთხვის ბუჩქებს უკანა მხრიდან მოვეყარე და ფრთხილად მივუახლოვდი მოსაუბრეებს.

— მამ, ჩემს თავს შენი ცვედანი ქნარი გირჩენია? — მუქარნარევი ტონით იკითხა სლავამ.

პასუხი ვერ გავიგონე.

— დიდხანს მარიდე თავი, მაგრამ მაინც ვერ გაექეცი ბედისწერას. ახლა ჩემს ხელთა ხარ. მოვიკლავ შენს და ძერე ჯანდაბამდე გზა გქონია.

— ხელსაც ვერ მახლებ, უბადრუკო კაცუნახ!

თვალთ დანიბნელდა. ყურებმა შუილი დამიწყა. იმ ხმაში ჩემი ნატალია ვიცანი.

აღარ მახსოვს, როგორ გავარღვიე ბუჩქები და მოსაუბრეებისაკენ გავვარდი.

ნატალიამ როგორც კი დამინახა, საშველად ჩემსკენ გამოქანდა.

— ვინა ხარ? შენი... უწმაწურად შეიგინა სლავამ და ვინებას ტყვიაც მოაყოლა. მე კი ამაცვილა; მაგრამ ნატალია მოჭრილ ხესავით ჩაიკეცა ბალახებში. მეორეჯერ იჭეკა რევოლვერმა. თავის ქალაზე გახურებული შანთის წვა ვიგრძენი. მესამე გასროლა აღარ დასცალდა... გრივალ-ივით დავეტაყე და ერთი შემოკვრით გავავორე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვცემდი. სროლის ხმაზე გამოქცეულმა შინაყმებმა მომისწრეს და ცოცხალ-მკვდარი ხელიდან გამომტაცეს.

ნატალიასაგან ვიბრუნე პირი. ვზადავი თვალეზე ჩამოდვრილი
სისხლი მკილით მოვიწმინდე და მომაცდევთან მუხლებზე დავეშვი. სახეზე
ხელი მოვუსვი. ცოცხალი იყო. ვერ კიდეც ედგა სული. თავი წამოვუწიე,
სახე ახლოს მივუტანე.

— ნატალია, ნატო, აბა შემომხედე. გელა ვარ, შენი გელა.

დაჭრილმა დაიკვნესა, თვალეები უაზროდ გააბილა. ჩურჩულით
ამოთქვა:

— გელა ხარ? ჩენი გელა? შენი ჭირიმე, ბიჭო! აქ არ დამტოვო, სახლში
წამიყვანე.

— ნუ ვეშინია, ნატო. ახლავე წაგიყვან, ახლავე. მიშველეთ ბიჭებო!
— ვიყვირე მთელი ხმით, მაგრამ მაშინვე ვერძენი, რომ ნატალიას ჩე-
ენი შეველა აღარ სჭირდებოდა. ერთი უკანასკნელად გაიბრძოლა და
ჩემს მკლავებზე დალია სული.

სლავა გაასამართლეს და ცინზირის გრძელ ვზას გაუყენეს. მე კი ის
განძი ამოვხარე და ამდენი წლის შემდეგ ისევ ჩემს ლეხაეს მოვადე-
ქი... ჩემს ლიმაზ სოფელს, ჩემი ბავშვობის ნავსაყუდილს.

აქ მეორედ დაგქორწინდი.

ერთგული მეუღლე გამოდგა ცირა. წლის თავზე ტყუები ქალ-ვაჟი
მაჩუქა. ორი წლის შემდეგ მეორე ვაჟითაც გამახარა, მაგრამ ის შემოი-
ენილი ბედისწერა ფეხდაფეხ მდევდა... წამოჩიტული ტყულები უცნაუ-
რმა სენმა იმსხვევრბლა, მესანე კი ყრუ-მუნჯი იყო. ცირა მეოთხე
შშობიარობას გადაჰყვა და დავრჩი ისევ მარტო, ეული, მიუსაფარი.

სხვა რომ ველარაფერი მოვიფიქრე, ვადევწყვიტე იმ წვეულ თასზე
მეყარა ჯავრი. გამოვიტანე ერთ საღამოს სამალავიდან, მაგრამ
განადვურება ვერ მოვახერხე. ვერ მოვსბე ჩემი ამომივადებელი. ლამპის
სინათლეზე ისეთ წარმტაც, ჯადოსნურ ფერებად აკიაფდა, რომ ყველ-
აფერი დამავიწყა. მეორე საღამოსაც იგივე განმეორდა. მესამე საღამოს
კი თავის ადგილას აღარ დამხვდა...

ექვი ჩემს მოჯამაგირზე, კოჩა ოჩხიკიძეზე მივიტანე. მაშინვე ვიხმე
და ვცადე, კეთილი სიტყვით დამეცდენინებინა რაძე, მაგრამ რომ ვერ-
აფერს გავნდი, მათრახით ავუჭრელე ზურგი. ყველა ცდა ამაო გამოდგა.
ბოლოს დავრწმუნდი, რომ უდანაშაულო იყო და თავი დავანებე.
სხვებსაც ისეთი დღე დავაწიე... კვლავ უშედეგოდ...

მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. უღმობელმა ღრო-უანმა მომტყნა
და მომიწელა. ელვაფერ ახლა ყოფნა-არყოფნის ვზავსაყვართან და ყველა
გამეღელე-გამომღელეს უსიტყვოდ ვეკითხები: — ვინ მომპარა განძი, ვინ?..

მე მოვიპარე. მე, — კოჩა ოჩხიკიძე!



გელა ნარსიას მოჯამავირემ!

ლეგენდები დადიოდა ნარსიაზე. ამბობდნენ რუსეთში დიდხანს იმყოფებოდა და საქართველოში ჩამოიტანაო. ჭორი და მართალი არავინ იცოდა. საკუთარი თვალთა თუ არ გინახავს, იმის დაჯერება ძნელია. ყოველ შემთხვევაში სხვათა ნათქვამი მე რატომღაც ვირწმუნე და გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამცდომოდა, ის არსებული განძი ზელთ მეგდო. თუ გამიმართლებდა, ზომ კარგი, არადა, რას გვარგავდი — ერთი უქონელი, ბოგანო კაცი ვიყავი და ისევ იმაღ დავრჩებოდი.

განზრახვა რომ სისრულეში მომეყვანა, ნარსიას მოჯამავირედ დავუდექი. სულ თვალეში შევციცინებდი. გვდილობდი, მისი ნდობა მომეპოვებინა. როგორც იქნა, საწადელს მივადექი. თავისუფლად შემეძლო, რაც მინდოდა ის მეკეთებინა.

ბატონის ერთგულ კაცს ყველა ერიდება და მეც გამირბოდნენ. იცოდნენ, რამე რომ შემეძნია, მაშინვე ორ კაბიკად გავყვდი.

თავიდან არ გყოფილვარ ბოროტი, ცხოვრებამ მაქცია ასეთად. მუდამ მენატრებოდა ლუკმა პური. ზამთარ-ზაფხულ დაკონკილი ტანსაცმელი მეცა. ყველა მე მირახუნებდა ჩაქუჩს თვაში. დამცინოდნენ და მასხრად მივღებდნენ. სულ იმის ნატვრაში ვიყავი, მათთვის როგორმე სამაგიერო გადამეხადა.

ეს შემთხვევაც მალე მომეცა.

ერთხელ ქალბატონმა დამიძახა და მარტვილში, თავის მშობლებთან, წერილი გამატანა. სანამ ის წერით იყო გართული, მე დრო ვიხელთე და ტუალეტის მაგიდიდან დიდი, ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი მოვიპარე. მას ჩემი მოძრაობა არ შეუნიშნავს. როცა მოიხედა, ისევ კართან ვიყავი ატუზული.

მარტვილიდან ორი დღის შემდეგ დავბრუნდი. ყური მოვკარი, რომ დაკარგულ ბეჭედზე ლაპარაკობდნენ. ისიც შევნიშნე, ერთმანეთს რომ ჩუმჩუმად უთვალთვალავდნენ. მე არც ვაციე, არც ვაცხელე და ის ბეჭედი ჩემი ყველაზე დიდი მწვანეების სახლში დავმაღე. თურმე მონდომებაა მთავარი თორემ, რას არ შეძლებს ადამიანი...

რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა თავისთან მიხმო. ჯერ დაყვავებით მკითხა, ბეჭედი ხომ არ აგილიაო. უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, დამავალა სხვებისთვის თვალყური შედევნებინა. მეც ეს მინდოდა. მეორე დღეს ვეახელი და ბეჭდის ადგილსამყოფელი მივასწავლე. საიდან გაიგეო, რომ მკითხა, შემთხვევით ცოლ-ქმრის საუბარს მოგვარი ყური-მეთქი, ვუბასუხე ისე, რომ არც კი გაგწითლებულვარ.

გაცეცხლებულმა ბატონმა მაშინვე ორთავე დააჭერინა.

იმის შემდეგ ისე შეგეჩვიე დასმენას, რომ ჩემი მტრები თანდათან ყველა მოვინელე და თავიდან მოვიცილე. უკვე ლუკმა-პურიც სამყოფად

შეიქმნა და ტან-ფეხზეც რიგიანად მეცვა. ჰიბეში სახარჯო გროშებიც
მეყარა. ამ ბედნიერებას საერთოდ ისიც დაემატა, რომ ბატონმა წერა-
კითხვის შესასწავლად სოფლის დიაკვანს მიმავარა. დიაკვანი
ვანათლებული კაცი იყო და ამ დიდ მადლს მეც მასიარა. ბატონს სულ
ქულში ღვდევდი. ერთი წუთითაც არ გაცილებდი თვალს. ისე ვიყავი
გამდიდრების სურვილით შეპყრობილი, რომ ღამეებშიც კი აღარ მეძინა.
ბოლოს დადგა ის დროც, როცა გელა ნარსია თითქმის გაშიშვლებული
დარჩა და თავიც მისდაუნებურად გაამჟღავნა...

ერთხელ შემთხვევით ფარდების ჭრილიდან მაგიდაზე მოვლვარე
უცნაური ნივთი შევნიშნე და მაშინვე მივხვდი, რომ აწორედ ეს იყო და
გულაძეგრებულმა თვალი მივაღვენე, სად შეინახავდნენ რასაც ვეძებდი.
ის ნივთი მეორე საღამოსაც იმავე ადგილზე დამხვდა.

როცა ბატონი დასაძინებლად წავიდა, ერთხანს კიდევ მოვიცადე და
შუაღამე რომ გადავიდა, წინასწარ შეგულიანებულმა ფანჯრის მიხა
ისტატურად ამოვიღე ჩარჩოდან...

იმ ღამეს, როგორც მე ამიხდა ნატვრა, ღმერთმა ყველას ისე
აგიზღინოთ!

გელა ნარსიამ, მიუხედავად ბევრი ცდისა, თასი გელარ იბოვა, ერთი
წლის შემდეგ კი თქვენი ჭირი წაიღო. ისე ჩაწვა ცივ სამარეში, რომ იმ
საიდუმლოს ვეღარც თავი გაუგო და ვეღარც ბოლო.

იმ აფორიაქებული სახლით ერთხელ კიდევ ვისარგებლე... თვალს
არავინ მადევნებდა და საიდუმლო ოთახიდან ძვირფასეულობა და რაღაც
ჩანაწერები მოვიპარე. მასში თასის ისტორია იყო მოთხრობილი, რასაც
ჩემი აღსარებაც დავუმატე შეგნებულად.

ჩამოვედი ქველანში. მდიდარი მეზობლისაგან ვიყიდე მიწის ნაკვეთი
და დავსახლდი. მალე ცოლიც შევირთე და განცხრომას მივეცი თავი.
ორი წლის შემდეგ ნიკო დაიბადა, მაგრამ ამქვეყნად მის მოსვლას ოჯახი
თოფის გასროლითა და დიდი ზარზეიმით იმის გამო არ შეგვედრია,
რომ დედა მისი შშობიარობამ იმსჯერპლა.

გლოვის დღეები რომ ვავიდა და მეორე ცოლი შევირთე. უშვილო
გამოდგა. ვეღარ გამაბედნიერა.

ყველაფერი თასს დავაბრალე. ამოვიღე თვლები და დიდ ფასად
გავყიდე. ოქროს თუმნიანებად ვაქციე, გაძარცვული თასი კი წავიდე და
ღია ზღვაში ჩავძირე. ფული ჩამოსხმულ სანთლებში დავმაღე და სხვენზე
შევიანხე. ოდესმე შეიძლება იბოვოს ვინმემ, ან ვერა. თუ ვერ იბოვა,
ზომ კარგი, მაგრამ თუ იბოვა, უმჯობესია ხელი არ ახლოს, რადგან იგი
ასე თუ ისე იმ ცოდვილი თასის ნაწილია და ბედნიერებასაც არავის
მოუტანს!...

მუშავე სპეციალი

* * *

ტიკ—ტიკ...

ირვლივ ბნელა.

ტიკ—ტიკ...

მე უკვე ვხედავ,

როგორ ვეხვევი ვარდისფერ ნისლში,

და ვგრძნობ, —

შორს,

შორს, ამ ნისლს მიღმა,

როგორ ფათურობს ჩემი სამანი

და როგორ ცდილობს ამიმღვრიოს

სივარდისფრე...

ტიკ—ტიკ...

უკვე მესმის მისი ფეხის ხმაც —

ნაბიჯი არის უღმობელი...

ტიკ—ტიკ...

უიმედობა?! —

მძულს ეს სიტყვა.

ტიკ—ტიკ...

მოიხვეტება ბარიერების წყება და წყება

და მე მორიგი ნახტომისთვის

ვიკრებ ძალ-ღონეს...

ჯერ კიდევ ბევრი მზიანი დღე და

აღმაფრენა მოჩანს სივრცეში

ტიკ—ტიკ...

ამჟეროლებით მაჯისცემა

დრო-ჟამთან ერთად

და შავრენის ტყავს ავიწროებს

წამი-წამ სევდა.

ტიკ—ტიკ...

მე ვადიარებ მისი ნების გარდუვალობას

ვისინჯავ მუხლს და ჰა, ნაბიჯიც

გადავდგი მისკენ...

მინდა შეხვედრა ჩვენი იცოს სწორი სწორთან

ტიკ—ტიკ...

ემატება ზმა და ლამის იქცეს

ზარების რისხვად

დღემდე თავისთვის მოღუღუნე

პატარა ყუთი.

და სიცხოველე ემატება

მთვლემარ სიცოცხლეს

ტიკ—ტიკ...

მოაზანზარებს უკვე ქვეყანას

საშიში მონსტრი

და თუმცა მზეა გადასახედთან

მაინც ვფითრდები — უცნაური სიხარულით

შიშით და ჟრუოლვით...

ვიცი დავაგდებ სულ მალე სხეულს

ტლანქსა და მძიმეს... დავაგდებ ბილიქს,

რომელსაც შემდეგ

სხვა გამოჰყვება,

დავტოვებ ყველას და ყველაფერს

რაც კი მებადა

გავყვები სივრცეს უუშორესს,

მზიანს და მსუბუქს —

ვინ იცის, იქნებ

დანტემ სამოთხის კარიც გამოიღოს...

ოღონდ გამეცება სიყვარული ჩუმი და წრფელი,

გამეცება სევდა — ერთადერთი

სიმდიდრე ჩემი,

გამეცება კიდევ ტკივილი დიდი,

რომელსაც სახელს ვერ დავარქმევ,

რადგან მასშია აწმყოც,

წარსულიც,

და მომავალიც შეუცნობელი...

ტიკ—ტიკ...

ღუღუნებს პატარა ყუთი

და მე ვმალდები...

* * *

შენთვის ცხოვრება ზღაპარია

ფერად ტიტრებით,
ფერებს ეძიებ ოცნებებშიც,
ფიქრშიც, სიტყვებშიც,
დაგბედებია სიყვარული
და მაღლი ცისა
დიდ ტივილს ხშირად გაგიქარებებს
სიკეთე ცილა.
ბედნიერიც ხარ, უბედურიც,
სულელიც, ბრძენიც,
ხარ მუამბოხეც, ფარისეველიც,
ძლეულიც, მძლევიც.
სავალს გიწალდავს ორი სიცოცხლე
აგვაროზივით
და სანთელივით იწვის საწუთრო —
სფინქსის პროფილი.

* * *

წვიმს, წვიმს, წვიმს...
ტივილმა შებოლა ცის თალი,
ღლეები ღლეებს ცვლის,
ცის მიღმა ნეტა ვის მისძახი.
წვიმს, წვიმს, წვიმს,
„უფალი მფარველობს ნაზ სულებს“,
ხმა ზენა ტანში მცრის,
ასე რა ახელებთ ავსულებს...
წვიმს, წვიმს, წვიმს...

* * *

ფერად ფრთებით მორიალე ოცნებების ჯარი,
ცხოვრება კი თითებს შუა
გაბარული წყალი...
ვერ მოვთოკე სული —
ცისკენ ავარდნილი
ცეცხლი,
ვერ „ვიგარგე“, —
ვერ ავიგსე ჯიბეები ვერცხლით.
და დრო გარბის თავაწვევით
ურა კვიცის დარად,

თუმცა ბევრჯერ გადათქერა
იმედების ფარა...

მაინც,

მაინც, დღემცხრალი

ჟინით ცისკენ ქროლვა,

ვერას ვაკლებს წრუწუნების

დაბლვერილი ზროვა,

ისევ ფერადფრთებიანი ოცნებების ჯარი,

და ცხოვრება — თითებშუა

გაპარული წყალი.

* * *

შორს მოციმციმე ოაზისს ვხედავ

და შზის ღიმილი სულამდე ატანს,

არ შეგაშინოს ყარბის ხვედრმა,

გწამდეს, აგზიდეს დრო ყველა ნატვრის.

თუმცა დენთის სუნი სულს კაწრავს ახლაც

და ძმათა სისხლში ჩაიხრჩო მუზა...

დრო,

დრო ჩააცხრობს სატანის ხარხარს,

დროვე აღგვაგსებს,

დრომ თუ წეგმუსრა.

ჯერ კი დახოქილს ძმარი გვიდის ცხვირში

და სხეულს გვიწვავს სიკვდილის სუნთქვა.

ანათებს კიდევ რამეთუ იწვის...

ჰა, სანთლად ჩემი გული და სულთქმა.

* * *

მიჯაჭვული ვართ

ამირანივით, —

თფუი, კნინობავ, —

მთაზე კი არა, —

ჯანდაბის ფსკერზე,

და სულს ძლივს ვითქვამთ...

ნეტა ამზადებს სადმე ნოე

თავის კიდობანს

თუ ამ ჭაობში ყველა ერთად

უნდა დავინთქათ...

მაიკო ჩემი ტკივილია

მაიკო ჩემი ტკივილია. ალბათ ვერასოდეს მოვიშუშებ; თუმცა კი გავეიდე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისე, არც მას დაუვლია ხელი, თავად მიმტკიცებდა არ მილაღობო, მანქანით გავისერიანეთ და შემდეგ მაშიდაშვილთან დამტოვა, სადაც გავათიე ღამეო. ვერ დავიჯერე, დარწმუნებული ვარ, მილაღობა. შენ ცოლად მაინც არ მიგყვარ და გავთხოვდები, მაშ შინაბერად ხომ არ დავრჩებიო.

მე დავემოწმე, როგორც სწორად მიგახედეს, ეგრე ჰქენი-მეთქი. ჰოდა მთხოვნელიც გამოუჩნდა. არც თუ ისე დიდი დაწესებულების დირექტორი, საკუთარი ოცდაათნით.

იმავე საღამოს დავგრევე და დავემუტრე, უღვაშებს დაგაბუტავ, მანქანას აგიფეთქებ შენ რომ შიგ იქნები—მეთქი. არ მოეწონა. მაიკო ჩემს გარეშე მოუხელთებია და რჩევა მიუცია. მაგ ბიჭი შენ ეგრე აღვილად არ მოგ შორდება და თავად ჩამოიცილეო. მაიკომაც გადაწყვიტა ეგრე მოქცეულიყო, მაგრამ მე არ მეთმობოდა. არა, და მეცოდებოდა, კარგ შანსს ვაკარგავინებდი. მოკლედ ორ ცეცხლს შუა ვიწოდი.

ერთხელ სახლში რომ მივაკითხე, დაგინახე ოცდაათნში ჯდებოდა. დავუძახე განწირული ხმით. შენც არ მომიკვდ, არ გამიგონიო, შემდეგ მიმტკიცებდა. ერთი სიტყვით, იმ საღამოსაც მილაღობა.

აი, სწორედ მაშინ იყო, ის სატანური აზრი რომ მომივიდა თავში, სამუშაოზე მოგინახულე დირექტორი, სასაუბრო მაქვს—მეთქი, გისმენო, დაბნეული მიბასუხებს. მაიკოს ცოლად მოყვანა ნამდვილად გადაწყვეტილი გაქვს თუ ატყუილებ საცოდავ გოგოს—მეთქი, მაიკოზე თხუთმეტი წლით უფროსი იქნებოდა, მაღალი, წარმოსადეგი, თმაში ჭაღარაშერეული. ფართო უღვაშები შავად უღვივოდა გადაწყვეტი და მტკიცედო, ბითხრა, ადრე თუ გვიან ჩემი ცოლი ვახდებო.

ალბათ ადრე გირჩენიათ—მეთქი, შევაბარე. გაცეხული მიყურებდა. აგუხსენი, მაიკოს თუ არ გუყვარვარ, ბევრი რამით არის ჩემთან დაკავშირებული და ამიტომ ჩემი ნებართვის გარეშე ვერ დავშორდებით—მეთქი. რა გნებათ ჩემგანო. ხუთიათასი მანეთის გადახდა მოგიწევთ და ღღესვე თქვენთვის დამითმია—მეთქი. ერთ ორ წუთს ხმა არ ამოუღია, მეც ვაცალე ვაზრება, მერე მძიმედ ამოღერდა: რა ხალხი ხართ, ყველა-ფერს ყიდითო. ვინ ჯავდა მხედველობაში ჩემს გარდა, ვერ მივხვდი, მაგრამ მაინც ყველაფრის გამყიდველი ხალხის სახელით მივმართე: — თქვენგან ვისწავლეთ, ბატონო დირექტორო — მეთქი.

უღელში მოიქცეა დაუინებოთ. ყურებს არ დავღვრე, დღესვე მოგცემ
ფულს, ორიოდ საათში შემოძიებო.


ოცდანათმანეთისნების ორი შეჯვარ დაშავდნა. დიდხასს მაყურა
და კბილებში გამოსცრა: ამ ფულის ხაცვლად იარაღს უნდა მომეტახა
და შუბლში დამეხალა შენთვისო — თუ მომასწრებდით, ოთხი კვლის
ღირეჭტორად გადაგიყვანდნენ, თუ არა, ოთხი ფიცრისა — მეთქი, —
გუბასუხე. მთავარი კი ის არის, ორთავ შემთხვევაში მაიკო
გეკარებოდით, ასე რომ, სწორი არჩევანი გააკეთეთ — მეთქი. დასტები
ზიზლით მოისროლა ჩემსკენ. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, ფული ავიღე
და კარებისაკენ გავემართე. — დღესვე წაგიყვანო, კარებთან მომძახა.
გულმა მწარედ გამკანჭა, მაგრამ არ დავიხიე და ღმერთმა გაბედნიეროთ —
მეთქი, დავლოცე.

საქმე გაკეთდა. მე — ფული, იმას — მაიკო, მართლაც იმავე საღამოს
წამოუყვანია. ფულით გამოგისყიდევ, რა თქმა უნდა, არ უთქვამს. მის
მოსვლამდე მაიკოს ვესაუბრე ტელეფონით. მისვლა ველარ გავგედე. მის
ნახვას ველარ აგიტანდი, თუცა არც ტელეფონზე დამაღდა კარგი დღე.
თვითონაც იტირა და მეც კინაღამ ამატრია. წარმოვიდგინე, რა ლამაზი
იქნებოდა ატირებული, დიდი თვალებით. ცალი ხელი უტილობლად
თმებში და ცრემლები ნებაზე მიშვებული...

ის ექვსი წლით უმცროსი იყო ჩემზე. თავიდან მართლა ვუყვარდი,
ერთხელ ვუთხარი, მივდივარ სამუდამოდ — მეთქი და მუხლდასოქილი
მევედრა, არ წახვიდეო. მერე რომ შემეტყო ნავსაყუდელივით იყო
ჩემთვის, და რა მინდოდა თავადაც არ გიცოდო, თანდათან გამოვრილდა,
აღარაფერს მეუბნებოდა და ვატყობდი, სიხარულით თუ არ ჩამომცი-
ლდებოდა, არც დიდად გაუჭირდებოდა ჩემი დაკარგვა. თავყანი-
სმცემლები კი, იცოცხლე, ბევრი ჰყავდა, ხან ვინ ურეკავდა, ხან ვინ. მე
ყველა ჩამოვიცილე. წერვები მეშლებოდა, ამოდენა ქალაქში სხვა ქალი
ველარ ნახეს — მეთქი? წამიყვანე ცოლად და თავყანისმცემლებიც
ჩამომცილდებიანო, მე კი ავიღე და გავვიდე.

სანამ გავვიდდი და სანამ ვუყვარდი, მეყრდზე მყოცნიდა და ზოგჯერ
მეტყოდა ხოლმე. შენგან ყველაზე მეტად საჩუქრად თეთრი როიალი
გამეხარდებო. ზედ თეთრ ვახას დავდგამ — თეთრი ყვავილებით,
წარმოვიდგინე, ჩემს ზალას როგორ დაამშვენებდაო. ზალა მართლაც
უზარმაზარი ჰქონდა. საუცხოოდაც უკრავდა. მერე მეც გვოცნიდი
ბარაქიან მეყრდზე და ვბრდებოდი: გიყიდი, როგორც კი ხელში ფული
ჩამივარდებო-მეთქი.

და აი, ფულიც ჩემს ხელთ იყო. სამი თვე ვეძებე როიალი, თეთრი
ვერსად ვიშოვე და ისევ შავი, გერმანული როიალი ვიყიდე მოძერალი
ბიძისაგან, რომელიც ბიუჯეტის შესავსებად ინსტრუმენტებსაც აწყობდა
ხელმისაწვდომ ფასებში. ვიცნობდი ებრაელ რესტავრატორს არონას.
მასთან მივიტანე და იმას თეთრს თუ ვახდი — მეთქი, გიყიხე. ფული



იყოს და ფარშაიანგს ვაგზდო, მითხრა. თბილისში გამგზავნა წერილი და საიდანაც სამი ყუთი საღებავი ჩამოვუტანე.

არონა რუსთავეტორმა შვიდი დღე იმუშავა. როიალი მთლიანად დაშალა, კედლები, სახურავი, ფეხები საგანგებოდ ალბო რადაც ხსნარში, მერე აშრო, მერე ფხიკა, აპრილა და აკრილა. დაგრუნტა. გამოშროლო ნაწილებს ფაფუკი ფუნჯით გადაუსვა საღებავის პირველი პირი. ისეც გამოაშრო. გახეხა და აპრილა, ბოლოს საღებავის მთავარი ფენა დატუმბული პაწრით შეაფრქვია საფრქვავე პისტოლეტიდან და საშრობოთახში შეიტანა.

კვირის თავზე მივაკითხე, ჩემი როიალი გედგიტ ყელყელაობდა სახელოსნოში. არონას ხუთასი მანეთი გადავუხადე, ერთიც ვაკოცე და გამოვემშვიდობე.

ორ დღეში ახალი წელი დგებოდა. თან 23 წელი უსრულდებოდა მაიკოს. საკომისიოში 450 მანეთად თეთრი ქაშანურის ვაზა გიყიდე. საიმედოდ შევფუთე, ავეჯის დახურული მანქანა დაგიქირავე სამიოდ მუწით. როიალი შიგ შევდგი.

ის კინალამ დამავიწყდა, როიალში რომ სამიათასი მანეთი გადავიხადე, ექვსასიც საღებავში, ხუთასი არონას, ოთხასორმოცდაათი ვაზაში, ასიც მანქანას და მუშებს. ზოლო დარჩენილი ოთხასორმოცდაათი ვაზაში ჩავუყარე.

მუშები უკან რომ დაბრუნდნენ, მითხრეს, სახლში მხოლოდ ქალბატონი დავგვხვდა, ჩვენს წამოსვლამდე სულ იტრეძლებოდაო.

მაიკო ჩემი ტყვილია, ალბათ ვერასოდეს მოვიშუშებ, თუმცა კი გავყიდე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.



გორის მებრძოლი

* * *

ხევს გაღმა მოჩანს მწვანე სერები
და მოთენთილი მწუხრი ზაფხულის.
მოგონებების ცისფერ ტევრებში
გაიფოთლება ჩემი წარსული.

მას სიხარულის ახლავს ნამცეცი,
ამბიშებს დარდი ქვეყნის ოდენი,
ბავშვობას ნისლავს ომის ქარცეცხლი
და სიჭაბუკეს — ჭრელი ძონძები.

ვიხსენებ, სულში ჩნდება ხანძარი
და მიკვირს, იმ დროს რატომ შევხარი,
როს თექვსმეტი წლის ბიჭი საწყალი
საფიცრე მორებს ხელით ვზერხავდი.

ცაში აფერინდი, ბაღღმა კალმახი,
როს ანოვადე წყლიდან ანკესით
და მერე ჩემი ლექსად ნაჯღბნი
რომ დაიბეჭდა ონის გაზეთში.

როგორ ვისწავლე ვაჟა ზეპირად,
ან როგორ ვავხდი კარგი მკითხველი?
და ქალამნებში გამოწკეპილმა,
როგორ ვიგემე კოცნა პირველი?

ახალგაზრდობა ნაჯახირევი
თვალს და ხელს შუა ქარს გაჰყოლია,
პირველი ლექსი, კოცნა პირველი,
სხვა სიხარული მე არ მქონია.

ვწრიალებ, როგორც ღველფის მზხრეკელი,
ვარ მეცხრე ცაში ფიქრით ასული,

ცისფერ ბურუსში დარდის ეკლებით
ჩანს დაფლეთილი ჩემი წარსული.

ჩიტის სიკაფილი

გაზაფხულის სიცილში გაიღვიძა ფუტკარმა,
შენ კი მაღალ ხის ძირში მოლზე გდინარ გულადმა.

მოჰყეპივე, ფრთამალი არ ფრთხილვებ ჩირგვებთან
პაწაწინა, ლამაზი ნეტავ ვინ გაგიმეტა?

სიკვდილმა რომ გიხილა მომხიბვლელი ესოდენ,
სისხლი ვით გაგიყინა, რატომ არ შეეცოდე?

ხშირად მტანჯავს ფიქრები, — ჩუმად კვდებით ჩიტები,
იკარგებით ტყე-ღრეში, როგორც თოვლის ფიფქები.

თქვენ არ მართავთ ქელეხებს, არ გჭირდებათ გოდება,
აღბათ ჩნდებით ხეებზე მოშრიალე ფოთლებად...

თოვლში განაბულები, ტყემლის ტყვეა ფერდობი,
შენი პაპა თუ იყო, მე რომ შურდულს ვესროდი.

თვალს მტაცებდნენ სისხარტით ნალიების ზიზნები,
რა ჯალათი ვიყავი, ჩიტს ქვას ვით ვუმიზნებდი.

გულს მივსებს დანანებით ის ბავშვური სიცულქე,
შენი ღია თვალები როგორ ცივად მიცქერენ.

გაზაფხულის სიცილში გაიღვიძა ფუტკარმა,
შენ კი მაღალ ხის ძირში მოლზე გდინარ გულადმა.



რამაზ ლორია

დედა

„აწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს“.

ნიკო ლორთქიფანიძე

დედაჩემი...

— დედა! დედიკო! — გიყვორე და კისერზე ჩამოგეკიდე.

ვკოცნე, ვეხვიე, ვეფერე, ვესიყვარულე

როდის-როდის მოვგე გონს, თავი ავწიე და თვალებში ჩავაცქერდი.

თვალები დაწვრილებოდა, ფოსოებში ჩავარდნოდა, საიდანაც უკვე

ღამე იცურებოდა, ვიდრე მზეძლიერი საღამო.

სიტყვის თქმა განიჭირდა.

ისევ დედამ გაბედა მძიმე მყუდროების დარღვევა:

— რას შერეები, როგორ ხარ, ბიჭო?!

— რა ჭქნა, დედა, ვარ ასე...

— ვხედავ, კარგად ხარ... შეცვლილხარ, ამაღლებულხარ, დღამბ-

ხებულხარ, ჭიარა შეგბარვია... ასე უნდა, ბიჭო?!

— კარგი, დედა, არ მითხრა არაფერი...

— რა უნდა გითხრა, შვილო! ღმერთმა ყველაფერი იცის... დაილო-

ცოს მისი სახელი! იგი ერთია, ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს,

რა საჭიროა ჩემი ენად გაკრეფა... ისე, ადამიანები ძალიან შევიცვა-ღეთ,

ბიჭო! რაღაცნაირად გულისგრილები, ცივები გავხდით ერთმანეთის

მიმართ, შევეჩვიეთ ჩვენივე ბაყნებში შეკუმჭვას, არც დედა გვინდა, არც

ცოლი, არც შვილი...

— რას ამბობ, დედა! როგორ არ გვინდა...

— ეს არის ნდომება? რამდენი ხანია არ გინახივარ, შვილო! რამდენი

ხანია მზიას და თამუნას არ მიგფერებია... არ გეცოდებით, ბიჭო?!

— როგორ არ გვეცოდები, დედა! გვეცოდებით და მეტი არა?

ექვსი წელია გეძებთ... რა მილიცია არ შეგაწუხეთ, რა ხალხი არ

გამოგიყენეთ, რა ბავშვები არ შეგასახელებთ, მაგრამ შენი ასავალ-და-

სავალი ვერ გაგიგეთ, ცამ ჩაგყლაბა თუ მიწამ, ვერავინ გვითხრა...

— ადამიანს სიკვდილი ყლაპავს შვილო!

— ცოცხალი რომ ყოფილხარ?

— გული ხომ არ გწყდებოდა... ადამიანი ყოველთვის დაემალება



ადამიანს... ერთადერთი გულია, შვილო, გული, მეორე გულს ვერც ვიქნები
ემალემა... თქვენც რომ გულით გეძებნეთ, უსათუოდ მნახავდით, არ
გაგიჭირდებოდათ...

— გულით გეძებთ, დედა, გულით, შენს თავს ვფიცავარ...

— ჩემს თავს ნუ იფიცებ, შვილო...

— რატომ, არ გიყვარვარ?...

— როგორ არა, მიყვარხარ! დედას შვილების სიყვარულს ვერავინ
აუკრძალავს, რომც აუკრძალონ, დედები არ ვიზამთ... შვილები ხომ
ჩვენი სისხლი და ხორცია... სისხლი ყოველთვის უყვიის სისხლს, ხორცია
ყოველთვის დაეძებს ხორცს...

— მაშინ რატომ ერთხელაც არ გაგახსენდით, დედა?

— არ გამახსენდით? რას ამბობ, შვილო... მე თქვენ ყოველთვის
გულთან მყავხართ...

გახსოვს? ერთხელ მაგიდაზე რომ მარბილი დაგვმნა... სულ უბრალო
რამეზე შეყევით ერთმანეთს შენ და ვარგარა. არც იგი თმობდა, არც
შენ, ლანძღვდით და მიწათან ასწორებდით ერთმანეთს... ინვარეოდა
ოჯახი... ვარგარა იქამდე მივიდა, სილაც კი გაგაწნა სახეში... შენ პურის
საჭრელ დანას წამოაგლე ხელი... საშინელება უნდა დატრიალებულიყო...
და აი, მაშინ მოვედი შენთან, მაშინ გამოგეცხადე ჩემდაუნებურად...
შენ შეგეშინდა ვარგარაც არ გაქცეულიყო სახლიდან... და გონს მოგვე...

გახსოვს? შენი თამუნა რომ სიციხით იწვოდა... რა ეჭიმება, რა წამლებს,
რა ოფლდენას არ მიმართეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, სიკვდილ-
სიციოცხლე ებრძოდა ერთმანეთს და ძნელი იყო მათი გათიშვა... მაშინაც
მე ჩავერიე საქმეში... რაფერ თქვი დილას? წუხელ დედა გამომეცხადა,
თუ ცოცხალია, ზაფხვი გადაგვირჩებაო... დიან, ცოცხალი ვიყავი და მერე
როგორი! მთელი ღამე ვიბრძოლე, ვიფხიზლე და არ დავანებე თამუნა
სიკვდილს...

გახსოვს? ზაფხულში შენ რომ ავარიში მოჰყევი... ისე მძიმედ
დაშავდი, შენს გადარჩენას არავინ ფიქრობდა... სულ მე გამოვდებდი...
შენი ვარგარა წყევლით მიკლვდა, ჩემს დედამთილს მიჰყავსო, იძახდა.
სინამდვილეში კი პირიქით იყო, თეთრი ხალათით ვტრიალებდი შენს
პალატაში, წამალს გასმევდი, საბანს გახურავდი, სიცხეს გისინჯავდი,
გათბობდი, განაყრებდი, ძალ-ღონეს გაძლევდი, აზრს ვიბრუნებდი... დედა
ვიყავი და იმიტომ... შენს გადარჩენასაც მე უნდა მიმადლოდე, შვილო!

გახსოვს? შენი ვარგარა დისერტაციას რომ იცავდა... ოპონენტებსა
და დამსწრეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, იწუნებდნენ
დისერტაციას... და მე წამოვდექი... ის მალალი, პირთხელი, ქერათმი-
ანი პროფესორი ქალი მე ვიყავი... ის ლაპარაკობდა ჩემი ბავით, ჩემი
ცხოვრებით, ჩემი მავალით... მე გადავარჩინე ვარგარას დისერტა-

ცოი ჩაფლავებდას... მე ვთქვი, რომ ამ ნაშრომში საუცხოოდაა გაგებული დანახული ადამიანის ბუნება, მისი არსი, მისი სულიერი სიწმინდე და სიფაქიზე... ადამიანი გაექცა ტალახიან, ჭუჭყიან სამყაროს და სხვა გარემოში მოხვდა... მისთვის მათხოვრობა, ეს თავისი „მეს“ შეურაცხყოფა კი არ არის, არამედ უბრალოდ, წამიერი განცალკევება საკუთარ თავთან და მიახლოება მშრომელ ადამიანებთან... დისერტაციამ გაიმარჯვა, მაგრამ ბანკეტზე არავის გაგხსენებიათ...

— ნუ გამაგიჟე, დედა, შენ რაღა გეშლება, რაფერ იყავი ჩვენთან, როცა თვალითაც არ გვინახიხარ, საიდან იცი შენ ყოველივე ეს?!

— დედამ ყველაფერი იცის შვილო! შენ კი, გატყობ, სიბერე გეძალდება და სიბრძნე არა. მე ყოველთვის შენთან ვარ, ჩემო ბიჭო! ჭირშიც და ლხინშიც შენთანა ვარ, სხვანაირად არც შეიძლება და არც შემიძლია... ჩემი სული ძველ კერაზე ტრიალებს, შენს ოჯახში ბრუნავს, შენს სხეულში ჩემი სისხლი, ჩემი ძარღვი, ჩემი ჯილავია განიგებულ და შენ სხვა გვონია? არა, ბიჭო, მე ვარ, შენი შემწე და მფარველი...

— შენ თუ ასეთი გაი ხარ, დედა, მაშინ დაბრუნდი ჩვენთან, რა გინდა აქ, რას მათხოვრობ... რა გვჭირს ჩვენ საამისო...

— რაო, რაო, მათხოვრობო? არა, ჩემო ბიჭო, მე არ ვმათხოვრობ, მე მოწყალეობას ვთხოვ ადამიანებს... მეც ხომ ადამიანი ვარ, პოდა, ჩემდაბი პატივისცემას, ყურადღებას, ჩემს ბედზე წამიერ შეჩერებას და დაფიქრებას ვთხოვ ამქვეყნად აჩქარებულ ადამიანებს... როგორ ფიქრობ შენ, განა მე ყოველთვის ასე ვდგავარ ამ ტაძართან და ვმათხოვრობ? არა, შვილო, არა! მე ბენსია მაქვს, მეზობლები მეგანან... კეთილ ხალხს რა გამოლევს დედამიწაზე... უბრალოდ, ჩემთვისაც გასაკვირად მივლის ზოლზე ასე ხანდახან... და მეც სხვანაირად მოვიქცე, არ შემიძლია... იმ ნათელმოსილ ღმერთს აღთქმა მიეცი და ვერ ვუღალატებ... ახლაც ცოტა ხანს გაგჩერდები და მერე წავალ... მაინცდაძინე ამ მომენტში მომისწარი შენ... სხვისი ჭირი, ღობეს-ჩხირიო, არ უნდა ვთქვათ... სინამდვილეში კი ვამბობთ და მერე რა მკაცრად, რა ზშირად, რა უტიფრად და უტეხად... მძას ამა არ ახსოვს, დღეს — და, შვილს — დედა და მიმა... აღარავინ გვახსოვს, შვილო, აღარავინ, ჩვენი თავი გვინდა მარტო...

— მე მადანაშაულებ, დედა! ჩემი რა ბრალია, როცა შენ თვითონ გაიქცევი სახლიდან...

— ჰო, შენი რა ბრალია... შენ შენი ოჯახი გაქვს, შენი — საზოგადოებრივი, მტერი გაყავს, მოყვარე გაყავს, ხომ უნდა მიხედო მათ... შენ გაიქცევი, მეუბნები და არც დაფიქრებულხარ საძირკველის ჩამყრელნი როდის გარბიან თავიანთი სახლიდან...

— როდის, დედა?

— კარგად იცი, შვილო, შენ, ზედმეტად ნუ მაღაპარაკებ...



— წამოდი, დედა შინ...

— მომეშვი, შვილო, ხელს ნუ მიწლი ადამიანებთან ურთიერთობაში...

— რა მაგალითს აძლევ სხვებს, გინდა შენსავით იმართოგროს ყველა დედამ?

— ღმერთმა ნუ ჰქნას, შვილო, ეს? მაგრამ ღმერთმა ისიც ნუ ჰქნას, რომ ყველა დედას ერთნაირი შვილი ჰყავდეს...

ეს თქვა დედამ და რამდენიმე ნაბიჯი გვერდზე გადადგა, ჩემგან განცალკევდა, სიყვითლეშეპარული, შემეჩენარი ხელი წინ გაიშვირა...



თარგმანი

სომარსკა მოეპი

გელნიერი კაცი

ასწავლო სხვებს ცხოვრება, სახიფათო საქმიანობა. მე ყოველთვის მოცემა პოლიტიკოსების, რეფორმატორებისა და მათ მაგვართა თავდაჯერებულობა, რომლებიც მზად არიან, რაღაც არ უნდა დაუჯდე, შეცვალონ თავიანთი თანამოქმედების წეს-ჩვეულებები, შეხედულებები და აზრებიც კი. მე ყოველთვის მრცხვენოდა რჩევის მიცემა ვინმესათვის, ან კი როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ურჩიოს მეორეს, როგორ მოიქცეს. როცა არც იცნობს მას ისე კარგად, როგორც თავისთავს. ღმერთია მოწმე, მე ისე ცოტა ვიცი ჩემს თავზე, მით უმეტეს არაფერი არ ვიცი სხვებზე. ჩვენ მხოლოდ შესაძლებელია ვხვდებოდეთ ჩვენი ახლობლების აზრებსა და ემოციებს. ყოველი ჩვენგანი უკაცრიელი კოშკის ტყვეა და ყველა ჩვენ-ჩვენი ურთიერთობებით კაცობრიობას ვარმოვადგენთ. ხშირად შეცდომების გამოსწორება არ ხერხდება და ვინა ვარ მე, რომ ვასწავლო ვინმეს, თუ როგორ იცხოვროს ცხოვრება ძალზე ძნელი რამ არის. თავის დროზე მე აღმოვაჩინე, თუ რა ძნელია გახადო შენი სიცოცხლე სავსე და მოზომილი, ამიტომაც არასოდეს მომსვლია აზრად, მესწავლებია ჩემი მეზობლებისათვის, თუ რა აკეთონ. ზოგჯერ მეკითხებიან, თუ როგორ მოექცენ ცხოვრებას, და წამიერად შევიგარძნობდი ჩემს თავს როგორც ზედისწერის ბნელ საფარში გახვეულს.

ერთხელ მე მაინც მივეცი სწორი რჩევა. მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და ვცხოვრობდი საღვურ ვიქტორიას მიდამოებში, პატარა ბინაში. ერთხელ დღის ბოლოს კარზე დარეკეს. კარის გაღებისას დავინახე სრულიად უცნობი ადამიანი. მან სახელი მკითხა და მერე შემოსვლის ნება ითხოვა.

სასტუმრო ოთახში შევეუძეხი და დაჯდომა შევთავაზე. დარცხვენილი ჩანდა. სიგარეტი მივაწოდე, და ისე მოუკიდა, რომ ქუდი ხელიდან არ გაუშვია. როგორც იქნა სიგარეტს მოუკიდა. ვთხოვე, ქუდი სკამზე დაედო, ისიც ასე მოიქცა, მაგრამ ქოლგა გაუვარდა ხელიდან.

— იმედი მაქვს არ გამიბრაზდებით, რომ ასე მოულოდნელად მოვედი თქვენთან. სტეფანი მქვია. ექიმი გახლავარ. თქვენც ხომ მედიკოსი

ბრძანდებით, არა?

— ღიახ, მაგრამ მე არ ვეწევი პრაქტიკულ საქმიანობას.

— ღიახ, ვიცი, იცით, მე წავიკითხე თქვენი წიგნი ესპანეთზე და მინდა ერთ ჩემთვის საინტერესო საკითხზე გესაუბროთ.

— გშიშობ, რომ წიგნი არც ისე კარგია.

— ფაქტი ის არის, რომ თქვენ ცოტა რამ იცით ესპანეთზე და მე არ ვიცნობ სხვას, ვინც თქვენსავით შეძლებდა დამხმარებოდა. ამიტომ შევაწუხეთ. გთხოვთ, თუ შეიძლება, ერთი ინფორმაცია მომაწოდოთ ესპანეთის შესახებ.

— მე სიხარულით დაგეხმარებით.

რამდენიმე ხნის მანძილზე ის დიდხანს ღუძღა, შემდეგ ქული აიღო და ნერვიულად უსვაჰდა ხელს. თუ იმშვიდებდა ამით თავს.

— იმედი მაქვს, არც იფიქრებთ, რომ უცნაურია, როცა სრულიად უცნობი ადამიანი აი, ასე საუბრობს თქვენთან. მე არ ვაპირებ თავი მოგაბეზროთ ჩემი ცხოვრების ისტორიით.

როდესაც ადამიანები ასე ლაპარაკობენ, მე ყოველთვის ვიცი, რომ სწორედ იმის გაკეთებას აპირებენ. რისი წინააღმდეგი არიან თითქოს მოსმენა ზოგჯერ მომწონს კიდევ... — და კაცმა დაიწყო:

— მე ორმა მოხუცმა დეიღამ გამზარდა. არასოდეს სხვა ქვეყანაში არ ვყოფილვარ, არაფერი მნიშვნელოვანი არ გამიკეთებია. აი, უკვე ექვსი წელია ცოლი შევირთე, მაგრამ ბავშვები არა მყავს. მეტის ატანა აღარ შემიძლია...

ამ წინადადებაში იყო რაღაც გასაოცარი. მისში იგრძნობოდა ძალა. თუ საუბრის დასაწყისში არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის. ახლა უკვე ინტერესით შევათვალე. ეს იყო საშუალო ტანის, ჩასუქებული მაშკაცი, დაახლოებით ოცდაათი წლისა. მრგვალ, წითელ სახეზე პატარა, მუქი თვალები უბრწყინავდა. მრგვალი თავი პქონდა და მოკლედ შეკრუპილი თმები. ეცვა ლურჯი, ძალზე გაცრეცილი კოსტუმი და მუხლებთან გამოხედილი შარვალი.

— თქვენ თვითონ იცით, რა საქმიანობას ეწევა ექიმი საავადმყოფოში, ყოველი დღე ერთმანეთს გავს, როგორ გონიათ, ღირს ასეთი ცხოვრება?

— ეს მხოლოდ საშუალებაა, რომ იცხოვრო, — მივუგე მე.

— ღიახ, ვიცი, მე საკმარისად მიხდიან.

— სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვერ მიგხვდარვარ, მაინც რისთვის მობრძანებულხართ?

— იცით, მე უბრალოდ მინდა ვიცოდე, შეუძლია თუ არა ინგლისელ ექიმს თავი გაიტანოს ესპანეთში?

— რატომ ესპანეთში?

— არ ვიცი, უბრალოდ, ესპანეთი ძალიან მიზიდავს.

— ალბათ ფიქრობთ, რომ ისეა ყველაფერი, როგორც „კარმენში“?
— კი, მაგრამ იქ ზომ მზეა, კარგი ღვინო, ნათელი ფერები და ჰაერი, რითაც შეიძლება ისუნთქო. შემთხვევით გავიგე, სევილიაში არც ყოფილა ინგლისელი ექიმი. როგორ ფიქრობთ, შევძლებ კი იქ ლექმპატურის შოვნას? ალბათ სივრცეა, თავი დაანებო კარგ სამუშაოს თვავადსაფლავების გამო, არა?

— თქვენი ძეგლზე რას ფიქრობს ამაზე?

— ის არ არის წინააღმდეგი.

— ეს დიდი რისკია.

— ვიცი, მაგრამ თუ თქვენ მეტყვით, „სცადეო“, მე გავგზავნებ. და თუ მეტყვით „ღარჩიო“ დავრჩები მაშინ.

ის ისე თვალმოუშორებლად მიცქეროდა თავისი მოელვარე თვალებით, რომ მივხვდი უცებ, თუ რა სერიოზულია მისთვის ყველაფერი ეს.

— ეს თქვენი მომავალია. მაგრამ რადგან მეკითხებით, გეტყვით: თუ თქვენთვის ფული არაფერს ნიშნავს და მცირედით კმაყოფილდებით, გაემგზავრეთ, მაშინ სიცოცხლე იქ ნამდვილად საუცხოოა.

ის წავიდა. მე მასზე ერთი-ორი დღე ვფიქრობდი, შემდეგ კი გადამაგიწყდა. ეს ებოზოდა სულ ამომიფარდა მესხიერებიდან.

დიდი ხნის შემდეგ მე ისევ მოვხვდი სევილიაში. ერთხელ უეცრად ტყეში ცულად გავხდი, ინგლისელი ექიმი ვიკითხე და მისამართი მომცეს. მოვნახე ის სახლი, ჩემს შესახვედრად გამოვიდა საშუალო ტანის, მსუქანი კაცი. ის ცოტათი დაიბნა ჩემს დანახვაზე.

— თქვენ ჩემთან მოხვედით? — მკითხა მან.

— მე ინგლისელი გახლავარ, ექიმო. — ავუხსენი, თუ რაში იყო საქმე და მან სახლში შემიპატიჟა.

სამუშაო ოთახი, რომელიც ეზოში გადიოდა, საესე იყო ქაღალდებით, წიგნებით, სამედიცინო აღჭურვილობითა და სხვადა-სხვა ნივთებით. ერთი თვალის შევლვებაც კი საკმარისი იყო, მათთვის რომ პაციენტი შემერთლიყო. გასინჯვის შემდეგ რამდენი გერგებათო ვკითხე. მან თავი გააქნია და გაიღიმა:

— ფული არ არის საჭირო.

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— ნუთუ არ გახსოვართ? მე ზომ მხოლოდ იმიტომ ვარ აქ, რომ ეს თქვენ მიიჩიეთ მე.

სტეფანი გახლავართ. პირველად ვერც კი მივხვდი, რაზე მელაპარაკებოდა. მაშინ ერთი ჩვენი საუბარი გამახსენა და ყველაფერი მომაგონდა.

— მე ისე მინდოდა თქვენი ნახვა, ისე მინდოდა თქვენთვის მადლო-



ბა მეთქვა ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ...

ნაწილები

— ესე იგი ყველაფერი კარგად აეწყო? — დაკვირვებით შევხედულობდი იგი ძალზე გასუქებულიყო და გამელოტებულიყო, მაგრამ თვალები ისევ ძველებურად უბრწყინავდა, წითელ, ღაჭღაჭ ლოყებზე კი სრული კმაყოფილება ეხატა. ესპანელი თერძის მიერ იყო შეკერილი ტანსაცმელი მოძულეობდა უკვე. თავზე ფართო ფარფლებიანი სომბრერო ეხურა. ჩანდა, კარგად ერკვეოდა ღვინოებში. მას დაბნეული კაცის იერი ჰქონდა, მაგრამ ეს სიმპათიას იწვევდა თქვენში. მისი შემხედვარე პაციენტი ალბათ დიდი მერყეობის შემდეგ თუ დათანხმდებოდა აპენდიციტის ამოჭრას, მაგრამ შეუძლებელი იყო მასზე უფრო მომხიბვლელი თანამოსაუბრის პოვნა.

— თქვენ მგონი მეუღლეც გყავდათ, — ვკითხე მე.

— დიას, მაგრამ ჩემს ცოლს არ მოეწონა ესპანეთი და უკან დაბრუნდა.

— ჰო?!...

— ჩემი სიცოცხლე ესპანეთით არის სავსე, — ჩურჩულით თქვა მან.

ამ დროს კარებში შუა ხნის ესპანელი ქალი გამოჩნდა. მას გამომწვევი და სათნო თვალები ჰქონდა. იგი ესპანურად დაელაპარაკა კაცს. შეუძლებელი იყო არ მიმხედარიყავით — რომ ის სახლის დიასახლისი გახლდათ.

უკვე სახლიდან გამოსულს მითხრა: „თქვენ მაშინ თქვით, რომ მე იქ მდიდარი არ ვიქნებოდი, მაგრამ სიცოცხლე საუცხოო იქნებაო. საბედნიეროდ თქვენ მართალი აღმოჩნდით. მე ყოველთვის ღარიბი ვიყავი და, ასევე დავრჩი, მაგრამ თქვენ ზომ მოწმე ხართ იმისა, რომ სიცოცხლით ვტკბები და სხვა არაფერზე, თვით მეუფის მღვდმარეობაზეც კი არ გავცვლი ჩემს დღევანდელ ყოფას.“

ინგლისურიდან თარგმნა

სოსლან ხარაბაძემ



მინ მოდის მომავლიდან

ნათუნა თაყაიშვილი

მიწა

მიწა, ფეხისგულებს ასე რომ მიწვავს...

- მეც ეს მხურვალე გრძნობა მიტაცებს.

თითქოს სხელი, როგორც ბალახი,

სიცოცხლის წყაროს გამოწოვს მისგან.

გამოწოვს საზრდოს, თბილს და ნოყიერს,

როგორც სიმწიფით გაბერილ ნაყოფს.

თითქოს მიწაში ძვლებშიც ზმაურობს,

რომ ამ ზმაურით ფიქრი გამიერთოს.

მიწა, ფეხისგულებს ასე რომ მიწვავს,

მძლავრად ვისუნთქავ მის სიმხურვალეს.

მძლავრად ვისრუტავ მისგან სიცოცხლეს,

ვით გასაზრდელად შემართული ერთი ბალახი.

ანდა, როგორც მინდვრის ყვავილი,

როგორც ერთი ღლის სილამაზე,

და თვით სიცოცხლეც მხოლოდ ერთი ღლის.

განა მხოლოდ ბებელა ცოცხლობს ცოტას,

განა უფრო გაჭიმულია წუთისოფელი?

ჩვენი დიდი, ბებერი სოფელი.

ყველაფერი რომ ზმაურობს მასში,

როგორც მიწაში ძვლები ზმაურობს:

ყრუდ, შორიდან, მაგრამ მისი ზმა

არ ტოვებს არცერთ ყურთასმენას.

მე ეს ძვლები კი არ მალევენ,

ან წუთისოფლის აზმაურობა.

ან, იქნებ, უფრო მზიბლავს:

ამდენი სიცოცხლე მიწიდან როგორ მოედინება

- სიცოცხლის ბოლოს რომ გაითხოვოს უკან ყოველი:

თითო-თითოდ; მისხალ-მისხალ; ფურცელ-ფურცელ.

ან მის გაწაფულ მახსოვრობას ვინ გამოორჩება.

მაგრამ მიწამ იცის, რომ სიცოცხლეში

უფრო დიდი წილი უფრო დიდსა აქვს...
მიწას მხოლოდ ის რჩება, რასაც იძლევა.
და იმ დანარჩენ დიდ ნაწილს,
თუმცა მძლავრად ეპოტინება,
მინც ვერასოდეს, ვერაფერს გააწვობს.
მიწა სხეულს იზიდავს მხოლოდ,
მიზიდულობის დიდი კანონით.
ღმერთის ნაწილი ღმერთთან მიფრინავს...

ცხოვრება ჩვენი,
ათასი ზღაპრით, ათასი სიზმრით აბურცვლილი მიწა...
მიწა, რომელსაც სხეულში ვიგროვებთ,
მიწა, რომელიც სულს გვიტალახებს:
- კაცი სახლია ნაგები, გაწვიმებისას რომ ტალახდება.
კაციც მიწა და ტალახია, ჭუჭყიან წყალს ნაზავები.
მაგრამ ღვთისსულნაბერი, ღვთის ფიქრს გამოყოლილი.
კაცი ფიქრებით ნაშენია, ჭრელი ფიქრებით...
და ჭრელ ნიღაბს ამოფარული,
სამყაროს კედლებს რწევით ეხლება.
არა სიბრძნევით, რადაც უცხო დიდი ტკივილით.
...და ტალახი, სულში შეჭრილ ნიაღვარივით,
სიმხურვალისგან ორთქლდება და ბელტად იქცევა.
და დაატარებს დაბელტილ სულს, მძიმე ჯვარივით.

ცხოვრება ჩვენი,
ათასი ზღაპრით, ათასი სიზმრით აბურცვლილი მიწა...
მიწა, რომელიც სულს გვიტალახებს და მაინც გვიყვარს.
ძლიერ გვიყვარს: დედა დავარქვით.
ეს ხომ დედა მიწაა! - მიზიდულობის დიდი მაგნიტი!
და ამ მაგნიტს ჩაჭიდებული, ფხვნიერი მიწა გულს რომ გგეყრება,
ისევ ეჭვების, უნდობლობის მარცვალს გვიღვივებს.
მერე მარცვალი, ფესვმოდებული, სულში ნაოჭად გაგვენლართება.
მიწას კი, დედასავით ასე რომ გვიყვარს,
ვეღარც უბეს, ვეღარც კალთას მოვუძებნით.
თითქოს განგებ დაიწყო კარი. აღარ გვღებულობს:
- მასაც დიდი ეჭვი სცოდნია.
ვგრძნობთ ამ ბარიერს, ვწუხვართ: ფრთები მაინც გვესხას,
რომ ამ მიწის მიზიდულობის დიდი მაგნიტი
ვეღარ ამოგწვდეს ცის სიმაღლეზე.

ახლა, უკვე ამბობებულნი, ჩვენს დედაშიწას ვეჯავრებით.
ალარ ვენდობით.

უთანასწორო ბრძოლას ვაჩალებთ.

ბრძოლას რაღაც უცხო დღეში და სიჩუმეში.

ამ სიჩუმეში გვესმის ზარიანი ხმა.

ისევ ის ძველი, ნაცნობი და ახლობელი ხმა ჯვარცმული უფლის:

„მიუტევე ამათ მამაო, რამეთუ არა იციან რასა იქმან...“

ვისი სმენაც მიმღებია ამგვარ ვედრების

მოწყურებული ღმერთთან მივა წყლის დასაღევად:

დიდი იმედი! დიდ ტკივილში დიდი იმედი!

შენ, გოლგოთაგამოვლილმა, უნდა გვასწავლო გოლგოთის ტევა.

რომ ღირსი გავხდეთ შემოგვედროთ სავედრებელი, ძველი ტკივილის:

კაცი სახლია მიწით ნაგები, გაწვიმებისას რომ ტალახდება.

ცხოვრება ჩვენი,

ათასი ზღაპრით, ათასი სიზმრით აბურცვლილი მიწაა...

მიწა, რომელიც სულს გვიტალახებს...

...და ჩემს მეუფეს შეგვედრები:

- ეს ტალახი მომაშორე, ოღონდ ტალახი მომაშორე,

ჩემო იესო...



ნაწილი გოგონამი

* * *

დამღლის მოლოდინის ვალი,
დამღლის მოლოდინის ნება.
საით, სილამაზის თვალო,
საით, ოქროსფერო თმებო...
ზეცა ყვავილობით გახმა,
ზეცა — მზის გულივით ცხელი
და ღზენით წასული აღმა,
დაბლა დაბრუნდებით კველა...
ლოცვა გუგუნით რჩება
სახლის გამოღებულ კართან,
ირგვლივ ღუმილია შენი
თეთრი ამღერების გარდა...
მაინც, ოცნებებით ნეტარ
წლებს ვერ შევატოვე ფრთები.
საით, დავიწყებაგ, ნეტა —
შენი ოქროსფერი თმები...

* * *

გაიშალა გარდის შერჩენილი ნამი,
სიმბურვალედ წამოენთო სიფრიფანა დაწვებს,
მწე ატოკდა შინდისფერი და... ცისფერი წამი
ნამის ჩუმი გაოცების ნედლ კოცონზე დაწვეს...
გაიშალა წეროს ფრთაზე დაკიდული დილა,
გაიშალა... გაიღვენთა... დაითენთა თბილად...

სარკმელს ეხები ფრთხილად,
სიო იწურავს თვალებს
და ითენთება თბილად
ღანაცრებული მთვარე...
თითქოს აუღის ბოლი
ცეცხლწაგდებულ ვარდებს,
თითქოს თვალების ბროლი
გაჩენის დღიდან არ გდევს...
შემოგეხვევა ტანზე
ზეჰარის შუქი მკრთალი
და გაღიმებულ ცაზე
შეგაცივდება თვალი...
სარკმელს ეხები ფრთხილად,
მზერით უხილავს უმზერ
და უსაშველოდ თბილი
ცრემლი გეჰრება კულზე.



ნინო კვასტანი

ბიჭი და გოგო... ზღვა

სალამო...

ზღვა... სიჩუმე... დიდი სიმშვიდე...

რა ლამაზია დღემილი! რა ლამაზია მშვიდი ზღვა!
ოცნება, ფიქრი და ისევ სიჩუმე, ისევ დღემილი...

— ფიქრობ?

— სასაცილოა არა? რა გქნა?

— მე კი...

მოიცა, მოიცა, ჩუმად! ნუთუ არ გეხმის ჩურჩული?

— ჩურჩული???

— სუუ. ხმა არ ამოიღო, მე მაინც მაცალე ამის მოსმენა, გონების
სიღრმეში წარმოსახვა.

— რა კარგია, არა? წარმოიდგინე მაინც.

— რა?

სალამო... მზე ნელ-ნელა ჩადის, იძირება, ზღვა... ცეცხლი ეკიდება
პორიზონტს. მიტოვებული სანაპირო. ბიჭი და გოგო — ორივე ახა-
ლგაზრდა. შეყვარებულები.

ბიჭი — რაღაცას ემუდარება.

გოგო — აინუნშიც არ ავდებს.

ბიჭი — ისევ ემუდარება. ბიჭმა გოგოს დაუხოქა. გოგოს გაეცინა.
ალარ მოიცადა, განაგრძო გზა, ნაპირისაკენ მიიწევდა. იქვე ნავი იყო,
დამხობილი. ნავზე ჩამოსხდნენ. ბიჭი ისევ ევედრება.

გოგო!

გოგოს ეშინია. გულის ცემა აჩქარებია.

გოგოსაც უყვარს, მაგრამ არ აგრძნობინებს. ერთი ხელის შეხება
და... საკმარისია. მთლიანად მიენდობა ბიჭს.

ბიჭი ახლოს მიუჭდა გოგოს. გოგო არ გაინძრია. ისე ახლო იყვნენ
ერთმანეთთან, რომ ერთი მეორის გულის ძეგრა ესმოდათ.

ზღვა ისევ დუმდა.

მზე ისევ ისე იწვოდა.

ბიჭმა გოგოს ხელი მხარზე გადაჰხვია. გოგო შეერთა.

ზღვა ისევ დუმდა, მზე კი...

ბიჭმა გოგოს ერთი ხელი ხელის გულში მოიმწყვდია, მეორე კი თმებში

შეატურა...

გოგო შეცბა, საზე აელეწა, ცეცხლი ეკიდება. ზღვისთან ერთად იწვის...
ზღვა ახმაურდა. მზის მწველმა სიცხემაც შეაწუხა.

ბიჭმა ახლა ხელები წელზე შემოჰხვია გოგოს და გულზე მიიკრა.

გოგოს ძალა არ შესწევდა, რაიმე ეთქვა. ვერც კი იტყოდა.

ბიჭი გაშმაგებით კოცნიდა. სულ დაუკოცნა შუბლი, თვალები, ლოყები, კისერი. გოგო აწრიალდა და შიში დაეუფლა. გული ამოგარანას ლამობდა საგულედან. ტალღები კიდევ უფრო ახმაურდნენ.

მზე ლამის მთლიანად ჩაინთქას ზღვაში.

ირგვლივ ყოველი წითელია. მოუბერა ზღვის პაერმა.

ბიჭი გრძნობებს ებრძვის.

გოგოს თმები აწეწია. გრძელ თმაში კამელიის წითელი ყვავილი მიეზნია.

შავი თმები, შავი თვალები, სქელი ტუჩები, მაღალი ტანი, ლამაზი ფეხები, მარმარილოსავით თეთრი მკერდი და სანთლით ჩამოსხნილი მკლავები. საოცარი თითები... გოგო არც ახლა იღებს ხმას. ამან გადარია ბიჭი. ერთი სიტყვაც იმარებდა, მაგრამ, დღეს გოგო, ლაპარაკის თავიც არა აქვს.

ისევ ზღვა.

ისევ აგორებული ტალღები.

ისევ მზე ჩამავალი, მწველი და...

ბიჭმა ველარ დაიოკა გრძნობები,

გოგომაც ვერაფერი თქვა.

ნაგის გვერდით დისხდნენ. მალე, ხვეწნისაგან დაღლილი მკლავებზე გადაიწვინა გოგო.

ბიჭი კოცნის,

გოგო რაღაცას სთხოვს.

ბიჭი ყურს აღარ უგდებს. საკინძეს უხსნის და მკერდზე ეფერება.

გოგოს უნდა რომ მოიცლიოს, მაგრამ არც ეს შეუძლია.

ბიჭი პერანგს იხდის,

გოგო ისევ ემუდარება,

ზღვა ღელავს,

მზე თითქოს ჩაიძირა წყალში.

ტალღების ხმაურში მაინც ისმის გოგოს მუდარა.

ბიჭი ველარ უსმენს.

გოგო ქვითინებს,

ბიჭი გრძნობებმა აიტაცეს.

გოგო კვლავაც ემუდრება,

ბიჭს აღარ ესმის გოგოს მუდარა.

- გემუდარები!
- ბიჭი ღუმს.
- ნუ იზამ მაგას!
- ჩემი ხარ, ჩემი, სხვა არავის!!!
- ჰო, მაგრამ...
- მიყვარხარ!
- ვიცი!
- გთხოვ, მაკოცე!
- ნუ, ნუ იზამ მაგას!..
- ჩემო სერაფიტა!
- გთხოვ, გემუდარები.
- ჩემი ფერია ხარ!
- გეგედრები!

ბიჭმა სულ დაუწითლა კოცნისაგან გოგოს ყელ-კისერი, ლოყები და მკერდი.

ზღვა ხმაურობდა. მზე იკრებდა თავის წითელ სხივებს, რომლის ფონზეც ორი მოზრდილი წერტილი მოჩანდა.

ბიჭი გოგოს კოცნის. გოგო ჯერ კიდევ ებრძვის, სულ ვადაილადა...

ბიჭი ტუჩებში აკოცებს, უკანასკნელი შეტევა, უკანასკნელი გაბრძოლება, კამელიის ყვავილი შორიანლოს ეგდო...

ზღვის ხმაურმა შეთანთხა გოგოს შეკივლები. არავის არაფერი გაუგონია. არც კი დაუნახავთ.

ბიჭი გოგოს აშშვიდებს.

ჩამავალი მზის ფონზე ორი თოლია მოფრინავდა.

* * *

ზღვის ნაპირზე ორნი სხედან: ბიჭი და გოგო. ბიჭს თეთრი გახამებული პერანგი აცვია. გოგოს — თეთრი, მოჩითული კაბა. შავ თმებში კამელიის წითელი ყვავილი გაერჭო. თმას ზღვის ქარი უწევავდა...

* * *

ჩამავალი მზის ფონზე კი ორ დიდ თოლიას ორი პატარა თოლიაც მოჰყვებოდა...



მზია გომეზაძე

წამი

გავიდა წამი, ერთი წამით დავშორდი წარსულს,
გვატყუებს დრო და წამ-წამობით გვპარავს სიცოცხლეს.
გასრულდა წამი და უსახო სიზარტულებმა,
ტკივილთან ერთად უნუგეშოდ ამოიოხრეს.
გავიდა წამი, ერთი წამით დავთმეთ ცხოვრება,
ვერ შევიცანით ციცქნა წამის ძლიერი ძალა,
ასე გვვონია ყოველივე გვემახსოვრება,
მაგრამ არ ვფიქრობთ სიკვდილისთვის, წამიც რომ კმარა.
გავიდა წამი, ავებულა ცხოვრება წამზე,
პაწია წამით ველარა ვგრძნობთ წარსულთან გაყრას.
დარეკავს უამი, გადავლილი წამების მსგავსი
და მეც წამივით, დავიღვეი უხმოდ და ჩქარა.

* * *

ჩემს ლამაზ სარკმელს, ფიქრებით სავსეს,
ვინღა შეხედავს, ვინ უთვალთვალავს?
მე მახსოვს წინათ, შემთხვევით, წამით,
როგორ წავაწყდი შენს დამფრთხალ თვალებს.
ახლა ჩემს სარკმელს წვიმა დარაჯობს,
ლოდინის ცრემლი მინებს ასველებს.
მოწყენილ ბაღში ქარი წრიალებს
და შენზე ფიქრი აღარ მასვენებს.

* * *

ბავშვივით ვტირი, ბავშვივით ვგოდებ,
ციდან ოცნების ვარსკვლავი ცვივა.

მე ვდგავარ მარტო, მოგელი მარტო,
და უშენობით უზომოდ ძცევა.
ბავშვით გელი, ბავშვით გლოცავ,
ალარ მაქვს ძალა, მომწყინდა ოხვრა.
ბავშვით მჯერა, ბავშვით მჯერა,
ვიცი რომ მოხვალ, ვიცი რომ მოხვალ.

მზიანი ღლეა,
ჩაფერფლილა მზის სითბო ხევში,
მთის მწვერვალები შეღებულან პირველი თოვლით,
ზამთარი მოდის...
გვასვენებენ შიმშელი ხენი,
ისინიც პირველ თოვლს დაუხვდნენ
ბავშვური თრთოლვით.
ზამთარი მოდის...
მაგრამ მაინც მზიანი ღლეა,
ვერ შელევთან ამ მწირ სითბოს
ბერი ხეები.
ზამთარი მოდის... |დედამიწის თეთრი სამოსი,
ზამთარი მოდის,
შემოდგომის მიდის ღლეები.



ლია გოლჭვაძე

* * *

შევალე კარებს თეთრ ვარდებად ფეთქავს სიჩუმე,
 დაუფლებია ღამის ჩრდილი პატარა ოთახს.
 აღარ ზაფხულობს არც ერთი დღე სიმარტოვეში,
 და მანადგურებს მიტოვებულ ყვავილთა ოხვრა.
 აღარ მაშინებს ეგ ხანგრძლივი, მკაცრი დუმილი,
 მე შევეგუე ათასჯერ სიკვდილს!
 მეტკინა სული მარტოობით შემობურვილი.
 ცხოვრებისაგან მოლოდინმისჯილს.
 დაჭკნა იმედი...

ვით ვარდები თეთრი ოთახის,
 რომლებიც კვლარ გადაურჩნენ გრძნობების გვალვებს,
 ისევ უშენოდ მოწყენილი დიან დღეები,
 და არაფერი, არაფერი აღარ მახარებს.
 თითქოს დავნებდი სიმარტოვეს, მაგრამ ისევ
 გრძნეული ფიქრით მომავალში მოგებნის გული,
 რომ ისევ ცივად შემომხედება სიცარიელე —
 შენი სიჩუმე, — თეთრ ვარდებად აფეთქებული.

წვიმის შეგდება

ხეებს მძივებად შერჩენიათ წვიმის წვეთები,
 მთის კალთებიდან იკრიფება ნისლი მაღულად,
 როგორც პებლები, დაფრინავენ ცაში ფოთლები,
 სოფლის შარაზე ცივი ქარი შემოპარულა.
 ღრუბლის ნაფლეთი, ვით გვირილა, ყვავილობს ცაზე.
 ბუდეს სივრცეში დაეძებენ ზამთრის ჩიტები,
 ვით დედოფალი მზე დგას მორცხვად ცის კაბადონზე,
 ცისარტყელაზე გვირგვინს წნავენ ქალის თითები.
 მდინარის თავზე კვლავ რაღაცას ეძებს თოლია,
 ყოველთვის წყლის ხმის მოყურადე, მისი დარაჯი,

როგორც ხალიჩა აფენია მიწას მინდორი,
ატირებული ყვავილებით, გაშხმარ ბაღახით.
ხეების ჩრდილში მარგალიტის რიალებს ელვა,
ქარი თამაშობს იმნაირად, როგორც ყნება.
პირდაბანილი სილამაზე სიმშვიდით ღელავს,
და ქვეყანაზე დაივანა მშვენიერება.

* * *

გარდაუვალო,
ცოდვად არ გდევდეს ჩვენი სიკვდილი,
როცა ვსურს, მაშინ შემოაღებ სიცოცხლის კარებს,
შეებრძოლები ნაწამებ სულს,
უიარაღოს,
და საბოლოოდ გაილაშქრებ
ჩვენს წინააღმდეგ.
არა! არ მინდა ხმამაღლა ვოქვა
სიკვდილი, რაკი,
თვითონ მაშინებს ჩემს სიკვდილზე
მე ლაბარაკა.

* * *

მზიან

რა საჭიროა ხმამაღლა მითხრა,
შენი თვალები მეტყვის,
ჩემს სულს, რომელსაც გულით ვანაცვლებ,
შენა ხარ ერთადერთი!
შენა ხარ
ქვეყნად ჩემი რომ გესმის,
ღუმელსაც მომიტეგებ ალბათ...
დაიავ ჩემო კი არა, ჩემი ლექსის,
მინდა ავაცილო ქარბაცს.
საშინელებაა წამიც შენს ვარეშე.

ღღე ვგელა მოწყენილია,
ყველაზე ძეტად ამ საწულოროში
შენ მომენატრები, მზია.

* * *

დაგვიბრუნდება სიყვარული
ჩვენგან წასული,
ვარდებს მაისი მოგვაგებებს
ბავშვის ხელებით...
მოვა წარსული
თეთრ კაბაში აფეთქებული,
მე ისევ ღამაზე სიყვარულით
დაგემტვრები.

* * *

მიდის წუთები...
და არ ვფიქრობ,
ჩემი ღროც მიდის,
ძნელია თავი სიკვდილისთვის
რომ ვაიმეტო,
ამ ცხოვრებისა არაფერი,
თან ბევრი მიკვირს,
ნეტავ ვიცოდე, რამდენს მაძლევ
სიცოცხლეს, ღნერთოს..



ჭოროხთან

მთვარე ანათებს ცის ფართო სარკმელს,
 ქარი თარეშობს ჭადრების ჩრდილში.
 ვილაცა გოგო ჭოროხთან დამდევს
 და მე ვერ გამჩნევ, გართული ფიქრში.

ჭოროხთან დამდევს ვილაცა გოგო,
 არაერთხელ რომ სიზმარში ვნახე.
 არ შეკარება ახლოსაც, ოღონდ
 შორიდან გულს და გონებას მართმევს.

ვილაცა გოგო მოფრინავს ჩემსკენ,
 ქარი ზუზუნით უწყწავს ნაწნავს.
 მოვა, უეცრად მაჩუქებს ღიმილს,
 ღამეში გოგო, თან ლექსსაც მართმევს.

ქარი თამაშობს ჭადრების ჩრდილში,
 მთვარე კი ქარგავს ოცნების სარკმელს.
 გრძნობებით სავსეს და გართულს ფიქრში,
 ვილაცა გოგო ჭოროხთან დამდევს.



შმანება

ის იყო მკაცრი, იყო მძვინვარე,
ვინაც გამიბო ეს გული ორად.
ის იყო თბილი, მაგრამ მქუხარე,
ვინაც მაქცია ცრემლების ტბორად.

დამსდევდა, როგორც ლანდი დემონის,
და სასწაულის გამხადა ღირსი,
რადგან მიყვარდა მაცდურ თვალების,
და თბილი ხელით ალერსი მისი.

დავფარებატბდი, როგორც ფრინველი,
ლამის ფრინველი, ცისფერი კაბით,
როგორ მწყუროდა ტბილი სიტყვები,
თოვლში თუ ქარში, დღისით თუ ღამით.

გვირილა

ყვავილთა დედოფალს — ვარდს ვაწყენინე,
მე ჩემს მოლოცვას გვირილას ვატან.
ჩემს თავს გულისტქმა არ ვათქმევინე
დაუგდე ყური გვირილას ნათქვამს.

გეაღერსება ნიავი წყნარი,
ეს ალერსია პატარა ქალის,
სადღაც წკრიალებს საათის ზარი,
ეს ჩემი გულის ხმაური არის.

იწვოდა ჩუმი სანთელი სწრაფად,
ხეებს სცვიოდით ფოთლები მფრთხალი.
გვირილა შენთვის ლოცულობს წყნარად,
ასევე კენესის პატარა ქალიც.

თეოლოგიკური

* * *

აღმოსდი თაგთირ,
ნათელი შენი, ვით სისხლის ცრემლი,
მაწვიმე თაგთირ...
აღმოსდი თაგთირ,
ნათელი შენი, ვით მანანა,
მაპკურე, თაგთირ...
მომთინე ცოდვილს შენი სხივნი
და განმამზადე,
და განმამზადე ვით ტარიგი,
ბომონის მსხვერპლი...
აღმოსდი თაგთირ,
და წითელი ნათება შენი,
გარდმომავინე, დამამდაბლე, შემომამბრუნე,
რომ ზესკნელს უფალს, ყოვლის შემქმნელს,
მე ვადიდებდე,
და არ ჩავარდე ბნელსა ქვესკნელს,
გარსკვლავო თაგთირ;
აღმოსდი თაგთირ...

* * *

რამდენ გულისთქმას სული მიოცებს,
არ იცი მზეო,
ზღაპრული სუნთქვა ქარებს ერთვის,
მითობას სჩემობს,
წარმტაცე ცაო — ოცნებათა მძიმე ზურჯინი,
გარსკვლავთა ველო,
და ბუმბულივით ამიტაცე, შენ, ზესახლობას,
სხივებით მგლელო.
იცოდე, მზეო, —
შენგან სიშორეს ვერ მოვითმენ,
სიზმრები ღრეობს...

მამას

იანვრის სუსხი მზეს დაეთრგუნა,
გაჯიუტებულ ღრუბლებს ფანტავდა,
გაშმაგებული ღრუბლების ქარი
ჩემთვის ობლობის სამოსს ქარგავდა...
დაფრთხილობდნენ ირგვლივ ჩიტები,
მათი გოდება სულში მწვდებოდა,
გადმომისხურეს თავზე ცრემლები,
თურმე იმ წუთას მამა კვდებოდა.
ღრუბლებს სხივები გულში ჩაეკრა
და სამყაროსაც ფერი ეცვალა,
შობა დღე იყო, — ცივი, კვიმატი,
როდესაც მამა გარდამეცვალა.



როგორ მიწა „ბატონი“ ვიყო.

ავადმყოფობაზე გამახსენდა — ამბობენ „ბატონები“ დადისო. წითელა, ყვავილა, რა ვიცი, კიდეც ყვითელია... მე თურმე მომიხდი, გუოფილვარ უკვე „ბატონი“. რომ არ მახსოვს?... ისე, ახლა რომ ვიყო ბატონი, რამდენ რამეს დავაგროვებდი, ცოტათი კი მერიდება ჩემიანების, მაგრამ მაშინ ზომ ჩემი ბრალი არ იქნებოდა, „ბატონის“ ბრალი იქნებოდა. რა ვიცი, დედამ მითხრა, ყველანაირი ბატონები მოხდილი გაქვსო, დამამშვიდა. კი მაგრამ, სულ პატარას რომ დამი-ბრძანდა ბატონები, ფაფის ჭამის მეტი რომ არაფერი ვიცოდი, რა აჩქარებდა? გაგებრახდი.

ერთხელ მეზობლის ბავშვი მოვინახულე, — ბატონი ავთო. დედამ მიულოცა „ბატონის“ მობრძანება, ისიც გახარებული გავარდა ოთხ-ხუთი და თავის ბატონობის დროს შეძენილი საჩუქრები ვფიჩვენა. ეს დედამ, ეს მამამ, ეს ბებომ... ეხლა ყველაფერს ზომ ვერ ჩამოვთვლი, ... ისე, საწყალი, პირველად თურმე ტიროდა, ვიღაც ამხანაგამა ჭოროფ-ლი გადამადოო. დიხედივდა წითლად დაწიწკულ ტანზე. მე დედას ვეუბნები: — დედი, იქნება ყვავილა ბატონები არა მაქვს მოხდილი-მეთქი, რა კარგია, ტანზე ყვავილები დაგეხატოს და თანაც „ბატონი“ იყო. — ვიცინით ორივე. დედამ მაკოცა, ტკბილად და მითხრა: შენ სულ ბატონი არა ხარო? კი, დედი, მე თავაზიანი, წყნარი და მორიდებ-ბული ბატონი ვარ-მეთქი, — ვუბასახე.

სოფელი ბოგო

სოფელში ცხელი ზაფხული იდგა, სოფლის გზაზე ხანში შესულ კაცს ეუცნაურა ეზოს ჭიწკართან მდგარი პატარა გოგონა და შეეკი-თხა: გოგ, შენ რა გქვია? — ირმაი. დედაშენს რა ჰქვია? — თინათი. მამაშენს? — სულიკოი. ოო... ლამაზი სახელები გქონიან. ეფერება კაცი გოგონას. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ეკითხება: რამდენი წლისა ხარ? ექვსის... მალე სკოლაში წახვალ... გოგონა შეკითხვებზე შეუსვენებლივ პასუხობდა. კაცი გაიხუტა. გზის გაგრძელებას აპირებდა. გოგონა ეუბნება: ჩვენ, სახლში პატარა ზბო გვეყავს, ნიკორაი ჰქვია, ...დი თავს აქეთ-იქით აქნევს. ჩვენმა კატამ რვა ცინტალი დაყარა, ნენეს წყალში უხდოდა გადაყრა და მე

დაემალე. ისეთი პატარები არიან, ისეთი ლამაზები... ენაც მოიჩლიქა გოგომ და თვალებიც დახუჭა. მერე თვალებგახელილი ერთ წერტილს მიაჩერდა, თითქოს რაღაც გააჩსენდაო. ისევ ჩქარ-ჩქარა დაიწყო: — ჩემმა ძმამ თბილისიდან წითელი კაბა და ლამაზი თოჯინა ჩამომიტანა. ჰო, კარგი, კარგი, ეუბნება კაცი. გოგონა შეშინებული უყურებს კაცს, გაითუ წავიდეს და ყველაფრის თქმა ვერ მოვასწროო. თან იმასაც ფიქრობს, იქნება შემოვიდეს ჩვენთანო. მაშინ ხომ სათქმელი აღარაფერი დამრჩებაო. მერე გოგონამ თავი წამოსწია და თვალები გაუფართოვდა, რადგან კაცი უკვე კარგა მანძილით დასცილდა მას. ეჰ... საქმიანი ქალივით მწარედ ამოიოხრა და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა სახლისაკენ.

მე და სარკე

რას მიყურებ, ვერ მიცანი? პასუხს როდის გამცემ, სანამდე გელოდო, ავტქნეი ხელი ჩემს წინ მდგარ პატარა გოგონას. შენ რა, მეძუქრები კიდეც? გავბრაზდი? ერთი მითხარი, ჩემისთანა კაბა ვინ გიყიდა? თმის საბნევიც რომ ჩემისთანა გაბნევი? ყველაფერს თავი დავანებოთ, დედიკომ რომ დაბადების დღეზე ფეხსაცმელი მაჩუქა, ისინი შენ ვინ ჩაგაცვია? მიყურებ გაჩუმებული და არაფერს მბასუხობ. პირს აღებ სულელივით. არ მოგწონვარ? გავაქნეი თავი მე და იმანაც თავი გააქნია. გული მომივიდა, რა მომივიდა, ვფიქრობ ახლა ხელს გაგარ-ტყამ-მეთქი. გაჩუმდი, აღარაფერს ვამბობ და ისიც გაჩუმებული მიყურებს. უცებ შევნიშნე, თმებიც ჩემნაირი ჰქონდა, თვალებიც... ავტირდი... დედიკო... დედიკო... მომაშორე ეს გოგონა... და ცრე-მლიანი თვალები მისკენ გავაპარე. გამიკვირდა, იმასაც ლაბაღუბით ჩამოსდიოდა ცრემლი. შემეცოდა და ვაკოცე. იმანაც მაკოცა. ამის შემდეგ ჩვენ მეგობრები ვართ.

ჩემს ბათუმში ისევ ვიმის

წვიმს. დღესაც წვიმს. წამოგვარდი საწოლიდან და ფანჯარაში გავიხედე. რას გაიგებ რომელი საათია. მთელი დღე გასულა უხასიათოდ... ჩემო ბათუმო, სად არის შენი მზე? იქნებ მიგატოვა და წავიდა სადმე? ნუთუ მთელი ზაფხული ასე ტირილში უნდა გაატარო? წკაპ, წკაპ, წკაპ, წკაპ... ცოტაც და მეც ავტირდები. არა გრცხვნი? დღეს იმ ლამაზი კაბის ჩაცმა მიწოდდა ეს ესაა დედიკომ რომ შემეცა-რა. შენ კი თავზე დაგიხვევია ღრუბლები ჩამოგიმვია ცხვირი და ვიი... ვიი... ტირიხარ... იქნებ სტუმარი გესტუმრა, ასე უშნო როგორ უნდა შეხედე?

ისე უკეთესია პირდაპირ ზღვიდან შემოვიდეს ნავით. აბა მე და დედის
გვკითხე წვიმიან დღეს შენს ქუჩებში როგორ გავმწარდი? სასაცილო
კი ხარ, ... იმ დღეს თავს კაშკაშა მზე დაგვეუჩხუბრებდა, მერე
თავსხმა წვიმა წამოვიდა. ასე როგორ გეცვლება ხასიათი? ჩუმად გეტყვი,
მეც ასეთი ვარ, თუმცა რა გასაცვირია, შენი შვილი ვარ, შენს კალთაში
გაზრდილი.

ჩემო ბათუმო, ჩემო ცისფერთვალება. ისე მიყვარხარ, მინდა ხელები
შემოგახვიო და მთელი ქალაქი ჩემს გულში ჩავიტიო. ვიცი გაგეხარდება,
წვიმიან დღესაც მზის სხივებს შემომახვევ და მომეფე-რები.

შახინანი ღიმილი

— დედი, დედი, მიყიდე ნაყინი!...

დედა ხმაამოუღებლივ მიიჩქაროდა, გოგონას თითქოს მიათრევდა.

— მიყიდე, მიყიდე, მიყიდე!...

გოგო გაიბუტა, სახეზე აშკარად დაეტყო გაბრაზება.

— ოჰ... 50 თეთრი, ოჰ, ერთი ლარი.... ბუტბუტებდა გზადაგზა. — ოჰ
, ამოიოხრა კიდეც.

— რა მოხდა შვილო? ძლივს შეამჩნია დედამ.

— განა ვერ გაიგე, მიყიდე ნაყინი!

— ყელს გაგიცივებს, არ გინდა!

გოგონას თვალებში ცრემლები ჩაუდგა. სადაცაა ატირდება. არ
ავტირდება, არ ავტირდება, იმეორებს გულში. ატირდი, აღრიალდი,
აბლაგლდი და გეშველება— გულის ნახევარი ეუბნება.

რომელს დაგუჯერო? — ფიქრობს გოგო. მარჯვენას თუ მარცხენას,
მარჯვენას თუ მარცხენას?... ეჰ, უკვე გავიარეთ მოსახვევი!... დედამ
მარჯვნივ შეუხვია. გოგონამ ახლა კი ცრემლები გადმოჰყარა.

დედა შეჩერდა, აი, მისკენ შემობრუნდა.... ხელში ნაყინი უჭირავს.

— ახლა მაინც გაიღიმე, სთხოვა აცრემლებულ გოგონას.

ინგა ლორია 11 წლის ჩვეულებრივი, მეოცნებე გოგონებისაგან იმით
განსხვავდება, რომ შეუძლია საოცარი გულწრფელობით გახსნას
საკუთარი სულიერი სამყარო, რომელიც ძალზე მომხიბვლელია, ამ
პატარა გოგონასათვის მხატვრული სიტყვის მაღლი უხვად დაუმა-
ღლებია ღმერთს. ამაში მისი მოთხრობები დაგვარწმუნებს.

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნანი გუგუშაშვილი

მემედ აბაშიძე — განმანათლებელი

განმანათლებლობა მსოფლიო მოვლენაა და იგი ყოველთვის საზოგადოებრივი მოძრაობის სახით არსებობდა. განმანათლებლობას დიდი ტრადიციები აქვს საქართველოშიც. ქართველი განმანათლებლები არ იფარგლებოდნენ მხოლოდ სახალხო სკოლების გახსნისათვის ბრძოლით. რა თქმა უნდა, განმანათლებლობა, როგორც წესი, ცოდნას ემყარება, განმანათლებლობა ცოდნის ძალისხმევით ცდილობს ხალხის ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებას. განმანათლებლობა ცოდნის კულტს ქადაგებს და მისი მიზანია ქვეყნის მთელი მოსახლეობა ცივილიზებულ დონემდე ამაღლოს და მისი თითოეული წევრი ცოდნით შეიარაღებული გამოდიოდეს ცხოვრებაში.

მემედ აბაშიძის ბიოგრაფი სერგო გერსამია ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს ასახელებს თავის ნაშრომში „მემედ აბაშიძე“ და ბოლოს განზოგადოებული სახით წერს: მემედ აბაშიძე, როგორც მასწავლებელი და განმანათლებელი არ იფარგლებოდა სკოლის კედლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებით. ის იყო განმანათლებელი და დაუღალავ შრომას ეწეოდა მოსახლეობაში განათლების პრესტიჟის ამაღლებისათვის. მემედი და მისი თანამოაზრენი ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის შესწავლისა და საერთოდ, სწავლა-განათლების მიღების შესახებ. ამავე დროს ქართულ საზოგადოებაში ორგანიზაციებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, შემდეგ დაარსებულ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში და სხვა წშირად აყენებდა საკითხს აჭარაში სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნის შესახებ. მათმა საქმიანობამ ნაყოფი გამოიღო. სკოლების რიცხვი, შესაძლებლობის ფარგლებში, გამრავლდა. იმატა აჭარელ მოსწავლეთა რაოდენობამ. ამას მოჰყვა მოწინავე ინტელიგენტთა გამრავლებაც“. სერგო გერსამია. მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960 წ. გვ. 50/.

მემედ აბაშიძის პირადი ინიციატივით, პირველ რიგში, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ბიუჯეტიდან სკოლები ფინანსდებოდა. 1919 წლის თვითური ხარჯთაღრიცხვის მიხედ-

დვით მარტო ხუცუბნის სამეურნეო სკოლისათვის 28 ათასი მანეთი გამოიყო. *თ. კომანიძე*, „მამულიშვილი“, გამოც. „აჭარა“, ბათუმი 1994 წ. გვ. 10-121.

მეშველ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ჩვენ რამდენიმე ასპექტს გამოვყოფთ. პირველ რიგში ეს არის მეშველ აბაშიძის ბრძოლა ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიან ქართველთა შვილების მოზიდვისა და სწავლა-განათლებაში მათთვის ხელის შეწყობა. როგორც ცნობილია, მაჰმადიან ქართველთა შორის დიდხანს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სუფევდა ქართულ სკოლაში შვილების გაგზავნისა და ქართული აღზრდა-განათლების მიღების საკითხების ვარშემო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება დღემდე გამოუქვეყნებელი ისტორიული მოხსენებითი ბარათი გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის თანამოაზრის და მოწადის ლუარსაბ ბოცვაძისა, რომელიც 1904 წელს ეწვია ბათუმის ქართულ სკოლას და კრიტიკულ ნაწილში შემდეგს აღნიშნავს: „ბათუმის სკოლის ერთს თვალსაჩინო ნაკლოვანებას შეადგენს მაჰმადიან მოწადეთა სიმცირე, რომელიც უკანასკნელ წელს ორამდის ჩამოსულა. ამ მხრივ ბათუმის სკოლა ვერ ასრულებს იმ მიზანს, რა მიზნითაც სკოლა იყო დაარსებული თავდაპირველად. ყველა ღონისძიება, რაც კი უზმარიათ აღვილობრივ სკოლის კომიტეტს და პედაგოგიურ საბჭოს სკოლაში მაჰმადიანთა რიცხვის გასაბევრებლად, უნიადავო გამოიმდგარა. ესლა ერთადერთი ღონისძიება დარჩენილათ — მოაწყონ ბათუმში საზოგადო თავშესაფარი მაჰმადიან ბავშვებისათვის, რომ გაუადვილონ მშობლებს შვილების ჩამოყვანა და ბათუმში დაბინავება. რა შედეგი მოჰყვება ამის, არავინ იცის, მაგრამ როგორც გადმოგვცემენ, განზრახვა აქვთ და ეს უკანასკნელი ზომაც სცადონ“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, 399, 1074, 1904 წ. ფ. 16). ლუარსაბ ბოცვაძე ამ წერილში არ ასახელებს მეშველ აბაშიძეს, არაფერს ამბობს მის საქველმოქმედო მოღვაწეობაზე, სამაგიეროდ, ისტორიის შემორჩა ერთი მოგონება ბათუმელი კულტურის მოღვაწის ალექსანდრე ქათამაძისა, რომელიც ნათელს ჰფენს მეშველ აბაშიძის მოღვაწეობას იმისათვის, რომ „მოეწყო ბათუმში საზოგადო თავშესაფარი მაჰმადიან ბავშვებისათვის, რომ გაუადვილონ სოფლებს შვილების ჩამოყვანა და ბათუმში დაბინავება“ (ლუარსაბ ბოცვაძე). როგორც ალექსანდრე ქათამაძე გადმოგვცემს, მეშველ აბაშიძეს ბათუმში, ახლანდელი ლუკა ასათიანის ქუჩის № 9 სახლში მოუწყვია საზოგადო თავშესაფარი და სკოლა, რომელშიც ცხოვრობდა და სწავლობდა თვით მოგონების ავტორი ალექსანდრე ქათამაძე.

კულტურის დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ქათამაძე გად-

მოგვცემს: „მემედ აბაშიძემ ქ. ბათუმში ქართველ მუსლიმანთათვის სწავლა-განათლების მისაღებად დააარსა პანსიონი, სადაც თავმოყრილი იყვნენ აჭარის ყველა რაიონის ახალგაზრდობა, განსჯივითა და წოდებისა... მე, სწორედ 1920 წლის სექტემბრიდან აქ ვცხოვრობდი. ჩვენ ყველანი უზრუნველყოფილი ვიყავით ბინით, ლოგინებითა და სურსათით. მიუხედავად მაშინდელი ცუდი და გაჭირვებული პირობებისა, ეს პანსიონი იყო პატრიოტული და კულტურული აღზრდის პირველი კერა აჭარაში, რომელიც სახელოვანი მაშეღიშვილის მემედ აბაშიძის უშუალო თაოსნობით იყო დაარსებული“.

როგორც თ. კომახიძე აღნიშნავს, პანსიონში მყოფი მოსწავლეებიდან, თითქმის ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო და აჭარას მოეწოდნენ, როგორც პირველი მერცხლები 1920-1930 წლებში. ასე, მაგალითად: მამია კომახიძე (ექიმი, აკადემიკოსი), მურად გუნთაიშვილი (ექიმი), ახმედ ნოლაიძე (ქიმიკოსი, პროფესორი), ჯემალ ნოლაიძე (ენათმეცნიერი, დოცენტი), შვეტეტ ლორთქიფანიძე (იურისტი), იუსუფ ცივაძე (იურისტი), ილიას მეგრელიძე და ილიას ქათამაძე (მიწათმოქმედებისა და განათლების მინისტრები), ზუსტინ შაქარიშვილი (ეკონომისტი) და სხვები.

„თუ არა მემედ აბაშიძე, მე უსწავლელი დავრჩებოდი“, — მიუთითებს იუსუფ ქათამაძე. მემედ აბაშიძემ საქველმოქმედო საზოგადოების ჩარჩებში თბილისში საფერშლო სკოლაში გააგზავნა იუსუფ ქათამაძე. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ სამუშაოზეც მემედ აბაშიძემ გააწესა (თ. კომახიძე, „მამულიშვილი“, გამომც. „აჭარა“, ბათ. 1994 წ. გვ. 12-13).

რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი მუამერ რეფიყის ძე ჯაფარიძე იგონებს: „30-იან წლებში ვსწავლობდი ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, მაშინ ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა დიდად დაფასებული პიროვნება — ვაზო დობორჯინიძე. ერთ დღეს მან გამოიძახა მამაჩემი და უთხრა: საქართველოს მინისტრთა საბჭოდან მოსულია განკარგულება, რათა მდიდრის შვილები ამოგრიცხოთ ტექნიკუმიდან. მამაჩემმა შველა მემედ აბაშიძეს სთხოვა. მემედმა ორი დღის განმავლობაში თბილისიდან ჩამოიტანა ნებართვა, რომლის საფუძველზეც დატოვებული ვიქნე ტექნიკუმში“ (იქვე, გვ. 13).

1923 წლიდან პანსიონმა შეწყვიტა არსებობა, რადგანაც აჭარის-ტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1923 წლის 27 ივნისის სხდომის (ოქმი № 54) გადაწყვეტილებით მემედ აბაშიძე მის მასთან ხასანთან და ბიძაშვილთან ზოი აბაშიძესთან ერთად დააპატიმრეს და გაასახლეს საქართველოს ფარგლებს გარეთ.



მემედ აბაშიძის საქველმოქმედო მოღვაწეობაზე საინტერესოა დასაშვანის სკოლაში მისი მოღვაწეობის შესახებ იმავე არქივში დაცული მისი ბათუმის სკოლაში მოღვაწეობის შესახებ. 1907 წლის 9 ოქტომბერს ავრჩევია ბათუმის ქართული სკოლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ გადამდგომი. საბჭოს წევრებს შორის ამ დოკუმენტს ხელს აწერს მემედ ბეგი (აბაშიძე).

მეორე და არსებითი ასპექტი მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობისა იყო მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების აღზრდა, მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მიღება და მოსახლეობაში ქართული ენაობის ბრძოლის სულისკვეთების გამოწვევა. მემედ აბაშიძის ამ მოღვაწეობას ჭეშმარიტად სახალხო მნიშვნელობა ჰქონდა და თვალსაჩინო შედეგებითაც დასტურდებოდა. მკვლევარი სერგო გერსამია წერს: „მაჰმადიანობა ზოგჯერ თვითონვე იკრიბებოდა და მოითხოვდა მთავრობის მიერ გახსნილ სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებას“. ამის დასადასტურებლად ხაზროშში დამოწმებულია ასეთი ფაქტი.

1915 წლის 12 მაისს ქობულეთში შეიკრიბნენ რა სოფლის წარმომადგენელი, შეკრების მიზანი იყო აჭარაში სწავლა-განათლების გავრცელების საკითხის განხილვა. გამოიტანეს ასეთი დადგენილება: „1915 წლის მაისის 12 დღეს, ჩვენ, ქობულეთის ოლქის, კინტრიშის მაზრის, ბათუმის ოლქის მცხოვრებთა რწმუნებულნი შევიკრიბეთ ქობულეთის სასოფლო საოლქო სასამართლოში და ქობულეთის მაჰმადიანობის თანდასწრებით ვიკონიეთ მსჯელობა შემდეგზე: დღიდან ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთებისა, სკოლის საქმე ჩვენში რიგიანად ვერ მიდიოდა. ამჟამად ხალხმა შეიგნო სკოლათა გახსნის საჭიროება და აუცილებლობა, თანაგრძნობით ეკიდება ამ საქმეს. ეს გარემოება ჩვენს თაობას საშუალებას მისცემს გაუთანასწოროდეს და გვერდში ამოუდგეს მცხოვრებთ, რომელთაც უკვე ჰქონიათ სკოლები. ჩვენ ქობულეთის მცხოვრებნი ქართველები ვართ, ხოლო მაჰმადიანური სარწმუნოებისანი. ჩვენი სამშობლო ენა, ოსმალეთის მფლობელობის დროსაც და დღესაც, ქართული ენა ყოფილა და არის, ჩვენ და ჩვენს ბავშვებს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა გვესმის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩვენს სკოლებში სწავლება იყოს ქართულ ენაზე. ეს საჭიროა და აუცილებელიც არა მარტო პედაგოგიკის მხრით, ბავშვებისათვის რუსული ენის შეთვისების გასაადვილებლად, არამედ, საჭიროა ბავშვების, მოსწავლეების სკოლაში მოსაზიდათაც. როდესაც ჩვენ, მშობლები, დავინახავთ, რომ სკოლებში ჩვენს მშობლიურ ქართულს ასწავლიან და მისი მეოხებით ბავშვები შეითვისებენ სახელმწიფო რუსულ ენას, სიამოვნებით მივაბარებთ შვილებს

სასწავლებელში და არსებული სკოლები დღევანდელით ცარიელი არ იქნება. ჩველა ამიტომ ერთხმად ვადგენთ: ახლავე ვიშუამდგომლოთ სათანადო სამოსწავლო მმართველობასთან, რომ ჩვენს ოლქში შემოღებულ იქნას ქართული ენის სწავლება. ამისათვის ჩვენს ლაღგენილებას გუგუზავნით მე-3 რაიონის იესუპეტროს (სახალხო სკოლების ინსპექტორს)“. ეს დოკუმენტი 1915 წელს გამოაქვეყნეს როგორც გაზეთ „სახალხო ფურცლის“ (№ 310), ისე „თეატრი და ცხოვრების“ (28 ივნისი) ფურცლებზე. სერგო გერსამია წერს: „წმინდა ეროვნული თვალსაზრისით, ასეთი ოფიციალური გამოსვლა მაპაიდიან ქართველთა ცხოვრებაში, უეჭველად, დიდი პროგრესული მოვლენა იყო. ცხადია, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ „მცირე ჯგუფს“, რომელსაც მემედ აბაშიძე ხელმძღვანელობდა“ (დასახ. წიგნი, გვ. 51), ჩვენი აზრით, თუ კი უფრო ღრმად ჩავუვლირდებით — ეს დოკუმენტიც მემედ აბაშიძის ხელით უნდა იყოს დაწერილი. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

1. ზაზგასმით მითითება ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის განსხვავებაზე როგორც ცნობილია, მემედ აბაშიძე თანმიმდევრულად და კატეგორიულად ყოველთვის მიუთითებდა იმაზე, რომ „ჩვენ სარწმუნოებით მაპაიდიანები ვართ, ეროვნებით ქართველები“, რომ „სარწმუნოებისა და ეროვნების ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება“. ეს იყო მემედ აბაშიძის პოლიტიკური და ეროვნული მოღვაწეობის კრედო. სწორედ ეს კრედოა გამოხატული ამ დოკუმენტის შინაარსშიც: „ჩვენ, ქობულეთის მცხოვრებნი ქართველები ვართ... ჩვენი სამშობლო ენა ოსმალეთის მფლობელობის დროსაც და დღესაც, ქართული ენა ყოფილა და არის“. ასე გაბედულად, ასე ცხადად და ასე თანმიმდევრულად ამ საკითხებზე ძირითადად მემედ აბაშიძე ამბავილებდა ყურადღებას თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში.

2. აღნიშნულ დოკუმენტში მეცნიერულ დონეზე არის გააზრებული დამოკიდებულება მშობლიური ენის ცოდნასა და მის საფუძველზე მეორე ენის შესწავლას შორის. ამ საკითხზე 1902 წელს სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა იაკობ გოგებაშვილმა „ბურჯი ეროვნებისა“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მშობლიურ ენაზე სწავლებას, როგორც საფუძველზე, რასაც შეიძლება მომავალში დაემყაროს სხვა ენების შესწავლა. ამ მეცნიერულ პედაგოგიკური თეორიის ასახვას გვოულობთ ჩვენ აღნიშნულ დოკუმენტში. როგორც ცნობილია, ბათუმელ მოღვაწეთა შორის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომებს არა თუ იცნობდა მემედ აბაშიძე, არამედ პირადად მეგობრობდა მათთან. იაკობ გოგებაშვილმა ჯერ კიდევ მოსწავლეობის

ხანაში შეამჩნია განსაკუთრებული ღირსებები ახალგაზრდა მემკვიდრე აბაშიძეს, რის გამოც მათ შორის ურთიერთობა მეგობრულად აღმოცენდა. ბუღებაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, მემედ აბაშიძე დიდხანს აფასებდა იაკობ გოგებაშვილის ნააზრევს და მას თავის მოღვაწეობაში სახელმძღვანელოდ მიიჩნევდა.

3. აღნიშნულ დოკუმენტში ლაპარაკია მოსწავლეებით ცარიელი სკოლების შევსების შესახებ: „არსებული სკოლები დღევანდელივით ცარიელი აღარ იქნება. ეს პრობლემა, როგორც დავინახეთ, მემედ აბაშიძის მოღვაწეობაში ყოველთვის წინა პლანზე იყო წამოწეული, რომლის გადასაწყვეტად მან საქველმოქმედო სკოლაც კი დააარსა ბათუმში (აღ. დავითაძის მოგონება).“

ამ საბი დეტალის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ 1915 წლის 12 მაისს ქობულეთში ჩატარებული რეა სოფლის წარმომადგენელთა კრების მიერ მიღებული მიმართვის ტექსტი დაწერილი უნდა იყოს მემედ აბაშიძის კალმით, ყოველ შემთხვევაში ტექსტის საბოლოო რედაქცია მემედ აბაშიძეს ეკუთვნის.

მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ცალკე ღვას საკითხი თურქეთის საზღვრებში დარჩენილი მაჰმადიანი ქართველებსათვის ეროვნული სკოლების გახსნისათვის ბრძოლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც კარგად არის ასახული მემედ აბაშიძის ზრუნვა თურქეთის საზღვრებში დარჩენილი ქართველი მაჰმადიანებისათვის ქართული სკოლის გახსნისათვის. ეს არის საიდუმლო პაქტი, რომელსაც ხელს აწერს „Секретный сотрудник „Паши“.

„В целях объединения грузин-православных с грузинами магометянами и распространения грузинской грамотности среди грузин, проживающих в турции, несколько дней тому назад один из сторонников федералиста Мемед бег Абашидзе из Кинтришского участка - Камил Ногандели в сопровождении нескольких мулл выехал в Тифлис к членам комитета распространения грамотности среди грузин с просьбой возбудить ходатайство перед Турецким Правительством о разрешении открыть в Константинополе школы на грузинском языке, где бы могли местные грузины-магометяне изучить родной язык“.

ამ დოკუმენტშიც ხაზგასმულად არის მითითებული მემედ აბაშიძის, როგორც განმანათლებლის მოღვაწეობაზე. ოზრანკის საიდუმლო თანამშრომელი ფსევდონიმით „ფაშა“ წერს: ქრისტიანი ქართველებისა და მაჰმადიანი ქართველების შეერთების მიზნით მემედ აბაშიძე ცდილობს ქართული სკოლის დაარსებას კონსტანტინეპოლში, რომ იქაურმა

ქართველებმა შესძლონ შესწავლა მშობლიური ქართული ენისა. ე. ი. მემედ აბაშიძე იღვწის არა მხოლოდ წერაკითხვის ცოდნით თანამემამულეთა შეიარაღებისათვის, არამედ ცოდნის წყალობითა და ხელშეწყობით ეროვნული თვითშეგნების აღზრდისა და სარწმუნოებრივი განსხვავებულობის მიუხედავად ქართველებს შორის ეროვნული ერთიანობისა და კონსოლიდაციის მიღწევისათვის, რასაც უნდა ვიფარაუდოთ, რომ მომავალში შორს გამიზნული პროგრამა ედო საფუძვლად. ეს პროგრამა დღესაც აქტუალურად გვესახება და მისი განხორციელებისათვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული თურქეთისა და საქართველოს შორის ამჟამად დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობები.

მესამე მიმართულება მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობისა უკავშირდება მის ჟურნალისტურ-საირედაქტორო საქმიანობას. როგორც ცნობილია, მემედ აბაშიძის ინიციატივით და მისი რედაქტორობით დაარსდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. სახელწოდებიდან ჩანს, რომ გაზეთი მიზნად ისახავდა დედა საქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში განათლების სისტემის გაუმჯობესების საქმეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი მემედ აბაშიძის რედაქციით ხშირად ბეჭდავდა მასალებს სახალხო განათლებისა და მასობრივი პროფესიების სპეციალისტთა მომზადების საკითხებზე. ამ თვალსაზრისით ფართო აღვიღოს თავისი გაზეთის 1920 წლის 15 აგვისტოს ნომრის ფურცლებზე უთმობს პ. ბოჭორიშვილს, რომელიც მსჯელობს „ბათუმის ტექნიკური სასწავლებლის“ შესახებ. ავტორი ვრცლად მსჯელობს ტექნიკური განათლების თაობაზე და აყენებს საკითხს ამ ტიპის სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. წერილში აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკური სასწავლებლის მთავარი გამგის ბ. თაქთაქიშვილისაგან მოვიდა ცნობა, რომ განათლების სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის საშუალო ტიპის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთება. მე მინდა ამ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს ორიოდ სიტყვით მივაქციო ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

...თქვენ მოგესხენბათ, რომ სპეციალური სასწავლებლის დაარსება და მისი მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება, განსაკუთრებით ჩვენს ჯოჯოხეთური სიძვირის ხანაში, ითხოვს ძლიერ დიდ ხარჯებს. საჭიროა სახელოსნოები, ლაბორატორიები და მანქანები, საჭიროა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები და მათი მატერიალური უზრუნველყოფა, საჭიროა მოსწავლეთა საგარჯიშოდ მთელი წლის განმავლობაში მანქანების განუწყვეტელი მუშაობა და ასეთივე განუწყვეტელი მასალის ხარჯვა და სხვა. ყველა ეს არამც თუ

ჩვენს არეულ დროში, მშვიდობიან დროშიც დიდ თანხას ითხოვს. ამ მხრივ საზღვარგარეთ ცოტა სტანდარტულ არის დაყენებული საქმიანობა სპეციალურ სასწავლებლებს, გარდა ზაზინისა, სამრეწველო დაწესებულებები და ქაღალეები ინახავენ და ადვილად გასაგები მოტივით — ავტორია აზრით და, რაც მთავარია, გაზეთის რედაქტორის მემედ აბაშიძის მხარდაჭერით, მკითხველების ყურადღება ექცევა იმას, რომ — ასეთივე ტრადიციები უნდა შეიქმნას ჩვენშიც და რამდენად ლუწო ფართო დემოკრატიული მასსა ჩაებმის ამ საქმეში, იმდენად სასწავლებლის მომავალი უზრუნველყოფილი იქნება და სასწავლებელიც თავის მიზნებსა და დანიშნულებას სავსებით გაამართლებს“ („სამუსლიმანო საქართველო“, 15 აგვისტო, 1920 წ. № 433).

ამ საგაზეთო მასალის შინაარსიდან განმინათლებლურ იდეას წარმოადგენს ტექნიკური სასწავლებლის მოვლისათვის ქაღალქის წარმოება-დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოების დარაზმვა, მოსახლეობაში ისეთი საზოგადოებრივი აზრის განმტკიცება, რომ სპეციალური სასწავლებლების დაარსება აუცილებელია და ამასთან, აუცილებელია მათი დაკომპლექტება არა შემთხვევითი ხასიათის მასწავლებლებით, არამედ „სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლებით“. წერილში გახსნილი არ არის ამ დებულების შინაარსი, მაგრამ იგულისხმება, რომ აღზრდა და პროფესიული მომზადება ნოზარდისა რთული პროცესია, რომელსაც მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი უნდა ხელმძღვანელობდეს. სხვათაშორის, კოფილ საბჭოთა კავშირში 1958 წელს წამოყენებული სასკოლო რეფორმის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ სკოლებში საწარმოო სწავლებას ხელმძღვანელობდნენ სპეციალობით ინჟინრები, აგრონომები, სხვა ტექნიკური პერსონალი, რომლებსაც არ ჰქონდათ პედაგოგიური გახათლება. პედაგოგიური განათლების გარეშე ინჟინრებმა და აგრონომებმა ვერ შესძლეს პედაგოგიური პროცესის მართვა და სასკოლო რეფორმა ჩაიშალა. ამ თვალსაზრისით გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ პუბლიკაციები, რომელიც მემედ აბაშიძის რედაქციით ქვეყნდებოდა, დღევანდელი ეროვნული სკოლის მშენებლობის საქმეში დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა.

მეცნიერება უმთავრესი

მეცნიერების შესახებ

ჩვენდა საბუნდოვროდ, „ქართულ ერში ყოველი მეორე პოეტია“. ამიტომაც შემოქმედს მართლაც რაღაც იშვიათი ნიჭი უნდა ჰქონდეს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების სახელი დაიმკვიდროს. უნებურად იბადება კითხვა: რით იყო გამორჩეული რევაზ ინანიშვილის შემოქმედება? პასუხის ვასაცემად ვახტანგ კოტეტიშვილის აზრს მოვიშველიებთ, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ხსნის მწერლის შემოქმედების საიდუმლოს. „მაგრამ ხელოვნება ხომ მხოლოდ „სათქმელი“ არ არის, არამედ „თქმაც“. სწორედ ამ „თქმის“ დიდოსტატია რევაზ ინანიშვილი. მას აქვს უტყდომელი მხატვრული აზრობა, ყოვლისმხედველი თვალი და უმდიდრესი საღარო მშობლიური ენისა—დაუშრეტელი და ამოუწურავი. სიტყვას ვერ შეცვლით, ვერ გადაადგილებთ, ვინაიდან ყველაფერი იქ არის, სადაც უნდა იყოს. ამ დანებწილ ოსტატობასთან ერთად მის მოთხოვნებში ვლინდება ის სული და უშუალობა, რომელიც ჩვენს ხალხურ შემოქმედებას მოსდგამს, სადაც გემოვნება ხასწავლი კი არ არის, არამედ თანდაყოლილი, ოდითგანვე მომდინარე. ასეთებია ხეცურული წინდა თუ თუშური ჩიტები, ქიზიყური დარდავი თუ კილოზნის ჩუქურთმა, ფეხი საფლავის ქვა, თუ ფიროსმანის ნახატი, ქართული ხალხური ლექსი თუ სიმღერა აი, ამათი მადლი მოსდგამს რევაზ ინანიშვილს და ამიტომაც არის მისი სიტყვა ასეთი ცოცხალი და ძარღვიანი“. /გ. კოტეტიშვილი გ., ხურჯინის ორი თვალი, ყურნალი „ცისკარი“. 1997 წ. № 4, გვ. 102/.

რევაზ ინანიშვილი უპირველეს ყოვლისა მხატვარია, მასთან მხედველობითი აღთქმა ჭარბობს.

აღბათ, ამიტომ რევაზ ინანიშვილის პროზაში ამბავი დაკუმშულია, მინიმუმამდე დაყვანილი; ჭარბობს მეტაფორა, შედარება, ფერწერა, სურათი. მას ურჩევნია დიალოგის ფრაზის, შეატის ან ეპითეტის საშუალებით დაახასიათოს მოვლენა, პერსონაჟი.

აქ წინა პლანზეა სიტყვა, როგორც მხატვრული ფენომენი. სიტყვა მის პროზაში ფერია და არა საღებავი და არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალება.

რევაზ ინანიშვილის სიტყვა ვაცილებით უფრო ნეტ ინფორმაციას შეიცავს, წმინდა მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით, ვიდრე მას

ეგალება, როგორც სამეტყველო ერთეულს.

იგი რაზედაც არ უნდა წერდეს, ყველგან სიტყვის ოსტატური
როგორც სიტყვის ოსტატი, რევაზ ინანიშვილი ქართული კლასი-
კური პროზის საუკეთესო მონაბოვრების დონეზე დგას.

მშობლიური ქვეყნის, განსაკუთრებით, აღმოსავლეთი მაღალმთიანი
ბუნების, ყოფისა და ადამიანების ღრმა ცოდნა ინანიშვილის შემოქ-
მელებით ფანტაზიას მაღლიან მასალას აძლევს.

ამ მასალას მწერალი მთელი შესაძლებლობებით იყენებს, აქცევს ისეთ
მხატვრულ ენაში, რომელიც აღბეჭდილია გარეგნული სისადა-ვით,
მაგრამ ღრმა შინაარსით და ყველაფერი ეს რევაზ ინანიშვილს ძალუძს
ნახევარგვერდიან მოთხრობებში, ან სულ რაღაც ერთ აბზაცში მოაქციოს.
/ ბარდაველიძე ბ., ლიტერატურული ნარკვევები, „ფიქრები რევაზ
ინანიშვილის პროზაზე“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1977 წ./

რევაზ ინანიშვილი მცირე ფორმის მოთხრობების ოსტატად გვე-
ლინება. ამგვარ თხრობას სჭირდება დიდი ეკონომია, დიდი სიზუსტე
ენობრივი მასალის გამოყენებისას. აქედან წარმოსდგება ერთგვარი
სიმკაცრე როგორც ლექსიკაში, ისე კომპოზიციაში. მცირე ფორმის
მოთხრობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების პირველ
სტრიქონებს, ინტონაციას, რომლითაც პროზაიკოსი თხრობას იწყებს.
ამ მხრივ ინანიშვილის მოთხრობებში ბევრი რამ არის მოსაწონი და
საინტერესო. მაგალითად: „მითხრეს ლამაზი სტუმარი ჩამოვიდაო, ოცი
წლის ვიყავი, სიყვარული მწყუროდა და, რა თქმა უნდა, ამ ამბავმა
დამაინტერესა. ავდექი და მაშინვე წყალზე გავიქეცი“. „გადასასვ-
ლელზე“/. ამ პირველსავე ფრაზებიდან უკვე აღძრულია ინტერესი.
მკითხველი უკვე დაინტერესებულია, ვინ არის ეს სტუმარი, როგორ
შეხვდება მას ახალგაზრდა და რითი მთავრდება ეს ამბავი.

პორტრეტი და პეიზაჟი სიტყვის ხელოვნებას მხატვრობასთან
ახლოებს. იმისაც კი ამტკიცებენ, რომ ეს საშუალებანი მწერლობაში
სახეითი ხელოვნებიდან შემოვიდა.

ამ თვალსაზრისით რევაზ ინანიშვილის პალიტრა ძალზე მდიდარია,
პორტრეტი და პეიზაჟი მისი მხატვრული ოსტატობის უმნიშვნე-
ლოვანესი მხარეა.

ყველა მისი მოთხრობა უსათუოდ შეიცავს პერსონაჟის გარეგნულ
დახასიათებას და პეიზაჟს, ბუნების სურათს.

რ. ინანიშვილის ოსტატობა დეტალების შერჩევისას, პორტრეტისა
და პეიზაჟის მაგალითზე კიდევ უფრო მკაფიოდ მუდავნდება.

ყესტი, მიმიკა, ლაპარაკის მანერა, ჩაცმულობა, გამომეტყველება და
ა.შ. დანახულია უაღრესად ზუსტად და ქმნის ნამდვილობის სრულ
ილუზიას.

გორტრეტული დეტალი თუ პეიზაჟი რ. ინანიშვილის პროზაში მხოლოდ მხატვრულ სახეთა მთლიანობას ემსახურება. და ერთხელ კიდევ ამქვეყნებს ამ მწერლის დახვეწილ ოსტატობას, მის მაღალ ხელოვნებას.

არ შეიძლება დაგვაფიქვდეს ინანიშვილის „გაპრეზიონაჟნაგებიანი, ზეაწეულწამწანებიანი, კნაჭელა გოგონები“, რომლებიც ფართოდ გახეილი ცისფერი თუ შავი თვალებით შეპყურებენ ქვეყანას... მისი დიდთავალი, თავგადასხორტილი პატარა ბიჭები, რომლებიც ხან თავიანთი ბავშვური თამაშით არიან გართულნი, ხან მამაკაცურად საქმიანი, უფრო ხშირად კი გამოუსწორებელი მეოცნებენი არიან.

მწერალი არ ერიდება ერთხელ მიგნებული დეტალის განმეორებას, მაგრამ ყოველთვის ეს დეტალი ახლებურად აღიქმება, რადგან იცის, რომ იგი მისი, რევაზ ინანიშვილის მოხაზოვარია, და რაკი იმეორებს, მამასადაძე, რადაცას მისთვის ჩვეული გემოვნებით აზუსტებს, აღრმავებს. ბენაშვილი გ., წყურვილი წვდომისა, „ლირიკული ინტუიციით აღმოჩენილი სამყარო, „მერანი“, თბილისი, 1986 წელი.

მეტაფორა — რ. ინანიშვილის მოთხრობებში მრავლად გვხვდება მეტაფორა. ამათში ზოგი ტრადიციულია, ზოგი ავტორისეული, ორიგინალური, ზოგიც კიდევ ხალხური წარმოშობისა.

ტრადიციულ მეტაფორებს შორის თემის მიხედვით შეიძლება გამოიჩინო: ა) მეტაფორები, რომელთა თემა ფსიქოლოგიური დეტალია.

„სათის ისრებზე გამობმული მისი წერვები დაიჭიმება დაწყდომამდე“, „დაგებურება ყუჩი ტკივილით? გული“, „არი ჩამდღორებული და ჩანაცრებული ის დედამკვდარი“.

ბ/ ადამიანთა ურთიერთობის ფსიქოლოგიური ვითარების გამო-მხატვრული მეტაფორები: „ერთს გაილინებს საცოდავად და მორჩა, ჩაიტეტყება და ჩაღამდება ისევ“, „გიგლიამ ხე და ქვა ჩამოფხოვნა ფრჩხილებით“.

გ/ მეტაფორის თემა პეიზაჟის დეტალი: „დიდხანს შევცქეროდი ქვებულის შედედებულ შავშეთს“, „მთელი ხეობა წესტისფრად ჩაბუნტებულიყო“, „ალაგ-ალაგ ღრუბლებმა შავი ჰუბები ჩამოუშვეს“.

დ/ ტრადიციულ მეტაფორებში გვხვდება ხალხური ე. წ. „გაცვეთილი მეტაფორები: „ეგ თხა, ეგ მუცელმოქორებულთა, ყვა...“ „ახლა უკვე გაბურებული არყის ზღაა“, „გვალვისაგან დაბეჩაებულ ხეებზე ფოთოლი არ იძვროდა“, „გოგონას გული ეწურებოდა, ვაითუ ცეცხლი ვერ მოუციდონო“.

ე/ გვხვდება ლიტერატურული წარმოშობის მეტაფორებიც: „თბილი, ჯანსაღი წიავი ქროდა“, „ობლობაში იყო გაზრდილი, მაგრამ ჩაცმადახურვის პეწს, გლეხკაცის კვალობაზე“, „გამოძვრა ვილაც გამეღილი ბიჭი. ავიდა მსხალზე და დიდი ხმელი ტოტი მოხერხა“.

ტრადიციული მეტაფორების გვერდით საკმაოდ მრავლად გვხვდება ავტორისეული მეტაფორებიც, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ მისთვის სტილის მომხიბლველობაში უდიდეს როლს თამაშობენ მეტაფორებს ავტორი ძალიან ხშირად პეიზაჟის ხატვისას ხმარობს. მაგალითად, „ღამე თითქოს სიბნელეს ბარდნიდა, მძიმდებოდა და მძიმდებოდა“. ან კიდევ, „ამ გვება გარინდების ბორბალზე ეს ხმაც ნართივით ეხვევა და ყურადღებას არავინ აქცევს“, „გარეთ იდუმალი შრილით ბრუნავდა ვარსკვლავიანი ცა“.

რევაზ ინანიშვილის მეტაფორები გამსჭვალულია ხალხური ხატოვანი აზროვნების ელფერით. მართალია, ეს მეტაფორები ავტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია, მაგრამ „ხალხურის“ იმ აზრით, რომ მწერალი აქ მთლიანად თავსდება ხალხში გაერცვლებული ბუნებრივი ასოციაციების სამყაროში. ამითაა განპირობებული ამ მეტაფორების ხალხური იერი.

მაგალითად, მაინც გემრიელად მივლევავთ ამ წუთისოფლის უგემურ ლუკმას“, „მაშ რა არი, რა შავმა ფიქრმა გაგიტენა სხეული“, „მითხარი რა ღარდის ღრუბელი დადის ქვეყანაზე“, „შავუცაცუნე საეშმაკოდ თვალი“, „ამაზე კიდევ უფრო ხალვათად გაიღიმა“, „იმ ღიმილს მარჯვენა მხართან ჩამალავს და ნელ-ნელა გასწევს გარმონს“, „ის იჭდა, ის ჩემი ქალბატონი რძალი და თვალებს აბიბინებდა“, „ნისლი ხეხილის ტოტებზე იძენება“.

ხშირად რევაზ ინანიშვილი მეტაფორებს გპირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოსაცემდაც ხმარობს: „საზეიმო ადგილი მიუჩინა თავის ისედაც თვალსაჩინო ქალურ ნაკეთებს“, „ღაღიან და დააქვთ ორღესული ღიმილი და ამოუცნობი მუქარა საცოდავ მეზღაპრებს“. „ღადიოდა და დაქონდა სახის გამოწაფუქში ღრუბლად ჩარეული სევდა“.

ხშირია მეტაფორების გამოყენება პერსონაჟთა ბუნების, ხასიათის, პორტრეტის ხატვისას: „ცისფერ თვალებში მოუსვენრობის კრახანები უსხედან“, „გატყობ, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ბუმბულივით აღარ მელამუნება სულზე ნიაფი“.

შედარება — ამ ტროპს არსებითად იგივე ფუნქციები და ორიგინალობის იგივე ხარისხი აქვს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში, რაც მეტაფორას. აქ გამოყენებული ენობრივი საშუალებები მეტაფორაში გამოყენებულ ენობრივ მასალებთან შედარებით მარტივი და სადაა.

გამორჩეულად ორიგინალურ შედარებათა ერთი ნაწილი აერთიანებს საგნის პლასტიკურად დახატვის ფუნქციას და თვალსაჩინო სურათში ნაგულისხმევი აზრის, განწყობილების, შეფასების გამოხატვის ფუნქციას. მაგალითად: „თვალის უბეებში თითქოს ისევ შავი პეპლები

ესხდნენ“, „ჯიბებში ხელებჩაწყობილი, თავშეკავებული მთვრალივით მიდიხარ ორღობებში“, „სახლების უკან ღამურის ფრთასავით მსუბუქად ამოჰკრა პირველმა თეთრმა კვამლმა“, „ბორბლებზე ეს ხმაც ნართივით ესვრვა და ყურადღებას არავინ აქცევს“.

საინტერესოა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი ტროპებიც: „სანთლის ალივით უმწეოდ მოლიცლიცე ბარბაღეს დიდი შავი თვალები უფრო დასდიდებოდა“, „ფიქრიანად, — როგორც პიანისტი კლავიატურას, — ხელს გაუტარებ საწინესლის ბაქანზე დასვენებულ ღვინის კასრებს“.

შედარებათა ერთი ნაწილი თვალში საცემად ხალხურია, არამატრო შინაარსის მიხედვით, არამედ ენობრივი ფორმითაც. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ხალხურ მეტყველებაში მოსმენილი ტროპებია, რომლებიც მწერალმა მოხერხებულად და დროულად გამოიყენა, ლამის ე. წ. „ფრთიანი ფრაზებია“. „მერე ვარსკვლავებით გამოივსება გუმბათივით აღუნული შავი ცა“, „გახედა კუბრსავით მდუღარე, შექმარეულ ზღვას“, „ბავშვები გახარებული ძაღლებივით ჩაგორდნენ თოვლში“, „ღმერთო, როგორ მძივით აასხამდა ზოლმე წყევლას ძალუაჩემი“, „მიწა თავისკენ ეწეოდა, უმწეო ყმაწვილივით ეწეოდა“.

შედარებათა ერთი ნაწილი კი, რომელიც ისეთ ორიგინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მანამდე არავის არსად არ უხმარია, მაგრამ თავისი სტილით, თავისი ასოციაციებით ხასიათით ახლოს დგას ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებულ შედარებათა სახეებთან, თუმცა ენა უფრო წიგნიერია.

მაგალითად: „ბუდეში მოფუტფუტე ბარტყივით უთრთოდა კუნთები“, „ნისლი აბლაბუდებივით არის გაბმული ხის ტოტებში“, „ქისასავით ჰკიდია მოლალურის ბუდე“, „შიგ დედა მოლალური ზის, ისიც მზისფერი, ისიც აქანავებული“, „ნაკაფ ბორჯღლებზე თოვლი ბოხოხებივით დასდებოდათ და მართლაც ჯუჯებს გვანდნენ“.

ემოციური ლექსიკის საფუძველზე გვხვდება აგრეთვე ემოციური ტონალობით გამორჩეული და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი შედარება: „აქ არის, სულ ახლოსაა მისი ცის გახსნასავით კეთილი თვალები“, „გოგო მაცდური ნატივითა იღვა“, „ლამაზი, ლამაზი, მყუდროში დანთებული სანთელივით... „ანგელოზივით დაფარფატებს ლამაზი სიტყვა“, „სახლები გაქვავებული დარაჯებივით დგანან“.

ეპითეტი — რევას ინანიშვილის მოთხრობებში ეპითეტი ბევრია როგორც ხალხური და ხალხურისებრი, ისე სპეციფიკური ლიტერატურული იერის მქონე, როგორც ობიექტის პლასტიკური წარმოდგენის მიმცემი, ისეა მისადმი ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი.

ლიტერატურული ელფერის მქონე ეპითეტებით შეზავებული



გვხვდება წიგნიერი ლექსიკა, მაგალითად: „ძალდაუტანებლად წყვეტა ჩვენი რაღაც მჭრქალი ნაღველივით აკეთებდა ყველაფერს“, „ღრმად ჩაიხრახოდა ცაზე ჯაფარა ამოფრინდა“, „სევდიანი ხისლი იდგა ცოტა შემაღლებულზე“, „სამივე ჩქროლი ღიმილით მისწვდა ხელს“.

ხალხური ეპითეტები ხატავენ არა მხოლოდ საგნის თვისებას, არამედ მის განსაკუთრებულობას უსვამენ ხაზს. მაგალითად, „თახთანა მზის სვეტს ავხედავდი“. „კუნაპეტ ღამეებში კაცლის ქვეშ თავს იყრიდნენ ჭინკები და მაჯალაყნები“, „ჯანსაღი, ღუღლუდა კუფხლები და კუნწულები“.

გასულიერება — ინანიშვილის ნაწარმოებებში პეიზაჟის ხატვისას ჩნდება გასულიერების, გაბიროვნების მქონე ლექსიკის ფართო სინშირის მაგალითები: „მიღამო მოიცვა სინათლესთან გაყრის ილუქალმა სევდამ“, „იქ ხომ ღრუბლები სხდებიან ხოლმე თავიანთ სადრუბლო საქმეებზე საბჭობლად“, „იქ ხომ მეხი ცეკვავს დელგამში“, „როცა ვათუნდა, ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაეღო სადაც შორს“. ზოგჯერ გასულიერება ბუნების მოვლენების ფარგლებს გარეთაც გადის: „ჩემსკენ ზურგმოქცეული ორი მაღალი სახლი ცივად იდგა ერთმანეთის გვერდით“.

იდიომები — რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში უხვადია იდიომური გამოთქმები: „დაიხსომეთო, ყურებში გაიყარეთო“, „რა იქნება თავწყალი ვერ გაგვიდევნებია, ბავშვების პატრონები ვართ“.

ფრთიანი ფრაზები — რ. ინანიშვილის შემოქმედებაში უხვადია მიმოფანტული ე.წ. ფრთიანი ფრაზები — გავრცელებული და თავისთავად გასაგები ხატოვანი გამოთქმები: „ერთი რომ გაღსვას ეშვი, გაარღვევს ცალპირი ნაკერივით“, „დალიე, დაიღალა ღვინო ყანყალითა“.

ენა — რევაზ ინანიშვილის ენობრივი გამორჩეულობის შესახებ ბევრი საყურადღებო მოსაზრება არის გამოთქმული. მწერლის ენა „განსაცვიფრებლად სადა და პირველქმნილი უბიწოებით გამორჩეული და, ამავე დროს, კლასიკურ სიმაღლეებს არის მიღწეული“. ჩვენაშვილი გ. ცხოვრება დუდილით სავსე, „კრიტიკა“, №2, 1977 წ. გვ. 76/

„ბუნებრიობა რევაზ ინანიშვილის მთავარი მწერლური თვისებაა. მისი ენა ბუნებრივი ენაა, ხალხის ენაა — ქართული ხალხური ზღაპრებიდან, კლასიკური მწერლობიდან ამოზრდილი...“ *ალხაზიშვილი გ., „შემოქმედის ბედი“, „ცისკარი“, №6, 1984 წ./*

„მისი მოთხრობები ადამიანს სულს უფაქიზებს, ენას ასწავლის, მშობლიურ ენას, ისეთ კაცს ასწავლის ადრე რომ ეგონა, ქართული ისედაც ვიცი, რა სწავლა უნდაო, იმასაც კარგად ვიციო, რომ ჰგონია. მისი ფრაზა ხატოვანია, ზუსტი, მკვეთრი რიტმით ნაშენები“. *ჩხ. იქვე/*

რ. ინანიშვილის ენა ხალხის ენაა. იგი შეიძლება ჩამოეყალიბებინა

მხოლოდ ქართველი კაცის განუყოფლობას გარე სამყაროსთან, მის თანაზიარობას ბუნებასთან, ხალხურ სიბრძნესთან, სიტყვიერებასთან. იგი ხალხის წილიდან გამოსული მწერალია და არა ხალხის ცხოვრების გარეშედან დაკვირვებული ობერატორი. სწორედ ეს მიწიერო გავშირი ხალხთან, მის ყოფასთან განსაზღვრავს მწერლის ენის სიმდიდრეს, ბუნებრიობას, განუყოფლობას.

რ. ინანიშვილის ენა მდიდარია, მრავალფეროვანია მისი ლექსიკაც. მაგალითად „რუში მომწვანო წყალი მორაკრაცებს, შიგ ცხვირისატეხელები და მათიტელები ღვას“, „ბეშვივით ამოიღო ერთმანეთში არეული ზღმარტლი, კვრინჩი, თამელი და ასკილი“...

რ. ინანიშვილის ნაწერებში ღრმა ცოდნა გამოსჭვივის საქართველოს მთა-ბარისათვის დამახასიათებელი ფაუნისა, ცხოველთა სამყაროს ჩვევებისა, მათი ქცევებისა, მცენარეული სამყაროსი და მასთან დაკავშირებული მდიდარი ლექსიკისა.

მწერალი რამდენიმე დეტალის მოშველიებით ახერხებს ცხოველთა თუ ფრინველთა ზუსტი სურათის წარმოდგენას. მისი აღწერა ბუნწია, მაგრამ ზუსტი და ხატოვანი.

მაგალითად: „მოფრინდა იასამანზე ჭრელი, ბუნებულაბუნებული სკვინჩა და იჭდა უძრავად, დაფიქრებული“, „ჩიტებიც იფრინდნენ, ჯერ წიმოფეფ: მერე ბელურები“, „მაჩვენა მგლის ტოტყია ნადებურები“.

ინანიშვილის პროზაში გვხვდება სიტყვები სამეურნეო და ყოფითი ლექსიკა, იჭნება ეს მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და სხვა. მაგალითად, „ჭიჭამ ღერეფნის კუთხეში მიწყობილი კეხი, ცალული და მოსართავები დაიიღლიაგა“, „საკიდრიდან მომინანქრებული ჭვამი ჩამოიღო, რძე იმ ქვამში ჩაასხა და ასადულებლად დადგა“.

ამ რიგის ლექსიკა იმით არის საყურადღებო. რომ მის დიდ ნაწილში ჩანს ხალხური სიტყვაშემოქმედებითი შესაძლებლობები, დამოკიდებულება სამყაროსადმი.

დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტებიდან რ. ინანიშვილის შემოქმედებაში გვხვდება ორი სახის დიალექტიზმები, კერძოდ: დიალექტური წარმოების ფორმები და დიალექტური სიტყვაფორმები.

დიალექტური ფორმებია: „დედუნამ მოუფერა — არა უშავს, ძმისავარა უშავსო“, „იმ ზევში ვეფხი და მე შევეყარენით და შავიბენითო“. „ამან, თახჩის ძირში, ხუთსაბაღნიანი ქვევრია დიდი ხნის აუხდელო, თუ კარგი ფეხები გაქვს, მემრის ეგ უნდა გავავსოთ“.

დიალექტური სიტყვაფორმები: „ტურები... დაყუნტდებოდნენ ტყისპირა სახლის შორიხლოს. წიხლით თავები მიწაზე გავლევინეთ კაცებს“.



ცალკე უნდა გამოიყოს ცოცხალი მეტყველებიდან შემოკლებული სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული სიტყვაფორმები, რომლებსაც პროზაიკოსი მოხდენილად იყენებს: „ისეთი ყროლები მომრავლდნენ, თათარი მოგენატრება“, „დილით ისე იყო გადაკირჩხლული გომურის ბანი, გეგონებოდათ, ხშირი მარილი დაუბნევიათ“.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მწერლის ენაში დადასტურებული დიალექტური ერთეული ფორმით განსხვავებულია სალიტერატურო ენაში არსებულისაგან და ზოგჯერ სემანტიკურ გადახრასაც გვიჩვენებს: „ისეთი დოჩხარი დიიგზნო, ქალ-ბაღლნიც კი გარეთ გამოიკრინენ“. დოჩხარი-გურული დოჩხური, მეგრული-დოჩხირი/.

რეგაზ ინანიშვილის ენაში გვხვდება უცხო წარმოშობის სიტყვები, რომლებიც ენას გაუთავისებია და თავისი საკუთარი სიტყვაწარმოებითი წესებისათვის დაუქვემდებარებია: „დავსახლდით აქა, დილიჯნების/დილიჟანსების/ძველ სადგურში“, „წისქვილში კი მთელი ენგიდუნია დაგვგდა“. „მე ეგეთ ბეზარზე ვარ, ცოტაცდა გავუშვებ ჩემს ღორს“. ბეზარი-სპარს-აბეზარი/.

მწერლის სიტყვაშემოქმედებითი უნარი განსაკუთრებით გამოვლინდება თხზულ სახელებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ორდა მეტყვნებიანი კომპოზიტები. მაგალითად, „გადავდით... ლოდი-ლოდ, ერთმანეთის ქეზებით, სიცილით, გაგყევით დიდი ხნის ფეხუზგედრეღ ბილიკს“, „და წავიდა დედამკვიდრიანთ დიდი ბებერი სინანულის თავის ქნევით“, „მაგრამ ისევ ღონიერია და კარგი ტუჩ-კბილ გაწყობილი“.

მწერლის ენაში საგულისხმო სურათს ქმნის ზმნური ლექსიკა. მაგალითად, „მაგდა ისევ შორიასლოს ტრიალებდა და თავისთვის ტუტუნებდა“, „მოვარდა ერგი ცოფიანი ქარიც, იჭექა, ირუხრუხა“, „შემოილახუნდა და შემოანათა ის კბილები“.

რ. ინანიშვილი კარგად გრძნობს ქართული ზმნის სიმდიდრეს, მის სიუხვეს. ჩვეულებრივ აზრს, რომ გოგონები საქმეს დაამთავრებენ, კაზას და ფეხსაცმელებს ჩაიცვამდნენ, თმას დაივარცხნიდნენ და გზაზე წავიდოდნენ-მწერალი ნიუანსებით გამოხატავს, სადაც ზმნების სინატიფეს ენიჭება პრიორიტეტი და მკითხველის შეუშინევლად იქმნება კოლორიტიც: „ქალიშვილებმა შინაურ საქმეებზე გული აიცრეს, თუ კი რამეს აკეთებდნენ, მაშინაც თვალი გზისკენ გაურბოდათ, აბა, ვინ აივლის და ვინ ჩამოივლისო. მოაფაცფაცებდნენ გასაკეთებელს, გადაიცვამდნენ საგარეო კაზას, წაყოფდნენ შიშველ ფეხებს მაღალქუსლიან ტუფლებში, სწრაფად ჩამოივარცხნიდნენ თმას, პომადასაც წაიცხებდნენ — მქრალად, გაუბედავად და გაკივივდებოდნენ დიდ გზაზე“. დააკვირდით მწერლის მიერ ნახმარ ზმნებს, ყველგან რაღაც განსაკუთრებული ნიუანსია მოძებნილი, რისი მეოხებითაც ჩვენთვის

საბიერად დასამახსოვრებელია. ეს არის ოსტატობა, თორემ ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრი ყველა მოკვდავის უკვდავება შეიძლება ყოფილიყო.

რ. ინანიშვილის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს სინტაქსის ზოგიერთი თავისებურებაც. გვხვდება მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები. უფრო ხშირია რთული თანწყობილი წინადადების ხმარება, ხოლო ქვეწყობილი უფრო ნაკლებად დამახასიათებელია შერლია ენისათვის. „ამოვა ცისკარი და ამოჰყვებიან თეთრი ნისლები მიწიდან, გააესებენ, გაათიმთიმებენ ხეობებს, გადავადმოვლენ კიდეებზე, საიქცევიათ ერთმანეთში და აიბოლქვებიან ცისკენ“.

გვხვდება შემახმენლების მიხედვით შერწყმული წინადადებებიც: „იღვა ხოლმე და შეჰყურებდა, შესციცინებდა, სწმენდდა, უურვებდა, ქალერსებოდა არაბას“ „წავიდნენ ხევსურები, მთა-ბარი შეჰჰერეს, იპოვეს არაბა და მოჰკარეს“....

იშვიათია, მაგრამ მაინც იხმარება ქვეწყობილი წინადადება: „ის ტყე რომ გათავდებდა, ალბური მღელღოებით შემოსილი მწვერვალები იწყება“.

ამრიგად, რეკავ ინანიშვილი ეკუთვნის ჭეშმარიტ მწერალთა რიცხვს, ვინც ურიც სიტყვათა საღაროდან ყველაზე ზუსტს შეარჩევს, ვინც ისეთ ფრაზებს მოძებნის, რომელიც ყველაზე შთაბეჭდავად გადმოსცემს აზრს, ამ გულმოდგინე და დაუცხრომელი მუშაობის შედეგად იბადებიან ყველაზე საუკეთესო შედარებები, მეტაფორები, ეპითეტები, მხატვრული სახეები.

ანზორ ლორთქიფანიძე

საკავამთო საკითხის შესახებ

ყურნალ „ჭოროხის“ 1996 წლის მესამე ნომერში დაბეჭდილია მკვლევარ ს. გოგიტიძის ნაშრომი „კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ“. ეს სტატია წარმოადგენს პასუხს ჩემს სტატიას „მაჭახლის ეტიმოლოგიისათვის“ (გაზ. „აჭარა“, 1995 წ. 9 დეკემბერი). ჩემი სტატიის დაწერა განაპირობა 1994 წლის ყურნალ „ჭოროხის“ № V-VI-ში დაბეჭდილმა სტატიამ „სახელწოდება მაჭახელის (მიჭინიანის) შესახებ“, რომლის ავტორია მკვლევარი ს. გოგიტიძე. ჩემს საგაზეთო სტატიაში მე არ ვიზიარებდი ს. გოგიტიძის მიერ სახელწოდება „მაჭახლის“ ეტიმოლოგიურ ვერსიას და მას არც ახლა ვიზიარებ, რადგან ლინგვისტურად არაა დამაჯერებელი. ამჟამად ს. გოგიტიძე წერს, რომ ჩემი „სტატია ფაქტურად წარმოადგენდა ჩემი ნაშრომის „მაჭახელის (მიჭინიანის) შესახებ“, რეცენზიას (ყურ. „ჭოროხი“, 1996 წ. № 3), რაც არაა სწორი. რეცენზია იწერება თხოვნით ან დავალებით და ჩემთვის არც უთხოვნიათ და არც დაუვალებიათ. რაც შეეხება დაბეჭდილი ნაშრომის შესახებ, აზრის გამო-თქმის უფლება მქონდა და ზოგიერთი საკითხის შესახებ გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი კიდევ.

მართალია, ობიექტურ მკითხველს, ვისაც წაუკითხავს ორივე ავტორის ბირვანდელი სტატიები, ჰქონდა საშუალება ბირუთვნეულად განესაჯა, ვინ რას წერდა და რატომ. სწორედ ამიტომ ახლანდელი ჩემი სტატია იძულებითი პასუხის პასუხია და, სიმართლე რომ გითხრათ, პატივცემულ მკითხველს, არც კი ღირს ს. გოგიტიძესთან კამათი, რომ ერთი გარემოება არაა. იგი მენდავება ისეთ საკითხებზე, რომელიც არსად არ დამბეჭდავს და თვითონ უარყავი, როცა კვლევის უნარი თანდათან გამიუშვობესდა და უკეთესი ვერსიის მიგნება შეეძელი. საქმე იმაშია, რომ მე თავდაპირველად ლექსების წერით ვიყავი გატაცებული და ენათმეცნიერულ მუშაობას გვიან შევუდექი. მხოლოდ 1980 წელს დავბეჭდე ერთი მეტნაყლებად სათვალავში ჩასაგდები ნაშრომი „არ სუფიქსი აჭარულ დიალექტში“ მაშინდელ „საბჭოთა აჭარაში“, რომელსაც იმჟამად გაზეთ „აჭარის“ ახლანდელი რედაქტორი, მწერალი ალ. სამსონია რედაქტორობდა. ეს ღვთით კურთხეული კაცი ერთადერთი რედაქტორია, რომელიც ობიექტურად უყურებს ნიჭიერ ავტორებს და შესაძლებლობის მიხედვით უბეჭდავს კიდევ. სწორედ მან ჩამირთო „მწვანე შუქი“ პოეზიაშიც, როცა ყურნალ „ჭოროხს“ რედაქტორობდა.

და მეცნიერებაშიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ორ წელს, როცა დარწმუნდა, რომ კვლევის უნარი მაქვს. მანამდე კი, 1978 წელს, პედაგოგიურ კითხვაზე საუკეთესოდ ცნეს ჩემი მეთოდური თემის ნაშრომი „აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი შეცდომები ზებირ და წერით მეტყველებაში და მათი გამოსწორების გზები“. ეს ნაშრომი თბილისშიც ჩავიტანე ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“-ს რედაქციაში. ჟურნალის მაშინდელმა რედაქტორმა იგი მოაშწადა კიდევ დასაბეჭდად, მაგრამ მალე სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოდ და შემდგომმა რედაქტორმა ალბათ აღარ ისურვა დაბეჭდვა. მე რომ მეორედ ჩავედი, იგი არ დამხვდა ადგილზე და ეს მეთოდური ნაშრომი, დასაბეჭდავად მომზადებული: ახლა სახლში მიდევს.

რაც შეეხება სახელწოდება აჭარის ეტიმოლოგიის კვლევის საკითხს, ამ შემთხვევაში ძიების გრძელი გზა გავიარე — დავიწყე ხალხური „მაჭარათი“ (სიტყვისაგან მაჭარი, რაც მეღვინეობა-მევენა-ხეობასთანაა დაკავშირებული), შემდეგ მივაგენი სიტყვა აჭე (ბუჩქი ღეჩხუმურ დიალექტში და აჭ-არ-ა „ხე-ტყიან“ სახელად მივიჩნიე). ეს ნაშრომი თბილისშიც მქონდა, მაგრამ რეცენზენტმა პ. ცხაღაიამ სამართლიანად არ ჩათვალა მართებულად ჩენი ეს ვერსია. შემდეგი იყო ის ვერსია, რაზედაც მიკიჟინებს ს. გოგიტიძე და იგი მე თვითონ უარყავი ისე, რომ არ გამომიქვეყნებია. მას ს. გოგიტიძე ზღვანაბეჭდის სახით გავცნო, მაგრამ არ დამიბეჭდავს და ამდენად მისი შეფასების უფლება არც ს. გოგიტიძეს და არც სხვას აქვს. ამ ვერსიის მიხედვით სახელ „ა-ჭ-არ-ა“-ში გამოყოფილი ჭ ძირი, რა თქმა უნდა, შეცდომით დავუკავშირე აღმინანის აღმნიშვნელ ჭ-წ ძირებს (შდრ.: ბი-ჭ-ი, ლაზ. ჭე „ბიჭი, აჭარ. ჭო „ბიჭო“, წ-ულ-ი, მეგრ. წიე „ბიჭო, კაცო“ და ა. შ.).

რაც შეეხება ჩემს საბოლოო (ჩემთვის იგი საბოლოოა) ვერსიას, ის დაიბეჭდა გაზეთ „აჭარის“ 1995 წლის 24 ივნისის № 121-122 გამოშვებაში სათაურით „ტომონიმ „აჭარის“ ეტიმოლოგიისათვის“. ცხადია, მისი შეფასებისა და გაზიარება-არგაზიარების უფლება ყველას აქვს, თავისთავად მეკლავარ ს. გოგიტიძესაც, რადგან ამ ნაშრომში ვახილული მაქვს მისი თვალსაზრისიც, რომელიც მანამდე დაბეჭდილი იყო ჟურნალ „ჭოროხში“ (1991 წ. № 4) სათაურით „ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის“. ს. გოგიტიძე მსაყვედურობს, რომ მე თითქოს ვერ გამიგია მისი „ნაშრომის კიდევ ერთი ადგილი სადაღ მე (ს. გოგიტიძე - ა. ლ.) ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარის ჭოროხის სახელი თითქოს ეთნონიმ აჭარელისაგან გამოჰყავდეს. ვინც წაიკითხავს ჩვენს შეხედულებას, დარწმუნდება, რომ მე მსგავსი არაფერი მიწერილი. ა. ლორთქიფანიძეს გულისყურით რომ წავკითხა ჩემი გამოქვეყნებული ნაშრომი „ჭოროხის ეტიმოლოგია“ (ჯერნ „ჭოროხი“, 1991 წ. № 4), ამას არ დაწერდა. მე პირადად

ჭოროხისა და აჭარის სახელებში არსებულ ფუძეთა კავშირს განვსაზღვრავთ. რასაც არ უარყოფს ჩემი ნაშრომის რეცენზენტიც. აქვე განმარტებულია თუ ვინ არიან ჭარები. ეს უკანასკნელნი რომ აჭარის მკვიდრთა წინაპრები, ამის მტკიცება არ უნდა" (ჟურნ. „ჭოროხი“, 1996 წ. № 3).

გარკი და კეთილი, ახლა ვნახოთ, თუ რას წერს ს. გოგიტიძე ნაშრომში „სახელწოდება მაჭახელის (მიჭიხიანის) შესახებ“ (ჟურნ. „ჭოროხი“, 1994 წ. № 5-6): „...ასეთივე სუფიქსებითაა წარმოებული ჭარის ტომის განსახლების არეალში მოქცეული მდინარის სახელი „ჭოროხი“ (ჭაროხი — ამ ფორმითაცაა იგი მოხსენიებული ქართლის ცხოვრებაში), რომელიც ნიშნავს ჭარების მდინარეს, რაც ამ სახელის სიძველეზე მიუთითებს (სიმონ გოგიტიძე, „ჭოროხის ეტიმოლოგია-სათვის“, ჟურნ. „ჭოროხი“, 1991 წ. № 4)“. ახლა შენ განსაჯე, პატივცემულო მკითხველო, ს. გოგიტიძე თვითონ იმოწმებს თავისივე ნაშრომს „ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის“ და წერს, რომ „ჭოროხი“ ჭარების მდინარეს ნიშნავს“ და თვითონ ამბობს, რომ ჭარები იგივე აჭარლები არიან და ამას მტკიცება არ უნდაო. ამ საკითხში, რომ ჭარები იგივე აჭარლები არიან, მე პირადად არც ადრე და არც ახლა ს. გოგიტიძესთან სადავო და საკამათო არაფერი მაქვს, მაგრამ ეთნონიმ აჭარელის ფორმა „ჭარი“ თუ ისტორიულ წყაროებში იხმარებოდა, არ წამიკითხავს და თუ ს. გოგიტიძე ასეთ წყაროზე მიმითითებდა, მაღლობას მოვასწავებდი. ისე ვიტყვოდი, რომ გამოთქმა „ჭარელი ლეკები“ წყაროებში გვხვდება იგი დღევანდელი საინგილოს, ისტორიული ჰერეთის რეგიონის ჭარბელაქანის სახელისაგან მომდინარეობს, როცა იქ ლეკები ჩამოსახლდნენ არც თუ ისე გვიან. ასე რომ, ჭარი თუ ჭარი-იტ-ი ფორმა ხელოვნურად რომ იყოს, არც მაშინ გვექნება საწინააღმდეგო მისი დაშვებისათვის, რადგან იგი აბსოლუტურად ემთხვევა ეთნონიმ ა-ჭარ-ელ-ის ჭარ ფუძეს და ორივე შემთხვევაში მათ საერთო სემანტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ.

ჩემი საკამათო საკითხია ეთნონიმის ა-ჭარ-ელ-ი, ს. გოგიტიძის მიხედვით, ჭარი-ი თუ ჭარ-ებ-ი, და გეოგრაფიულ სახელწოდების ა-ჭარ-ა მნიშვნელობა ანუ ეტიმოლოგია, როგორც ამბობენ, ს. გოგიტიძე თვლის, რომ სახელი ა-ჭარ-ა მომდინარეობს ეთნონიმისაგან ჭარი-ი ან ჭარ-ებ-ი და ჭოროხიც ეტიმოლოგიურად „ჭარების მდინარეს“ ნიშნავსო, ა-ჭარ-ა კი „ჭარების ქვეყანასო“. კი, ბატონო, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, ა-ჭარ-ა რომ აჭარლების, ანუ იგივე ჭარების ქვეყანას ნიშნავს, ეს არავისთვის და არც ჩემთვისაა სადავო, მაგრამ მე განა ამაში ვეღავები მას?! მე შეეცადე, დამემტკიცებინა რას ნიშნავს სახელწოდება აჭარა სემანტიკურად. ესაა ეტიმოლოგია და არა ის, რომ ამტკიცო: ა-ჭარ-ა ჭარ-ებ-ის ანუ აჭარლების ქვეყანაო. გერც ის ჩაითვლება ეტიმოლოგიად, რომ განაცხადო, სახელწოდება ჭან-ეთ-ი ეთნონიმ ჭანისაგან წარმო-

დგებოდა. ამ შემთხვევაში ხომ საძიებო ოჩება ეთნონიმ ჭარის და ჭანის
ეტიმოლოგია ანუ მნიშვნელობა. როგორც აღამიანთა საკუთარ სახელეებს
თავისთი მნიშვნელობა გააჩნიათ, ასევე სატომო და ეროვნულ სახელეებს
გსაც თავისი მნიშვნელობა აქვთ, რასაც ძიება და დადგენა უნდა.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ჩემამდე აჭარის ეტიმო-
ლოგიას განიხილავდნენ მკვლევარები მ. ჯანაშვილი, ნ. აღონცი, ს.
ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ი. სიხარულიძე, შ. გარშანიძე, ს. გოგითიძე და
გ. ითონიშვილი, რომელთა შესახებ მოკლედ გვაქვს მსჯელობა ვაზეთ
„აჭარაში“ დაბეჭდილ სტატიაში და მისზე სიტყვას არ ვაგაგრძელებთ.
მათგან სემანტიკური თვალსაზრისით, რამდენადმე მსგავსი მნიშვნელობა
აქვთ მკვლევარ ი. სიხარულიძის, შ. გარშანიძის, გ. ითონიშვილის და
ჩემს ეტიმოლოგიებს. პროფ. ი. სიხარულიძე ჭარ ფუძის ძირს წყლის
მნიშვნელობას ანიჭებს, და ამავ მნიშვნელობით ამ ძირს გამოყოფს
ეთნონიმში ჭ-ან-ი და სიტყვაში ჭ-ალ-ა, რაც მართებულია მორფოლო-
გიური თვალსაზრისით. მკვლევარი შ. გარშანიძე თავის პირველ
ეტიმოლოგიურ ვერსიაში ძირეულ „ჭა“ მასალას სიტყვისაგან ჭალა
მომდინარედ თვლიდა, ხოლო მკვლევარი გ. ითონიშვილი ჭარ ფუძის
წყლიან ანუ ჭაობიან სემანტიკური მნიშვნელობიდან ამოღებს. მე კი
ჭარ ფუძის ჭრის ანუ ზევის მნიშვნელობიდან ამოვდივარ. ს. გოგითიძე
ჩემი ეტიმოლოგიის შესახებ წერს: „სახელწოდება ა-ჭარ-ი ნიშნავს „ხევს,
ხეობას“ და მომდინარეობს ფუძისაგან, რაც ეტიმოლოგიურად „გაჭრი-
ლს“ ნიშნავს და საწყისი (უნდა იყოს საწყისისაგან — ა. ღ.) „ჭარა“ მო-
მდინარეობს (შდრ. ნაჭარა). (აქაც უნდა იყოს ნა-ჭარ-ი და არა „ნაჭარა“).
ამის მიხედვით აჭარისწყალი „ხევისწყალს“ ნიშნავს, ხოლო ა-ჭარ-ელი-
„მოხვევს“. აქ რომელ ნაშრომზე მიუთითებს ავტორი, ვაუგებარია (ს.
გოგითიძე, დასახ. ნაშრ. „ქობი“, 1996 წ. № 3).

ბატივცემულო მკითხველო, მოდი და ნუ ვაგვიკვირდება, საკუთარი
ეტიმოლოგიური ვერსიის წარმოდგენისას საკუთარ თავს ხომ არ მი-
ვუთითებდი?! ს. გოგითიძე იმდენად გააბოროტა ჩემი ეტიმოლოგიური
ვერსიის წარდგენამ მკითხველისადმი, რომ აღარ იცის, როგორ და რით
გამაშავოს. უფრო ქვევით კი წერს, რომ „აჭარა“ თავისი არსებობიდან
არა მარტო მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, არამედ უფრო ფართო
ტერიტორიაზე განივრცობოდა“. კარგი და კეთილი, მერედა, სად მიწრია
მე, რომ აჭარა მხოლოდ მდ. აჭარისწყლის ხეობაში განივრცობოდა?!
რის დამტკიცება უნდა ამის ს. გოგითიძეს? იმისა ხომ არა, რომ რაკი
სახელწოდება ა-ჭარ-ი „ხევს, ხეობას“ ნიშნავს ეტიმოლოგიურად, ამიტომ
აჭარლები მხოლოდ აჭარისწყლის 3 რაიონში ცხოვრობდნენ და არა
ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებშიც. ასეთი ფიქრი და მსჯელობა
განა შეიძლება?! ასეთი რამ ხომ საცინარია, სატი-რალი რომ არ იყოს.
აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. მართალია,

სახელწოდება ქობულ-ეთი-ი სულ სხვა მნიშვნელობის სახელია და ისტორიულად „ქობულეთის ქვეყნადაც“ კი იწოდებოდა, მაგრამ ამტკიცებს იმას, რომ ქობულეთელები აჭარლები არ არიან ტომობრივი წარმომავლობით? აკი, ქობულეთ-აჭარას ერთად მოიხსენიებდნენ მოგზაურები და მკვლევარები ისევე, როგორც, მაგალითად, რაჭა-ლუჩხუმს.

ს. გოგიტიძე ყველა შემთხვევაში ტყუის და ტენდენციურად წარმოადგენს ჩემს შეხედულებებს და მოსაზრებებს. ასე, მაგალითად: „ანზორ ლორთქიფანიძე ერთგან წერს, რომ აჭარა ნიშნავს ხევს, ამავ სტატიის ბოლო ნაწილში აჭარასა და აგრეთვე ჭანეთში გამოყოფილ „ჭ“ ელემენტს ჰის ან ჭალის შესატყვისად მიიჩნევს. აქვე დავსძენთ, რომ ავტორი თავის ერთ-ერთ წერილში (იგულისხმება „ტოპონიმ აჭარის ეტიმოლოგიისათვის“ — ა. ლ.) ედავებოდა რა ზოგიერთ სპეციალისტს, კატეგორიულად უარყოფდა ამავე სახელწოდებებში არსებულ „ჭ“-ს წყლის მცენებასთან (უნდა იყოს ცნებასთან — ა. ლ.) კავშირს („ჭოროზი“, 1976 წ. № 3).

სახელწოდება აჭარის უშუალოდ სიტყვისაგან ჭა მომდინარეობის ეტიმოლოგიური ვერსია ეკუთვნის მკვლევარ მ. ჯანაშვილს და მისი მოსაზრება მეც მაქვს განხილული. ეს ვერსია გზის გამგედივით ჩემთვის, თუმცა მას არც მკვლევარი ი. სიხარულიძე და არც მე ვიზიარებ, რადგან სახელი ა-ჭარ-ა უშუალოდ სიტყვისაგან ჭა არ წარმოადგება ისევე, როგორც სიტყვისაგან ჭალა. ცხადია, მე მას გავიზიარებდი იმ შემთხვევაში, მ. ჯანაშვილს რომ ეთქვა: სახელი ა-ჭარ-ა ძირეულად უკავშირდება სიტყვა ჭა-სო. სწორედ ამიტომ გავიზიარე ბროფ. ი. სიხარულიძის ეტიმოლოგიური ვერსია, რომ იგი ძირეულ ჭ-ს გამოყოფს როგორც სახელებში ა-ჭარ-ა და ჭ-ან-ეთ-ი, ასევე სიტყვებში ჭ-ალ-ა და ჭ-ალანგარი (გურულში „წყლის ქვა“). თუმცა არ გავიზიარე მისი თვალსაზრისი სემანტიკური მოსაზრებით, რომლის მიხედვით ამ სიტყვებში გამოყოფილი ძირეული ჭ წყალს უკავშირდება. მართალია, საგანგებო წერილში ყველაფერს დეტალურად ვერ განვიხილავდი, მაგრამ დიდ ხელნაბეჭდ ნაშრომში, რომელიც 34 გვერდს შეადგენს, განხილული მაქვს სახელწოდება აჭარის, ჭანეთისა და რაჭის ეტიმოლოგიები. ამ ნაშრომს გაეცნენ ენათმეცნიერები: დოც. მ. ქამადაძე და მ. ფალავა. მათ მიიჩნიეს თბილისში წასვლა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში წარდგენა, მაგრამ უსახსრობის გამო ამას ჩერკეზობით ვერ ვახერხებ. ამ საერთო შეჭირვების ყაშს კი მე არაგინ მყავს ისეთი ვინაჲ, რომ მეცენატობა გამიწიოს. საკუთარი სახსრებით მხოლოდ ერთფორმატიანი ლექსთა კრებულის „დედასავით ერთადერთო“ გამოცემა შევძელი.

დაგუბრუნდეთ საკითხს. ამ შედარებით დიდ ნაშრომში აღნიშნული მაქვს, რომ სახელ აჭარის ჭ-არ ფუძის ძირეული ჭ უკავშირდება

როგორც სახელ ჭანეთისა და სიტყვა ჭალის ძირეულ ჭ-ს, ასევე სიტყვის ჭა ძირეულ ჭ-ს, მაგრამ არა წყლის სემანტიკური მნიშვნელობით. მე მიმაჩნია, რომ ეს ძირეული ჭ ბგერა სემანტიკურად მიწის მნიშვნელობის უნდა იყოს როგორც სიტყვაში ჭა და ჭ-ალ-ა (შდრ. სულხან-საბას განმარტება: ჭალა — „წყლის პირი ნაყოფიერი“, ე. ი. მიწა, ნაპირი და ჭალაჲ — „კუნძული, გინა ჭალა“, ე. ი. მიწა (კუნძული ხომ მიწაა). ჩვენი აზრით, სიტყვა ჭა-ს და ჭალის ძირეული ჭ მომდინარეობს ქართული სიტყვებისაგან მი-წა, წი-ალი. ქართულ ჭა-ს ძირეულად და სემანტიკურად შეიძლება დავუკავშიროთ აგრეთვე აფხაზური ა-წა „ფსკერი“, ადიღური ჭა „ფსკერი“, უბიხური ა-ჭა „პირი“, აფხაზური ა-ჭა „პირი“ (ამ ბოლო აფხაზურ სიტყვას გრაფიკულად ამჟამად სრულად ვერ გამოვხატავთ, რადგან ამ ენებში გვაქვს ე. წ. თანხმოვანთგასაყარი ხმოვანი, რომელიც ქართულში არ გვაქვს, სვანურში და მეგრულში კი არის).

ს. გოგიტიძეს, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ჭა „ჯურღმული წყალთა“ (საბა), ეტიმოლოგიურად წყალს ნიშნავს, რაკი ჭაში წყალი დგას, მაგრამ ეს ასე არ არის და ამას სიტყვა ჭის საბასეული განმარტებაც ადასტურებს. ადამიანი ხელოვნურ ჭას ანუ მიწას იმიტომ ამოჭრის, რომ შიგ წყალი ჩადგეს და მოიხმაროს. ამისთვის მას „ჯურღმულის“ გაკეთება უხდება. ამდენად, ადამიანი თავდაპირველად მიწას თხრის და მას აღიქვამს პირველად, წყალი მერე ჩადგება მის ამოთხრილ ჯურღმულში. იმიტომ, ჩვენი აზრით, სიტყვა ჭის ძირეული ჭ თანხმოვანი (ასო ჭ ძალიან ჰგავს ჭის გრაფიკულ გამოხატულებას), მიწას უფრო უნდა უკავშირდებოდეს, ვიდრე წყალს. ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე სიტყვა ტბა თუ ტბა (შდრ. ქართ. ტბორი, ძვ. ქართ. ტბურე „გუბე“, მეგრ. ტობა „ღრმა წყალი“, სი-ტობ-ე „სიღრმე“, ლაზ. ტობა-ტიბა „ტბა, ზოგევი“, ღრმა“. სვან. ტუბ „ხევი“ ტუიბ „ტბა“). მართალია, ტბა ზოგადად წყლიან ორმოს აღნიშნავს, მაგრამ ტაბა ტბა სიტყვა ეტიმოლოგიურად უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან დაბა, რომლის თავდაპირველი სემანტიკური მნიშვნელობა მიწაა (შდრ. ქართ. დაბა „სოფელი“, მეგრ. დობერა-დობირა „სახნავი მიწა“, სვან. დაბ „ყანა“). სიტყვები დაბა-დუბე მიწას და ჩაღრმავებულ მიწას, ადგილს ნიშნავენ, ხოლო ტაბა-ტბა მიწის ღრმულს, უწყლოსაც და წყლიანსაც. სწორედ იმიტომ წარმოადგება ეთნოშიმი ტაბ-ალ-ი ტაბ-ა სიტყვისაგან და ტაბონიმები: ტაბახმელა (სოფ. გარდაბნისა და ხულოს რ-ში), ტაბანათი (სოფ. ლანჩხუთის რ-ში), ტბა (სოფ. ბორჯომის რ-ში) და სხვ.

ს. გოგიტიძე ასევე ტყუის (ალბათ ჰგონია, რომ არ ანხელენ), როცა წერს: „ბატონი ანზორი თავის ერთ-ერთ წერილში „სახელწოდება ჭანისა და აჭარის ეტიმოლოგიისათვის“, ამავე და სხვა სახელწოდებებს (კანი (თუ ჭანი, ბატონო სიმონ?), აჭარა, მეგრია, ეგრისი, სვანი, მუშუანი,

ლუშა, ლოსა, მესხი, მუსკი, მოსხი, წანი) „ადამიანის, ნაშენების
აღმნიშვნელ ქართულ სიტყვებს — გერი, ნაგრაში, ნაგრაღმად
უკავშირებდა.

ბატონო სიმონ, ასეთი რამ მკითხველს არ უხილავს დაბეჭდილი,
მაგრამ თბევნ საშუალება გქონდათ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში
ვასცნობოდით. ეს იმის საშუალებას მაინც არ გაძლევთ, რომ მოატყუოთ
მკითხველი. მით უმეტეს მაშინ, როცა შენახული მაქვს ეს ჩემი
ადრინდელი და ჩემს მიერვე უარყოფილი ნაშრომი. ჯერ ერთი, რომ არ
ვაქვთ უფლება გამოუქვეყნებელ ნაშრომზე საჯაროდ მსჯელობისა,
მეორეც, რატომ კადრულობთ მკითხველის მოტყუებას? მე მხოლოდ
ეთნონიმი „მე-გრ-ელ-ი“ (ნაშინდელი მორფოლოგიური წარმოსახვით)
დავუკავშირე სიტყვებს გერი, ნა-გრ-ამ-ი და ნა-გერ-ალ-ი და სხვა
ფიქვების მქონე ეთნონიმები ამ სიტყვებისათვის არ დამიკავშირებია.
ეთნონიმს სე-ან-ი (მუ-შუ-ან) კი ვუკავშირებდი სიტყვის ნა-შ-იერ-ი და
შე-ილ-ი შე-შ ძირებს. ნაცვლად იმისა, რომ განიხილავდნენ ეთნონიმ სეანის
ჩემს გამოქვეყნებულ ეტიმოლოგიურ ვერსიას, რომლებშიც სე-ან-ი და
მი-სი-იან-ი „მდინარისპირის მცხოვრებს“ ანუ „მოხვევს“ ნიშნავს ჩემი
ვერსიით, თქვენ თვითონ ავტორის მიერ დაწუნებულ ნაშრომში ეძებთ
შეცდომებს და თან მოტყუებით.

მართალია, თქვენ განიხილავთ ჩემს დაბეჭდილ ეტიმოლოგიურ
ვერსიასაც ეთნონიმ მეგრელის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც
ატყუებთ მკითხველს. სტატიაში „მაჭახლის ეტიმოლოგიისათვის“ მე
ვწერდი: „რაც შეეხება ს. გოგეტიძის მიერ სატომო სახელებში
მიითითებულ „მა“ პრეფიქსს, ისინი სხვადასხვა სუფიქსებთან ერთად
აწარმოებენ მათ: მა-კრ-ონ-ი, მა-ხელ-ონ-ი (და არა ნახერონი), მი-სი-
იან-ი, მო-სინ-იკ-ი, პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელებია და არა
ოდენ პრეფიქსური. ამიტომ, გარდა ეთნონიმისა მა-კრ-ონ-ი, რომელიც
ბერძნული ფორმაა ეთნონიმ მეგრ-ელ-ისა და წარმოებულია ეგრ-გრ
ძირეული მასალისაგან, ყველა დანარჩენი ეტიმოლოგიურად „მოხვევს“
ანუ „მდინარისპირელს“ ნიშნავს (გაზ. „აჭარა“, 1995 წ. 9 დეკემბერი).
თქვენ კი წერთ („კორონი“, 1996 წ. № 3): „არასწორია მეგრულის
(მეგრელის — ა. ლ.) ბერძნულად და ამავე დროს ეთნონიმ მეგრელში
„მ“ პრეფიქსისა და ეგრ-გრ ძირის გამოყოფა. ასევე უსუსურად
გამოიყურება მისივე შეხედულება, თითქოს ეს ძირიც ეტიმოლოგიურად
„მოხვევს“ ანუ „მდინარისპირელს“ ნიშნავს.

ახლა შენ მოკმარათ, მკითხველო, სად მიწერია მე, რომ ეთნონიმი
მაკრონი ანუ მეგრული „მოხვევს“ ნიშნავს-მეთქი. ამაზე ამბობენ: ტყუილს
მოკლე ფუნები აქვსო. რაც შეეხება ეგრ-გრ ძირს, რომელიც გამოიყოფა
ეთნონიმში მეგრ-ელ-ი, იგი მომდინარეობს გეოგრაფიულ-ლი სახელისგან
ეგრ-ის-ი. ეს საკითხი დიდი ხნის წინათ გარკვეულია ქართულ

ენათმეცნიერებაში და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებ ზ. ჭუმბურიძის წიგნის „რა გქვია შენ?“ (1971 წ.). გეოგრაფიული სახელების გურიისა და ეგრისის განმარტებას ზ. ჭუმბურიძე გურიის განმარტებისას წერს: „ვარაუდობენ, რომ ეგრისი და გურია ნაწარმოებია ერთი და იმავე სატომო სახელისაგან — გურ-ისაგან. მართლა ასეა თუ არა. ძნელი სათქმელია“ (გვ. 158). ეთნონიმ მეგრელის შესახებ კი ზ. ჭუმბურიძე ყოველგვარი დაეჭვების გარეშე წერს: „ეგრისის მკვიდრს ეწოდებოდა მეგრელი (ე. ი. „ეგრისელი“), (იქვე, გვ. 158).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიულ სახელებში ეგრისი და გურია „გური“ სატომო სახელს გამოაყოფდა — მკვლევარი ბ. ინგოროყვა: „ძველად ანტიკურ ხანაში, დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს სატომო სახელწოდება „გურ-ი“ ახლ „გერ-ი“, ხოლო აქედან არის ნაწარმოებები გეოგრაფიული სახელები: ა) გურ-ია, ბ) ე-გურ-ისი და ე-გერ-ისი, საიდანაც ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური წესის — რედუქციის (ძირის ხმოვნის ამოღების) გზით მიღებულია ე-გურ-ისი (ბ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, 1954 წ. გვ. 138).

ს. გოგიტიძე კი წერს: „რაც შეეხება ეთნონიმ „მეგრელს“, მასში ფუძემდ ეგრ-გრ კი არა, „გურ“ უნდა იყოს (ასეთი ფუძითაა მოხსენიებული „ქართლის ცხოვრებაში“). ეგურისიდან ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური წესის — რედუქციის გზით მიღებულია ეგრისი (ბ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, თბ., 1954, გვ. 138). „მ“ კი შემდეგ შეზრდილი თანხმოვანი უნდა იყოს (ეურნ. „კოროხი“, 1996 წ. № 3). ს. გოგიტიძე მე მედავება, რომ ეთნონიმში მე-ეგრ-ელი ეგრ ძირი კი არა, „გურ“ ძირი გამოიყოფაო და იმოწმებს მკვლევარ ბ. ინგოროყვას ციტატას, რომლის მიხედვით ე-გურ ძირი ე-გრ ფორმას ღებულობს რედუქციის წესით. მეტი რაღა უნდა? „მ“ თავსართს კი შემდეგ შეზრდილად თვლის. ფაქტიურად კი, მე-ელ პრეფიქს-სუფიქსები ქართულში დაერთოვდნენ სატომო და სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს: მაჭარ-ელი-ი, (ახლა გვაქვს აჭარ-ელი-ი), მეგვიბტ-ელი-ი (ახლა გვაქვს ეგვიბტ-ელი-ი) და სხვ. მკვლევარი ა. კიზირია წერს: „მ-ელ-ით არის ნაწარმოები მეგრელი“ (ა. კიზირია, „წარმოშობის სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“, ივე XXIII, 1985 წ. გვ. 49). უფრო ქვევით კი ა. კიზირია აღნიშნავს: „1974 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა „ეტიმოლოგიური ძიებანი“, სადაც ეხება მასპინძელსაც. აქ აღნიშნულია, რომ სიტყვა „მასპინძელი“ მომდინარეობს სიტყვისაგან ასპინძა... აქ ისეთი წარმოებაა, როგორიც „არგვეთი-მარგველი, არადეთი-მარადელი, აწყურთი-მაწყვერელი, ეგრისი-მეგრე-ლი, ეგვიბტე-მეგვიბტელი, რუისი-პრუველი (პროველი) და ბევრი სხვაც“ (იქვე, გვ. 49-50).

მასმასაღამე, სწორად გვქონია ეთნონიმში მეგრ-ელი მ პრეფიქსი და

ეგრ ძირი გამოყოფილი ეს მ პრეფიქსი კი კი ამ სატომო ბოლომდე შემორჩა და შეეზარდა არა მარტო აღმნიშვნელ სახელში, არამედ ცხოველისა და უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელე-ბშიც (მღრ. მეგრული ცნენი, მეგრული ენა) განსხვავებით „აჭარე-ლი“-საგან და „ეგვიპტელი“-საგან. ისე კი, აქვე უნდა დავსძინო, მართალია, ს. გოგიტიძე ტყუილით მომაწერს ეთნონიმ მეგრელის „მოხვედ“ გააზრე-ბას, მაგრამ შეიძლება ეთნონიმები მეგრ-ელ-ი და გურ-ელ-ი მართლაც ნიშნავდნენ სემანტიკურად მოხვეცს. სახელ „აჭარის“ ეტიმოლოგიზებისას მე ვეხებოდი სახელ „ეგრისის“ ეტიმოლოგიასაც და აღვნიშნავდი, რომ ეგრ-გრ ძირი შეიძლება მომდინარე-ობდნენ ქართული სიტყვებისაგან აგარა და აგარ-აკ-ი, რომლებსაც მიწის მნიშვნელობა აქვთ, ძირეულად კი ეს სიტყვები უნდა უკავშირდებოდნენ სხვა ენათა სიტყვებს (მღრ. შუმერ აგარა „მინდორი, მდელო“, სომხ აგარაკ „მიწა“, ბერძ. აგროს „მოედანი“, სანსკ. აგარა — „მიწა“, ლათინ. აგრა „მიწა“, ინგლის. აგრა „მიწის საზომი ერთეული“, რუს. აგაროდ „ბოსტანი“ და სხვ.).

შესაძლოა ე-გურ ანუ ე-გრ ფუძეძირი მიწის საბაზისო მნიშვნელო-ბიდან გამომდინარე „კალამოტს“ ნიშნავდეს სემანტიკურად. მდინარეთა კალამოტები ხომ მიწის გაჭრილი არხებია წყლის ანუ მდინარის მიერ. ძველ ქართულში კი გვაქვს გურ-ემა საწყისი და მიმლეობა და-გურემა-ილი, ახალ ქართულში კი გვაქვს გურ-ემა და დაღვრემილი. გურემა-გვრემა სემანტიკურად ხომ „კვეთას, ჭრას“ ნიშნავს, ისევე როგორც გვრემა. სწორედ გურ-გვრ ძირისაგან უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვა გვირ-ამ-ი, რომელიც „მიწისქვეშა ნაგებობა კორიდორივით, რომელშიც გაყვანილია გზა, გადის წყალი“ მნიშვნელობით არის განმარტებული. მაშასადამე, ე-გურ-ე-გრ ფუძე-ძირი შეიძლება ეტიმოლოგურად „გაჭრილ მიწას“ ნიშნავდეს. ხომ გვაქვს მდინარის სახელი ენგური, რომელშიც გურ ფუძე გამოიყოფა და ტოპონიმები გურძაული (ხულოს რ-ში), გურჯაანი (გურჯაანის რ-ში) და რაც მთავარია, მდინარეთა სახელები გუროსწყალი (დუშეთის რ-ში), გურძემი (მარტვილისა და სენაკის რ-ში) და ა. შ. ამჟამად, მოკლედ ამით შემოვიფარგლებით და უფრო დეტალურად სხვა ნაშრომში ვისაუბრებთ.

ს. გოგიტიძე ასევე ატყუებს მკითხველს, როცა წერს: „ა. ლორთქი-ფანიძე არა მარტო სახელწოდება „მაჭახელს“, არამედ ბევრ სატომო თუ მხარეთა სახელებსაც (მაკრონი, მეგრელი, მოსიანიკი, მოსიიანი, სვანი, აჭარა) სიტყვა ხევიდან, ხეობიდან მომდინარედ თვლის, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული ფუძეები (კრ, ეგრ, სინ, სიმ, სვ, ჭარ) აქვთ (ეურნ. „ჭოროხი“, 1996 წ. № 3). ამაზე დიდი ტყუილი შეიძლება?! მე ამ ეთნონიმებს სიტყვა ხევიდან მომდინარედ კი არ ვთვლი, არამედ „მოხვეცის“ მნიშვნელობის მქონედ და ასე დაბეჭდილია გაზეთში. ისე კი, უშუალოდ სიტყვისაგან ხევი გვაქვს წარმოებული გეოგრაფიული სახელი

ხევი და ეთნონიმები მო-ხევე და ხევე-სური (ამ უკანასკნელში გვაქვს ორი ფუძე: ხევ და სური-ი). საერთოდ კი, ხევის სემანტიკური მნიშვნელობა აქეთ მხარეთა სახელებსა და ეთნონიმებს: აჭარა, გურია, იმერეთი, მევრელი, კოლხეთი, მესხეთი, რაჭა, ფშავი, აფსუა, აფხაზეთი და ა. შ. რომელთა შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ გვაქვს გამოქვეყნებული ნაშრომები, ნაწილსაც ალბათ შემდეგ გამოვქვეყნებთ.

რაც შეეხება სახელწოდება „მაჭახელის“ შესახებ, ს. გოგიტიძე მსაყვედურობს, რომ მე თითქოს მას მივაწერ მა-ულ პრეფიქს-სუფიქსის გამოყოფას. რაც შეეხება სახელ „მაჭახელის“ ეტიმოლოგიას, რომ ჭახ-ჭიხ ფუძე „ხევს“ ნიშნავს სემანტიკურად, მე ამას არასოდეს არ უარყოფ. მას ამ შემთხვევაშიც შეეკლამა შეჰყავს მკითხველი. „თვითონ კი (მე — ა. ლ.) სახელწოდება „მაჭახელში“ ჩემს მიერ გამოყოფილ პრეფიქსებსა და სუფიქსებზე ისე მიუთითებს, თითქოს მისი ნააზრევო ყოფილიყოს. ეს პლავაგატობაა. იგი ფუძედ „ჭახ“-ს ასახელებს, ამ ძირისთვის ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა და ორ ნაწილად დაუყვია, რადგან ასე შეიძლება მისი პირველი ნაწილი უბრალოდ და თანაც ადვილად დაუკავშირდეს სიტყვა „ჭახ“-ს, ხოლო ს შეიძლება იყოს სიტყვა ხევის ნაშთი. თუმცა, სტატის ბოლოს თავისავე ნააზრევის საწინააღმდეგო აზრს ავითარებს წერილში: „ჭახ“ — ფუძე რომ „ჭა“ და „ეხი“ სიტყვების შერწყმითაა მიღებული (ჟურნ. „ჭოროხი“, 1996 წ. № 3).

ბატონო სიმონ, ერთი ეს მითხარით, სად მიწერია, რომ სახელწოდებაში მა-ჭახ-ელი და მის სხვა ფორმებში პრეფიქს-სუფიქსები მე გამოვყავი და არა შენ?! ავი მა-ულ პრეფიქს-სუფიქსის გამოყოფის მოწერასაც მაბრალებ? ასეთი პრეფიქს-სუფიქსი კი მართლაც გამოიყოფა არა ამ სახელში, არამედ ტობონიმში მა-ჭახ-ულა (ქედის რ-ში). მე მხოლოდ „ჭახ“ ფუძის სემანტიკურ მნიშვნელობაზე ვმსჯელობ და იგი მართლაც „ჭა“ და „ხ“ კომპონენტებად დაიშლება. სემანტიკურად ის ორი, მარტივი ფუძისაგან შედგება მართლაც და ძალიანად აღებული „ხევს, კალაპოტს“ ნიშნავს. ასეთი ორი, სხვადასხვა ფუძის შერწყმითაა მიღებული სახელები: იმერ-ხევი (ამჟამად თურქეთშია), ხევ-სური (ხევ-სური-ეთი), მერ-ხე-ულ-ი (მერ-ხევე-ულ-ი) აფხაზეთში და ა. შ.

აქ უნდა დავასრულო, რადგან ჩვენი ჟურნალი დიდი ფორმატის ნაშრომს ვერ დაიტევს.

მადლიერი ერის ამონათქვამი

ბედნიერია ერი, რომელსაც მრავლად ჰყავს შვილი მასზე მოფიქრალი. კიდევ უფრო ბედნიერია ერი, რომელმაც იცის ღირსეული პატივისცემა სახელოვანი წინაპრისა, რადგან ეს ცოდნა უბრალო ცოდნა როდია, ეს ისტორიაა, ეს დღევანდლობაა, ეს ჩვენი ხვალეა, ჩვენი მერმისია. წარსულის ცოდნა ძნელია, ბევრი ჩხრეკა და ქექვა სჭირდება, მინაგლებული ცეცხლივითაა: თუ გულდაგულ მოეკიდები საქმეს — ღველფი გალღვება, ნაპერწკალი აგარდება და გაგათბობს, გაგაცი-სკროვნებს, უშრეტ ენერგიას გადმოგიღვრის და წარსულის სიმაღლეს დაგანახებს, წარსულის სიბრძნეს გაიაზრებს. სწორედ წარსულის სიმაღლესთან, წარსულის სიბრძნესთან მიგვიყვანა ერთხელ კიდევ ბატონ გურამ შარაძის მართალმა წიგნმა „მემედ აბაშიძე“. მემედ-ბეგ აბაშიძის ცხოვრებით ავტორმა მარტო ერთი კაცის კაცურად განვლილი ცხოვრება კი არ გვიჩვენა, ჩვენი ტანჯული მხარის მეტად ავებელით ხანის ცხოვრებაც გადაგვიშალა. ერთხელ კიდევ დაგვაფიქრა, ერთხელ კიდევ სიამაყით აღგვაფრთოვანა და გვაბედნიერა სახელოვანი შვილების მამულიშვილური კაიკაცობით. ერთხელ კიდევ შეგვახსენა: ვისი გორისანი ვართ და რა გვევალება.

გ. შარაძის წიგნში ცალკე თავი ეთმობა მემედ აბაშიძის შესახებ თანამედროვეთა გამონათქვამებს, სათაურით „მადლიერი ერის ამონათქვამი“, სადაც მოხმობილია გრ. აბაშიძის, თედო სახოკიას, სერგო კლდიაშვილის, ილია რურუას, სერგო გერსამიას, ჯემალ ქათამაძის, ჰაიდარ აბაშიძის, ჯემალ ჯაყელის, ასლან აბაშიძისა თუ სხვათა სიტყვები.

მადლიერი ერის შვილები მოწიწებით ხრიან თავს მის წინაშე და ღირსეულად აფასებენ მემედ-ბეგ აბაშიძის ღვაწლსა და ამაგს, ილიასეული საქართველოს მოსურვილს, მაჰმადიანი და ქრისტიანი, ერთსისხლა ქართველების კვლავ ერთიანობის მონატრული, მუხლჩაუხრელად იბრძოდა შავის ბედის წილ, და თავისი რაინდული თავჯანწირვით უდიდესი ამაგი დასდო აჭარასა და მთელ საქართველოს. ბატონ ჯემალ ჯაყელისა არ იყოს: „ძალიან ბევრს დაკარგავდა საქართველო, საკუთრივ აჭარა იმ ბრძოლის ერთგულების და ღვაწლის გარეშე, რაც ასე თავგამეტებით თვით გვემით, დიდი რისკითა და

ერუდიციით მიაგო მან“.

თედო სახოკიას ყველაზე აღრინდელი მოგონებანი 1887 წლით თარიღდება. აი ისიც:

„ქედის ბოლოში შემოგვიერთდა, ახალგაზრდა ბეგი მემედ აბაშიძე. მეტად კობტა აჭარულადვე სირმიან ტანისამოსში გამოწყობილი, ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ. მოგვიყვა ილიას, აკაკის, ჭალაღიდელის, მამია გურიელის ლექსებს. თანაც იმღერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლის როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მომწონდა. ერთ რამედ მართო მისი გარეგნობა ღირდა. ბატონი ილია რურუა იგონებს — იშვიათი ვაჟკაცური სილამაზით ეს აზოვანი, დარბაისელი და მომხიბლველი კაცი, საოცარ მოწიწებას იჩენდა ნებისმიერი ასაკისა და მდგომა-რეობის ადამიანთან, ან რანაირი მისალმება იცოდა, რა ღირსეული მიხვრამოხვრა ჰქონდა, ამ მხრივ მას შალვა დადიანი თუ შეედრებოდა.

...იგი ტიპიური ბათუმელი იყო, გულღია, ბავშვით სანთაკი გულთ, თვალები მოლურჯო თილისმური მიმზიდველი, ზრდილი და თავდაჭერილი ყველანაირ ქცევაში, მამაცი და უშიშარი, როგორც ვფიქრობ — იონებს დავით კასრაძე.

სამართლიანად აღნიშნავს ბატონი დავით ხახუტაიშვილიც: „მემედ აბაშიძე ჩვენი ისტორიაა, მისი ლამაზი ნაწილია... სამშობლოსათვის შვილთა ხსოვნა მარადია, ხოლო მათი საქმეები ყოველთვის ამხნევენ ერს და გმირული შემეფრთხილებას მოუწოდებენ მას. ჩვენმა პოეტებმა მამია ვარშანიძემ, ჯემალ ქათამაძემ და სხვებმა ტკბილზმოვანი ლექსებით გამოხატეს მხურვალე პატრიოტისა და ერის გამთლიანებისათვის თავდადებული კაცის მემედ-ბეგ აბაშიძისადმი უდიდესი თაყვანება.

მემედ აბაშიძის სახებას ასე მიესიყვარულა პოეტი ამირან ხაბაზი:

„მატერადივით აზოვანო,
ფრესკასავით საზოვანო,
გელათივით მხარგაშლილო,
დავთოვლია შავქოხორი,
შენ ხიხანის ზარი გისმენს,
ფეხზე დგება მაჭახელი,
შენ ხომ დედო მამულისკენ,
მოაბრუნე აჭარელი,
შენი სისხლიც მიემატა,
საქართველოს ცისფერს შვიდფერს,
დედოზარო ქართულ ზართა,



დიდი მემედ აბაშიძე“

ერის ერთგულება მას მამა-პაბათიდან მოსდევდა. დიან იყო ერთი დიდი სალოცავი: საქართველო, ქართველობა, სწორედ ეს ლოცვა ჰქონდა დაწერილი გულის ფიცარზე და იმარჯვებდა კიდეც, როგორც ბატონი ასლან აბაშიძე ბრძანებს, „ხშირად ყურს უგდებს მის ძახილს“ და დიდი წინაპრის ღირსეული შთამომავალი მძიმე და საპატიო ტვირთს სახელოვნად ეზიდებოდა კიდეც.

მადლობა ბატონ გურამ შარაძეს მეტად საჭირო და საინტერესო წიგნისათვის.



მეზარ მაპარაკი

ლაიციზმის პრობლემა 80-90-იანი წლების თურქეთში

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური დოქტრინა, რომელიც რესპუბლიკის დამაარსებლის, დიდი რეფორმატორის ქემალ ათათურქის პრინციპებს ეყრდნობა და თურქეთში ქემალიზმის სახელწოდებით არის ცნობილი, თავისი არსით დემოკრატიულია, მაგრამ 1980 წლიდან მოყოლებული დემოკრატიული კურსი მხოლოდ ქაღალდზედა არსებობს.

დღეს თურქეთში გაბატონებულია ქემალისტური კურსის საწინააღმდეგო მძლავრი ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ბოლო არჩევნების შედეგად პირველად რესპუბლიკის ისტორიაში ლეგიტიმური გახდა და „თურქულ-ისლამისტური“ დროებით ხელისუფლების სათავეში მოვიდა. მოკლედ დღეისათვის თურქეთში პოლიტიკური სიტუაცია ძალზე რთულია.

დღევანდელი მსოფლიოს განვითარების ტენდენციები კი მოითხოვს, მოვლენებს ახლებურად შევხედოთ და დასკვნებიც თანამედროვეობის შესაფერისი გადავკეთოთ.

რესპუბლიკური თურქეთის ფუძემდებელი ათათურქი ახდენდა პოლიტიკურ გარღვევას შაჰმადიანურ სამყაროში. იგი ცდილობდა ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე შეექმნა დასავლეთის დემოკრატიულ რელსებზე აგებული თურქეთის რესპუბლიკა. ქემალისტური რეფორმების სახელთანაა დაკავშირებული ათათურქის მიერ მიღებული ექვსი ძირითადი პრინციპი, ეს პროგრამა ისტორიაში შევიდა „ექვსი ისრის“ სახელწოდებით. პირველი პრინციპი, ქვეყანაში სახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარება (დევლეთ-ჩილიქ/, მეორე ლაიციზმი — ლაიქლიქ/ ანუ სახელმწიფოსაგან რელიგიის გაყოფა და ქვეყანაში ოლიგარქიული /რელიგიური/ ხელისუფლების ნაცვლად საერო ხელისუფლების შექმნა, მესამე ნაციონალიზმი, მეოთხე რესპუბლიკა-ნიზმი ჩუმურეთ-ჩილიქ/, მეხუთე რევოლუციურობა ჩინქილაფ-ჩილიქ/, მეექვსე ხალხურობა შალ-ჩილიქ/.

ამ მომენტისათვის ჩვენთვის საინტერესოა მეორე პრინციპი ლაიციზმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათათურქმა 1930-იან წლებში ახლად შექმნილი თურქეთის რესპუბლიკა, როგორც პარადოქსულა-

დაც არ უნდა ჟღერდეს, ერთპარტიული სისტემით დასავლეთის დემოკრატიულ რეგლმებზე გადაიყვანა. ყოველივე ეს წინაპირობას წარმოადგენდა, რომ ქვეყანა სამართლებრივ-სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებულიყო. ეს პროცესი კიდევ დაიწყო და თან სწრაფი ტემპით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი დაპირისპირებული ბანაკი შეიქმნა. თურქეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურ კავშირებს ეძებდა დასავლეთთან. მას როგორც საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობელს, უაღრესად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ფუნქცია დაეკისრა.

დასავლეთის ქვეყნები და უბირველეს ყოვლისა ამერიკა ცდილობს, თურქეთი დასავლეთის „სრულუფლებიანი“ წევრი გახდეს, რის განხორციელებასაც თითქმის ხელს უშლიდა არარსებული ფორმალური მხარეც, რასაც მრავალპარტიული მმართველობის ფორმა ჰქვია. ეს ფორმალური ნაკლიც დაძლეულ იქნა, განსაკუთრებით აშშ-ის ძალისხმევით. 1946 წლიდან თურქეთი მრავალპარტიულ ქვეყნად იქცა.

მრავალპარტიული რეჟიმი პირველსავე წლებიდან პრაქტიკულად დაადგა ათათურქის მიერ საფუძველჩაყრილი დემოკრატიული პრინციპების უარყოფის გზას, მაგრამ თეორიულად დღესაც აღიარებენ ქმალისტურ პრინციპებს, როგორც იტყვიან, მხოლოდ და მხოლოდ ქალაღლზე.

ათათურქის მიერ თავის დროზე ჩატარებული რეფორმების დანგრევა ე.წ. მართველობის მოდელით საკმაოდ ძნელი გამოდგა. ამიტომ ქმალისზმის ნიღბის ქვეშ დღესაც აგრძელებენ ნგრევას... თურქეთში ამ ბოლო პერიოდში აღნიშნავს თურქი ისტორიკოსი ალი ალთუნი: ხმაძაღლა საუბრობენ იმაზე, რომ თურქეთის პრეზიდენტი ს. დემირელი/ამავე დროს იყო „ხალიფა“ /„კავკასიონი“ 12.09.1996/. პირველად ასეთი წინადადება წამოაყენა ხელისუფლებაში თ. ჩიღერთან კოალიციაში მყოფი ისლამისტური პარტიის ერთ-ერთმა დეპუტატმა. მემარჯვენე პოლიტიკურ წრეებში ამ წინადადებას დადებითი რეაქცია მოჰყვა და ე.წ. ლიბერალურ-პოლიტიკურ წრეებშიც კი სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა.

ცნობილი თურქი ჟურნალისტი მეჰმეთ მარლისი რომელიც ე. წ. ლიბერალურ-დემოკრატთა თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება, გაზ. „საბაჰში“ „დემირელის ხალიფობაზე“ სერიოზულად მსჯელობს („SABAH“. 12.04.1996).

როგორც ცნობილია, ათათურქმა თავის დროზე „სახალიფო ინსტიტუტი“ ანატოლიელ ხალხთა უბედურების წყაროდ მიიჩნია და თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების პირველსავე წელს გააუქმა 119241. ახლა კი მის აღდგენაზე ლაპარაკი. თუ მართლაც შეძღვს

აღდგენა, ს. დემირელს ისლამისტების წინაშე დიდი დამსახურებისათვის, მართლაც ეკუთვნის „სახალიფო ტახტი“. ჯ. მ.

თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაკვეთით გამოცემულ წიგნში „თურქი ერის რაობა“, ცნობილი თურქი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი შ. ბოზქურთი წერს: „კონტრევოლუციური გეგმები ცხოვრებაში გატარდა, პირველი სახელმწიფო გადატრიალება რომელიც 1960 წელს მოხდა / უდავოა, საჭირო იყო ლაიცისტური რესპუბლიკის დაცვისათვის, მეორე სამხედრო გადატრიალება 1971/ იყო რელიგიური ოპოზიციის კონტრევოლუციური რეპრესივით, მესამე სამხედრო გადატრიალება 1980/ კი გარეშე ფარული მხარდაჭერით „თურქეთის ისლამური რესპუბლიკის“ დაარსებით დამთავრდა („GUMHURIET“, 10.02.1996). დღეს ამ სიტყვების ავტორი ს. დემირელის თანაშემწეა.

თურქეთის ყოფილმა კულტურის მინისტრმა, აჰმეთ-თანერ ქიშლალიმ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა თავის სტატიაში ასე აღწერა: „ხელში მწვანე დროშით — ძირს ლაიცისტური დიქტატურა, შარიათი უნდა დაგამყაროთ“, („HURRIYT“, 17.04.1996).

1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალება და „თურქ-ისლამისტური სინთეზი“ გახდა ოფიციალური იდეოლოგია... მაგრამ გიდრე უშუალოდ ამ პრობლემას შეგვხებოდეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას მოჰყვა პირველ ეტაპზე. 12 სექტემბრის ამბების შემდეგ, სათავეში მოსულმა უმაღლესმა სამხედრო გენერალიტეტმა „ქემალიზმის პრინციპების აღდგენის“ აუცილებლობა გამოაცხადა და პოლიტიკური მიზნებისათვის ისლამის გამოყენება აკრძალა. მთავრობამ დაშალა ისლამური პარტიები და მათი ლიდერები დააპატიმრა.

მაგრამ 1983 წლიდან მოყოლებული, ქვეყანაში დემოკრატიული ნორმების თანდათანობითი აღდგენის პირობებში, თურქეთში დაიწყო მუსლიმური მოძრაობის ახალი ეტაპი. ამ მოძრაობამ განსაკუთრებული გასაქანი ჰპოვა 1985 წლიდან, როდესაც იგი თავისუფლდება სახელმწიფოს მკაცრი კონტროლისაგან, ყალიბდება არსებული რეჟიმის ძლიერი მუსლიმური ოპოზიციის, რომელიც მზარდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, პირველ რიგში, ქვეყნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მდგომარეობაზე. ისლამური სამღვდლოება, რომელიც მუსლიმური მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს, რაოდენობრივად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენაა. — ბოლო ათწლეულში სამღვდლოების ფენაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, თანდათანობით გაიზარდა მისი როლი თურქეთის იდეურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამაღლდა მათი განათლების დონეც. რელიგიურ საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში 1986 წელს შედიოდა

57600 მეჩეთი, ამას გარდა მოქმედებდა ყურანის შემსწავლელი 3704 კურსი, რომლის მსმენელთა რიცხვი 130874 აღწევდა, იმამ-ხატებმა 715 სკოლა 220, 991 მსმენელით ("MILLIET". 6.12.1986). რელიგიური სწავლების განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკვე 1987 წელს თურქეთში ფუნქციონირებს ყურანის შემსწავლელი 3900 კურსი და იმამ-ხატების 716 სკოლა 230,000 მსმენელით ("GUNES". 2.12.1987).

1995 წლის მონაცემებით თურქეთში ერთ პროფტექნიკურ ლიცეუმზე 3,5 სასულიერო ლიცეუმი მოდის. ბოლო ოცი წლის განმავლობაში კლასიკური ლიცეუმის მოწაფეების რაოდენობა სამჯერ, პროფტექნიკურ ლიცეუმთა 4,9 ჯერ, ხოლო სასულიერო ლიცეუმისა 13,4 ჯერ გაიზარდა. რელიგიური განათლების მქონე მხოლოდ 10 აგრძელებს სასულიერო მოღვაწეობას, დანარჩენები კი სწრაფი ტემპით იკავებენ „ლაიცისტურ“ სახელმწიფოში თანამდებობებს ("HURRIYT" 17.04.1996). აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში თურქეთში 170 ათასი მეჩეთი აშენდა და როგორც რელიგიის საქმეთა მესვეური ნილმაზი აცხადებს, თურქეთში ახლა ყოველ ექვს საათში ერთი მეჩეთი შენდება ("HOBOE BUREMY". 4.95).

თურქეთში ისლამიზმის ზრდა და „ლაიციზმის“ პრინციპების შეზღუდვა დაკავშირებულია მ.ო-იან წლებში წამყვანი „სამშობლოს“ პარტიის და მისი ლიდერის თ. ოზალის სახელთან.

სწორედ მ.ო-იანი წლების მეორე ნახევარში „სამშობლოს“ პარტიის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი იყო თურქეთში ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის გააქტიურების პირობებში მისი ხელმძღვანელობის თ. ოზალის დაახლოება ისლამურ კლერიკალურ წრეებთან.

თ. ოზალის მიერ შემუშავებულ პარტიის პროგრამაში აღნიშნულია ერთგულება რელიგიისა და ლაიციზმის პრინციპებისადმი, თუმცა პარტია თანამიმდევრულად გამოდიოდა ლაიციზმის წინააღმდეგ. პროგრამაში მისი ჩართვა განპირობებული იყო სამხედროების მხრიდან მკაცრი კონტროლით, პარტიის ფორმირებისა და 1983 წლის საპარლამენტო არჩევნების პირობებში. ამ კონტროლის შესუსტებისთანავე სამშობლოს პარტია სულ უფრო და უფრო უბრუნდებოდა ისლამიზმს. თ. ოზალი ლაიციზმისადმი სამშობლოს, პარტიის პოზიციის განსაზღვრისას აღნიშნავდა: „ჩვენ ყველა აუცილებელ ზომებს მივიღებთ დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური აღზრდის განმტკიცებისათვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მაღალი ზნეობა. ჩვენ არ ვთვლით, რომ ლაიციზმი ვერ ახერხებს ჩვენი სულიერი ფასეულობების, სინდისის თავისუფლებას, რელიგიური რიტუალებისა და რელიგიური კულტურის შენარჩუნებას ("ANAVATAN PARTISMIN

PROGRAMI". ISTAMBUL, 1983). ფაქტიურად ჩანს, რომ სპ-ია ლაიციზმს განიხილავს როგორც რელიგიური კულტურის განვითარების შეზღუდვას, მთლიანობაში პარტიის დოქტრინებში ისლამი განხილულია, როგორც თურქული ერის წამყვანი ფაქტორი.

რელიგიასთან დაკავშირებით თ. ოზალი აღნიშნავდა: „თურქთა ერთიანობა ემყარება იმას, რომ ყველანი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ვართ... მაგრამ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში მთავარია იალამი“ (აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბ. 1991 გვ. 245-252).

თვალნათლივ ჩანს, რომ თ. ოზალმა, თავისი მრავალრიცხოვანი პრო-ისლამისტური განცხადებებით, მეჩეთებისა და სამოღვცელოების ხშირი მონახულებით, მოსახლეობაში შეიქმნა დრამად მორწმუნე ადამიანის სახე, რომელიც ეთაყვანება ისლამს, ამის გამო თურქეთის მსხვილი ისლამური გამოცემები, ისევე როგორც გაზეთი „ბუგიუნი“ და ჟურნალი „ისლამი“ მოუწოდებდნენ მოსახლეობას 1984 წლის წინა საარჩევნო კამპანიის დროს, ხმა მიეცათ თ. ოზალის პარტიისათვის, როგორც ისლამის თვალსაზრისით ყველაზე მისაღები პარტნიორებისათვის INTERNATIONAL GERELD TRIBUNE, 3.5.84.

როგორც ვხედავთ, თურქეთში 80-90-იანი წლების პირველ ნახევარში მწვავედ იჩინა თავი ლაიციზმის პრობლემა. ქვეყანაში შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი მხარს უჭერენ ათათურქის—ლაიციზმის გზას, მეორენი კი ისლამური მართველობის შემოღებას.

თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების 119801 შემდეგ ლაიციზმის პრინციპებს იცავდა „სახალხო, სოციალ-დემოკრატიული“ პარტია და სამხედრო ხელისუფლება. ქვეყნის პრეზიდენტი ქ. ევრენი 1987 წელს ლაიციზმის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მიიჩნევდა ისეთივე საშიშად, როგორც კომუნიზმს და მოუწოდებდა მოსახლეობას რეაქციის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლისაგან („MILLIET“. 27.07.86).

მთოვერი გაზეთი „მილიეთში“ წერდა: „ისლამისტებს სურთ ლაიციზმი წარმოგვიდგინონ როგორც უღმერთობა. ყველა ლაიციზტურმა ძალამ თურქეთში უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და შეშფიდროვდეს რათა დაიცვას ლაიციზმი—ქმეალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი. ამავე დროს თ. ოზალის რეაქციის საპასუხოდ, რომელიც ზღვარს გადადის, პრაქტიკულად არ ხდება ტარიკათების წინააღმდეგობას, რომელთა წევრებიც იკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს სახელმწიფო აპარატში. ისინი აშკარად აცხადებენ არა რელიგიური რწმენის თავისუფლებას, არამედ სახელმწიფო წყობის შეცვლის აუცილებლობას („MILLIET“. 27.07.86).

პროდესორი ნეშთ ჩალათი იძლევა ლაიციზმის შემდეგ განსაზღვრას: „ლაიციზმი—ეს არის სახელმწიფოს მართვა არა რელიგიური

პრინციპებით, არამედ ხალხის მიერ არჩეული თურქეთის უმაღლესი
ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონების შესაბამისად. ლაიცი-
ზმის პირობებში ყველა მოქალაქე თავისუფალია და აქვს რელიგიური
რიტუალების ჩატარების უფლება, დაუშვებელია პრობაგანდა, როგორც
რელიგიის სასარგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ". ("MILLIET",
1.07.1986).

ძირითადად ფართო საზოგადოებრივმა დისკუსიამ აჩვენა ის ორი
საპირისპირო პოზიცია, რაც ააშკარავებს სერიოზულ დაპირისპირებას
ქემალისტებსა და ისლამიზმის მიმდევრებს შორის ლაიციზმის
პრობლემების გარშემო.

ასე რომ, ისლამისტებმა განვლილი გზით სერიოზული მატერიალური
და სულიერი ბაზა მოამზადეს თურქეთში. ამიტომ შემთხვევითი არ
არის, რომ „რეფაჰის“-კეთილდღეობის პარტიის ლიდერმა ნ. ერბაქანმა,
რომელიც ისლამისტად გვევლინება ბოლო არჩევნებში, გამარჯვება
მოიპოვა. ამ მოვლენის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.
ესლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა გზა განვლო ისლამურმა
„კეთილდღეობის“ პარტიამ დღემდე.

1983 წლის 19 ივლისს შეიქმნა „კეთილდღეობის“ პარტია, რომე-
ლიც ითვლება თურქეთში 80-იან წლებამდე არსებული ისლამისტური
/„ეროვნული ხსნისა“ და „ეროვნული მსოფლმხედველობის“/ პარტიის
მემკვიდრედ. ახლად შექმნილ პარტიას სათავეში ჩაუდგა აჰმედ თექდალი,
რომლის მიერ შექმნილი პროგრამა მთავარ მიზნად ისახავდა ერის
ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ განვითარებას.

მაგრამ მოკლე დროში პარტიის პროგრამასა და ლოზუნგებში გაჩნდა
ზოგიერთი განსხვავებული იდეები. პირველ ეტაპზე (1983-87 წწ.), „რეფაჰ
ის“ პარტია არ აკრიტიკებდა ლაიციზმს, ჩამოყვებოდა რა სამხედრო
კონტროლის ქვეშ/. თ. თექდალი, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა:
„სამართლებრივი ორგანიზაციების პირობებში მე არ შემიძლია
ათათურქის რეფორმების განხილვა. ჩვენ არ შეგვიძლია ათათურქის
რეფორმების წინააღმდეგ გამოსვლა, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ
ლაიციკურ ქვეყანაში ("MILLIET", 7.07.1985.).

1987 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც პარტიის გენერალური
თავმჯდომარის პოსტზე არჩეულ იქნა ნ. ერბაქანი და შესუსტდა
კონტროლი სამხედროთა მხრიდან, პარტიამ უფრო აშკარად წამოაყენა
„ისლამიზმის“ მოთხოვნა.

კეთილდღეობის პარტია, ისლამის აღორძინების მიზნით, დიდ
ყურადღებას აქცევს ოჯახურ აღზრდას, ოჯახს, როგორც „ერის
საფუძველს“. განათლების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა
ენიჭება რელიგიის მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლებას,
რადგან რელიგიური აღზრდა ერის სულიერი პოტენციალის ამაღლე-



ბის საფუძვლად მიიჩნიათ.

ეკონომიკის დარგში პარტია აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფოსა და კერძო სექტორების შერწყმას, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მძიმე მრეწველობის განვითარებას.

საგარეო პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობას იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც თურქეთს აკავშირებს „ისტორიული და კულტურული კავშირები“.

„რეფაჰის“ პარტია 1983 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ იქნა დაშვებული. თუმცა 1984 წლის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებზე მან შეძლო ხმათა 4,8 -ის მოპოვება სპიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები. თბ. გვ. 146-147.

კლერიკალური ძალების გააქტიურებამ დიდი გავლენა იქონია ქვეყნის იდეოლოგიურ მდგომარეობაზე და საერო ნაციონალიზმის პოზიციებზე.

უკანასკნელ ხანს სულ უფრო იზრდება ამ პარტიის მომხრეთა რიცხვი, რისაც ადასტურებს მისი წარმატებები 1993 წლის მარტში ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებზე, სადაც თურქეთის 29 დიდ ქალაქში გამარჯვება მოიპოვა.

1994 წლისათვის კეთილდღეობის პარტიას უკვე 38 დეპუტატი ჰყავდა პარლამენტში და მესამე ადგილზე იყო დეპუტატთა რაოდენობის მხრივ ლოკალისტური ძიებანი, კრებული 3-4 თბ. გვ. 134-136/.

„რეფაჰის“ პარტიის დიდი წარმატება იყო 1995 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება.

საინტერესოა განვიხილოთ თურქეთში 1995 წლის დეკემბრის არჩევნები და მისგან გამომდინარე ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობა.

1995 წლის საყოველთაო არჩევნების შედეგებს არაგისთვის არ მიუცია ერთპარტიული მთავრობის შექმნის შანსი, მეტიც, ორი წამყვანი პარტია „ტეშმარიტი გზის“ და „დედასამშობლოს“/, რომლებსაც სათავეში ედგნენ მ. ილმაზი და თ. ჩილერი, არჩევნებში ჩამორჩა ნ. ერბაქანის პროისლამისტურ პარტიას, ქვეყანაში დაიწყო რთული პოლიტიკური ვაჭრობა. „რკინის ლედიზე“, როგორც თურქეთში ეძახიან თ. ჩილერს, ზემოქმედების მოსხდენად მ. ილმაზმა მოლაპარაკება დაიწყო ერბაქანთან, მაგრამ როცა ალიანსამდე ნახევარი ნაბიჯი რჩებოდა, ილმაზმა მაინც ჩილერთან კავშირი აიკრია, ორი პარტიის კოალიციის შესახებ შეთანხმების მიხედვით 1996 წელს ქვეყნის პრემიერი ილმაზი უნდა ყოფილიყო, 1997-98 წლებში იგი ჩილერს უნდა შეეცვალა, 1999 წელს ძალაუფლება კვლავ ილმაზის ხელში უნდა გადასულიყო („OXO PLANETI“. 19-20. 1996).

1996 წლის დასაწყისში თ. ჩილერმა პრემიერის პოსტი თავის პარტნიორს მ. ილმაზს გადასცა. თურქეთის ეწ. სახელმწიფო ინტე-




რესების დაცვის მიზნით ყოფილი პრემიერი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბევრ მოთხოვნას დათანხმებოდა. ეს გამოწვეული იყო პრემიერ-მინისტრად ჩილერის ყოფნისას სერიოზული ჩავარდნებით. მაგრამ რაც მთავარია ჩილერს ილმაზისათვის არ გადაუცია „საიდუმლო“ სახსრებისათვის გათვალისწინებული „საპრემიერო ფონდის“ შესაბამისი საბუთები რომელშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რაში იხარჯებოდა თანხა, მიუხედავად იმისა, რომ ახალ პრემიერთან მისი პარტია კოალიციაში იმყოფებოდა. ასეთი რამ თურქეთის ისტორიაში ბირველად მოხდა.

მესუთ ილზამი ჩილერისაგან მოითხოვდა მისი ბოლო სამი წლის პრემიერობისდროინდელი „საპრემიერო ფონდის“ დოკუმენტაციას. თ. ჩილერი სამტკიცებდა რომ მ. ილმაზს, როგორც პირვნებას არ ენდობოდა („GUMHURIYET“. 15.04.1996).

ამ მოვლენების შემდეგ თ. ჩილერი თავის „სულიერ“ ძმობილ ისლამისტურ პარტიასთან კოალიციაში შევიდა. ამრიგად შეიკრიბა სამეულის წრე: „ყურანი-თურანისათვის“ — ა. თურქეში, „თურანი —ყურანისათვის“ — ისლამისტური პარტია და „ყველაფერი ამერიკისათვის“ — თ. ჩილერი.

ყოველივე აქედან გამომდინარე 1995 წლის 24 დეკემბრის არჩევნებში კეთილდღეობის პარტიის წარმატება მოულოდნელი არ იყო. მანამდე თურქეთში, რომელიც მტკიცედ მიყვებოდა სახელმწიფოს დამაარსებლის ქემალ ათათურქის ნაანდერძვე სამოქალაქო მმართველობის გზას, კლერიკალები არჩევნებში 3-5 -ზე მეტს არ აგროვებდნენ. ასე იყო 1923 წლიდან 1995 წლამდე. პროდასავლური ორიენტაციის თურქეთს თითქოს არ ემუქრებოდა ალყირული და მით უმეტეს ირანული სცენარი. მაგრამ შარშანდელმა დეკემბრის არჩევნებმა ეჭვქვეშ დააყენა ეს მოსაზრება. კლერიკალებმა არჩევნებში ხმების 29,8 -ის დაგროვებით პოლიტიკური ლიდერობაც იგდეს ხელთ. იმისათვის, რომ ისინი ხელისუფლების სათავეში არ მიეშვათ, საჭირო გახდა დემოკრატიული ორიენტაციის „დედასამშობლოს“ და „ჭეშმარიტი გზის“ პარტიების კოალიციის შექმნა, მაგრამ დემოკრატიული კოალიცია არ აღმოჩნდა ეფექტიანი. ამასობაში 2 ივნისს ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებში ისლამისტებმა კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვეს. მათ დააგროვეს 33,5 -ი, დემოკრატიული ორიენტაციის პარტიებმა კი საერთოდ ჯამში მხოლოდ 32,9 -ი („НОВОЕ ВРЕМЯ“. 26. 1996).

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში აღმავლობის გზაზე მყოფი ერბაქანის „კეთილდღეობის“ პარტია არანაკლებ ხმებს მოიპოვებდა, ვიდრე მუნიციპალურ არჩევნებში. ასეთ შემთხვევაში კლერიკალებს უკვე ერთპარტიული კაბინეტის შექმნაც შეეძლოთ ყოველგვარი კოალიციის გარეშე. ისლამისტური



მაგრამ ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც კონსტიტუციისა და დემოკრატიული კურსის გარანტი პრეზიდენტია, თურქეთში ამ როლს ათათურქის ანდერძის ერთგული აზრით ასრულებს. ომის შემდგომ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, სამხედროები არაერთხელ ჩაერივნენ პოლიტიკურ პროცესში, მაშინ, როცა მათი აზრით, ათათურქის ნაანდერძე დემოკრატიულ კურსს შეცვლის საფრთხე ემუქრებოდა.

პოლიტიკური ექსპერიმენტის შედეგმა არ დაყოვნა: კეთილდღეობის ბარტის ლიდერების გამოსვლების ტონი საგრძნობლად შერბილდა. მათ თავიანთ საპროგნოზამო დებულებებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაუმატეს—განაცხადეს, რომ ამიერიდან ისინი არიან „არა-ისლამისტები, არამედ დემოკრატი ისლამისტები“.

109

„ჩვენ წინ აღვუდგებით ყველა საფრთხეს და მუქარას, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, შიგნიდან თუ გარედან... თურქეთის შეიარაღებული ძალები რესპუბლიკის, როგორც დემოკრატიული, ლაიციკური და სოციალისტურად სამართლიანი სახელმწიფოს გარანტი იყო და იქნება“ — ხაზი გაუსვა გენერალმა („НОВОЕ ВРЕМЯ“. №1-2.1996).

თურქეთში ისლამისტების გამარჯვებით შემოფოთებულია არა მარტო მისი საღად მოაზროვნე საზოგადოება, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიც.

აშშ-ის პრესა მეკლისის არჩევნებს აფასებს როგორც გამოგნებელს, რომ ამ არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა ერბაქანისა და სხვა ისლამისტი ლიდერების ნამდვილი სახე, რომლებიც არ მალავენ, რომ აპირებენ დასავლეთთან თურქეთის კავშირების გადასინჯვას, და ოცნებობენ მაროკოდან-ყაზახეთამდე გადაჭიმული მუსლიმანური იმპერიის აღორძინებაზე („საქართველოს რესპუბლიკა“. №3.6.01.1996 / ფრანგული პრესის აზრით, თურქეთში ვერცერთი პარტია ვერ შეძლებს ქვეყნის მართვას, ამქვეყნისათვის ყველაზე მისაღები ფორმა კოალიციური მთავრობის შექმნას, რომ თურქეთი არასოდეს არ იქნება ისეთი, როგორც ირანი და ალჟირი („საქართველოს რესპუბლიკა“ №3.1996).

ამგვარად სახელმწიფოს /ლაიციზმი/ და რელიგიის /ისლამის/ ურთიერთმიმართების პრობლემა კვლავ მწვავე საკითხად რჩება თანამედროვე თურქეთის საზოგადოებისათვის, და არა მარტო მათთვის. 80-იან წლებში დაწყებულ ამ პრობლემას 90-იანი წლების პირველ ნახევარში ფართო გასაქანი მიეცა. რომლის დამაგვირგვინებელ ფორმად იქცა ხელისუფლების სათავეში ისლამისტური პარტიის მოსვლა, რამაც კვლავ გაამწვავე ლაიციზმის პრობლემა.

ლაიციზმის საკითხით დაინტერესებულია არა მარტო თურქეთის მოაზროვნე საზოგადოება, არამედ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები. სწორედ ისლამისტების წინსვლით სრულიად შესაძლებელია ახლო მომავალში თურქეთი იქცეს ფუნდამენტალისტურ ქვეყნად, რაც მძიმე პრობლემას შეუქმნის მთელ მსოფლიოს. მაგრამ ამ ეტაპზე არც არის მხედველობიდან გასაშვები, რომ თურქეთის რესპუბლიკის საერო სახელმწიფოდ დარჩენას დღესდღეობით უფრო მეტი მომხრე ჰყავს. თურქეთის რესპუბლიკა არჩევანის წინაშე დგას, რომელმაც ქვეყნის მომავალი უნდა გადაწყვიტოს.

შინაარსი

პოეზია

ბერიძე სანდრო — ლექსები №4
გაბუნია დავით — ლექსები №4
გობრონიძე ნელი — ლექსები №1
დავითაძე თემურ — ლექსები №5
დარჩია ვლადიმერ — ლექსები №1
ვარშანიძე მამია — ლექსები №2
ზაქარაიშვილი როგნეტა — ლექსები №5
ზოიძე ზურაბ — სონეტები №4
თავდგირიძე ევგენი — ლექსები №2
თებიძე რეზო — ლექსები №3
ლაზაშვილი მირანდა — ლექსები №5
ლებანიძე მურმან — ლექსები №1
მეტრეველი ბორის — ლექსები №6
მეფავია ქსენია — ლექსები №2
ნიშნიაიძე შოთა — ლექსები №1
ნიშნიაიძე შოთა — ლექსი №5
სეიდიშვილი ლადო — ლექსები №4
ფირცხალაიშვილი ზურაბ — ლექსები №1
ქებურია ბელა — ლექსი №2
ღლონტი ვახტანგ — ლექსები №4
ხაბაზი ამირან — გოდერძი / პოემა / №3
შიინიძე ჟუჟუნა — ლექსები №3
ჩხარტიშვილი რევაზ — ლექსი №5
ცეცხლაძე მურმან — ლექსები №6
ჭაყელი ჯემალ — ლექსები №2

პროზა

აზარი-და დრო გვეუარესა — / რომანი / №1

ახვლედიანი ვახტანგ — ნოველები №2

ბერიძე ლეონიდე — ნოველი №5
დუნდუა ანა — ნოველი №5
დუმბაძე ხათუნა — მინიატურები №4

ვარშანიძე მამია — სიცრუე და ორბირობა №2

თავდგირიძე ხათუნა — მინიატურები №1

კეჩუაშვილი მარიამ — მოთხრობა №2

კობალაძე სოფიო — ნოველები №5
ლორია რევაზ — მოთხრობა №6

მახარაძე მამია — ნოველი №2

მახარაძე ასლან — ნოველი №5

მელაძე ოთარ — ნოველი №6

ნაცვალაძე დავით — მოთხრობა №2
ქუთათელაძე გენრიეტა — მოთხრობა №3

ჩიკვაძე შაქრო — სალონი / მოთხრობა №3

ჩხაიძე ალექსანდრე — ნაწყვეტი წიგნიდან „ჩემი წილი საუკუნე“ №2

ჩხაიძე ალექსანდრე — ვის გინდათ მილიონი / მოთხრობა / №3


ჭაყელი ჯემალ — მოსაცდელი სკამი / მოთხრობა / №1

ჭიჭიშვილი ჯონი — ცოტა რამ აღსარებად / რომანი / №4

ძირკვაძე ნოდარ — განხი და ანდერძი / ნაწყვეტი რომანიდან / №6

ახალი მარგმანები

აპოლინერი გიომ — ლექსები, თარგმანი ბადრი თევზაძემ, №2



ახმატოვა ანა — ლექსები, თარგმნა რევაზ ჩხარტიშვილმა, №4
ვოლკოვი გენადი — „ოქროს ნამცეც“ /მოთხრობა/, თარგმნა ნოდარ ვარშანიძემ №1

ვერლენი პოლ — ლექსები, თარგმნა ბადრი თევზაძემ, №2
ლილი დე ლეკონტ — ლექსები, თარგმნა ბადრი თევზაძემ, №2
მარკსი გაბრიელ გარსია — შენი სი-
სხლის კვალი თოვლზე /მოთხრო-
ბა/, თარგმნა თეა ვეფსალოძე, №2
მორუა ანდრე — დაბრუნება
/მოთხრობა/ თარგმნა ნანა
ახალაძემ, №1

მოპასანი გი დე — ყელსაბამი
/მოთხრობა/ თარგმნა ნანა
ახალაძემ, №5

პრობსტი ანალიზე — გოგონა,
/მოთხრობა/ თარგმნა ნოდარ
ბასილაძემ, №3

სუპერგელი — ლექსი, თარგმნა
ბადრი თევზაძემ, №2

ცვეტაევა მარინა — ლექსი, თა-
რგმნა რევაზ ჩხარტიშვილმა, №4
ჰეიგი ჯონ — აღსარება,
/მოთხრობა/ თარგმნა მერმან
ცეცხლაძემ, №3

ჰენრი ო — უკანასკნელი
ფოთოლი — /მოთხრობა/,
თარგმნა ნატალია კილაძემ, №4

პირიტიკა და პუბლიცისტიკა

ახვლედიანი ნარგიზ —
ეროვნული საკითხი „დათა
თუთაშხიას“ მიხედვით, №5
ბიბილეიშვილი იური — პოეტის

ინტელექტუალური სამყაროში
ბერიძე მაია — გარემომცველი
სინამდვილე სელინჯერის მოთხ-
რობებში №2

ბიბილეიშვილი იური — ეროვნული
ისტორიის მტკივნეული
ფურცლები, №3

ბიბილეიშვილი იური — რომანი
ადამიანური სიცოცხლის საზრ-
ისზე, №4

ბაბლოვანი ცისანა — პატრიო-
ტიზმი მე-20 საუკუნის საბავშვო
პროზაში, №5

გოგიტიძე სიმონ — მაქანლის
ეტიმოლოგიის შესახებ, №3

გუგუნავა ნანი — მემედ აბაშიძე
— განმანათლებელი, №6

დიდსამიძე ავთანდილ — ნუგზა-
რი, №2

დუმბაძე სერგო — წარწერები
ფურცლები, №2

ვერძაძე ნური — პოეტური ენის
სპეციფიკა, №2

კვაჭაძე ქეთევან — მადლიერი
ერის ამონათქვამი №6

ლორთქიფანიძე ანზორ — საკ-
ამათო საკითხის შესახებ №6

მაკარაძე ემზარ — ლაიციზმის
პრობლემა 80-90-იანი წლების
თურქეთში №6

ოქროპირიძე უჩა — დენიკინი
და აჭარა, №2

სიხარულიძე იური — ახალი სა-
ყურადღებო გამოკვლევა, №4

სურმანიძე რამაზ — სკვერნიე
თუ სევერნიე? №2

შანიძე ლაურა — ცოდვად
დაცემის მიზეზი, №5

შიოშვილი თინა — მთვარის
გორიდან დაშვების ხიბლი, №4

შოთაძე ქეთევან — მწერლის

ენა №6
ჩელეპაძე ნაილი — ქვრივი ქალის
სოციალური სტატუსისათვის, №2

ფერიშვილი

ბეჭირიშვილი იოსებ — ძიება
და მიგნება, №5
დუშაძე სერგო — აბუსერისძე
ტბელის სადაურობის შესახებ,
№3
დიასამიძე ავთანდილ — გრ.
გურიელი — მამულიშვილი, №4
ვაშალოძე შოთა — ადამიანის
ხსნის საღმრთო განგებულება №4
ვერძაძე ნური — პირველმა მან
თქვა ჩვენი სათქმელი, №5
კახიძე ნოდარ — აბუსერისძე
ტბელი და შ.ს. სამშენებლო ხე-
ლოვნება, №4
ლორია მაშანოვა — ნადია —
ჩემი მოგონებებიდან, №4
მიქაძე მანანა — თანდებულის
საკითხის შესახებ №3
სიორიძე მალხაზ — ი. ჯავახიშვი-
ლის ბიოგრაფიის უცნობი ფუ-
რცელი, №4
ჩხაიძე მანანა — ვეშაბ-ვეშაბოი-
დების საკულტო დანიშნულების
შესახებ, №5
ჯაფარიძე ნუგზარ — დიდი ბა-
ვში, №5
ჯაფარიძე შოთა — სილატაკის
დაძლევის შესახებ, №4

პინე მოდოს მომავალიდან

ბერიძე კობა — ლექსი, №6
ბოლქვაძე შოთა — ლექსები, №6

ბოლქვაძე ლია — ლექსები №6
გაბიტაძე ინგა — ლექსები №6
გობრონიძე ნელო — ლექსები №6
თავდგირიძე ხათუნა — ლექსები №6
კვასტაიანი ნინო — მონატრება, №6
ლამპარაძე ოლეგ — ლექსი, №6
ლორია ნინო — მინიატურები, №6
მაისურაძე ციალა — ლექსები, №6
ხოზრევანიძე ნანი — მოთხრო-
ბა, №3
ჭურჭვეიძე მადონა — ლექსები, №1
ჭაფოშვილი მიხეილ — მოთხრო-
ბა №3
ჯორბენაძე თეოდ — ლექსები, №6

ჩხეიძე ისტორია

გოგიტიძე სიმონ — აჭარის ეტი-
მოლოგია და ბერძნების ტომის
საკითხი, №1
თურმანიძე ოთარ — რუსული
მმართველობა აჭარა-ტაო-კლარჯე-
თში, №5
ოქრობირიძე უჩა — დენიკინი
და აჭარა /წერილი მეორე/ №3
უფუხუბაძე ზურაბ — ორი გვი-
რგვინი, №1
უზნაძე რევაზ — ბათუმისათვის
რუსეთის ბრძოლის ისტორიიდან
№3
ჩავლეიშვილი მემედ — აჭარის
წარსულიდან №5

„ქორუხი“ მილოცვაში

ვარშანიძე მამია — 70, №5
ზამბახიძე ანზორ — ის ვისგ-
ანაც სწავლობ, №1
კომანიძე ზურაბ — 70, №5

შინაარსი

პროზა, პოეზია

1. ნოდარ ძირკვადე — განძი და ანდერძი ნაწვეტი რომანიდან: „ცოდვის შვილები“ /.....	3
2. მურმან ცეცხლაძე — ლექსები.....	34
3. <u>ოთარ მელაძე</u> — მაიკო ზემი ტკივილია მოთხრობა /.....	38
4. ბორის მეტრეველი — ლექსები.....	41
5. რევაზ ლორია — დედა მოთხრობა /.....	43

თარგმანი

6. სომერსეტ მოემი — ბედნიერი ჟატი.....	47
--	----

მის პოეზიის მოკლედან

7. ხათუნა თავდგირიძე — ლექსები.....	51
8. ნელი გობრონიძე — ლექსები.....	54
9. ნინო კვასტიანი — გოგო და ბიჭი... ზღვა ნოველა /.....	56
10. მზია ბოლქვაძე — ლექსები.....	59
11. ღია ბოლქვაძე — ლექსები.....	61
12. კობა ბერიძე — ლექსები.....	64
13. ინგა გაბიტაძე — ლექსები.....	65
14. თედო ჯორბენაძე — ლექსები.....	66
15. ოლეგ ლამპარაძე — ლექსი.....	67
16. ინგა ლორია — მინიატურები /.....	68

პრიტიკა და კუბლისტიკა

17. ნანი გუგუნივა — მეძედ აბაშიძე განმანათლებელი.....	71
18. ქეთევან შოთაძე — მწერლის ენა.....	79
19. ანზორ ლორთქიფანიძე — საკამათო საკითხის შესახებ.....	88
20. ქეთევან კვაჭაძე — მაღლიერი ერის ამონათქვამი.....	98
21. ემზარ მაკარაძე — ლიცინიზმის პრობლემა 80-90-იანი წლების თურქეთში.....	101



გადაეცა წარმოებას 3.12.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.96. ქაღალდის
ზომა 60X90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,25 სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 6,25, პირობითი საღებავგატარება 11,38 შეკვ. №1809 ტირაჟი 200

ქურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა ქ. ბათუმის ს/ს „სტამბა“-ში
დ. თაგდადებულის ქ №16

hpo 162/2